პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34;
ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 18—60
ექსპედიციის 5—43.

დღიური

— ამერიკაში რკინისგზელებმა გაფიცვა გამოაცხადეს.
— იტალიაში დაარსდა საბჭოთა კავშირთან [illegible] ციო საზოგადოება.
— ხორვატიის გლეხთა პარტიის ბელადი სტეფან რადიჩი [illegible] საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლების
— რიფების ტომები განაგრძობენ ბრძოლას ესპანელების წინააღმდეგ.
— ჩინეთის სხვადასხვა ქალაქებში დაიწყო გაფიცვები.
— გამწვავდა დამოკიდებულება ინგლის-ეგვიპტეს შორის.

ხუთშაბათი, 8 ივლისი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 154 (1609)

ბანკირების პროგრამა

კაიომ დეპუტატთა პალატაში „თავისი“ ფინანსიური პროგრამა გამოაქვეყნა. თუმცა მან განაცხადა, რომ მთავრობა ბრმად არ გაყვება ექსპერტების კომისიის პროექტსო, მაგრამ მისი დეკლარაცია არსებითად უკანასკნელის განმეორებაა და მეტი არაფერი.

პარლამენტარიზმის თვალსაზრისით უჩვეულო პრეცედენტი შეიქმნა საფრანგეთში: არა მთავრობა და პარლამენტის საფინანსო კომისია ამუშავებენ ფინანსიურ პროგრამას, არამედ ექსპერტების კომიტეტი, რომელიც სცდილობს თავისი წინადადებები მოახვიოს ქვეყანას. ექსპერტები მსხვილი მრეწველებისა და ბანკირებისაგან შესდებიან და ისინი ახვევენ მთავრობას და პარლამენტს თავის ნებისყოფას. ფაქტიურად დღემდეც ასე ხდებოდა, მაგრამ პარლამენტის მოჩვენებითი სუვერენიტეტი მაინც იყო დაცული. ეხლა კი ბანკირები ოფიციალურად აცხადებენ თავის დიქტატურას და მოითხოვენ საფინანსო საქმეებში პარლამენტის უფლებების შეზღუდვას და მთავრობას უკარნახებენ მათ მიერ წამოყენებულ ღონისძიებათა გატარებას. ნამდვილი მთავრობა ექსპერტების კომიტეტია, მთავრობა კი მისი ხელქვეითი ორგანო.

პარლამენტარიზმის პრესტიჟის ჩაწიხვლა იმიტომ გახდა დღეს საჭირო, რომ დეპუტატთა პალატის უმრავლესობა ე. წ. „დემოკრატიულ“ პარტიებისაგან შესდგება, რომელნიც თუმცა ნაციონალურ ბლოკის ფეხის ხმას მისდევენ, მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი: მსხვილი ბურჟუაზიის მადა ისე შორს წავიდა, რომ მისი დაკმაყოფილება „მემარცხენე“ ბლოკის მიერ უკანასკნელის სრულ თვითმკვლელობას უდრის, ამომრჩეველ მასსის წინაშე მთლიანად გაშიშვლებას და ყოველგვარი ნდობის დაკარგვას.

რას მოითხოვენ ექსპერტები და მასთან კაიო ფრანკის სახსნელად, საფრანგეთის გადასარჩენად ფინანსიური გაკოტრებიდან? რა თქმა უნდა, არა მსხვილი კაპიტალის დაბეგვრას, რაც ერთად-ერთი გამოსავალი იქნებოდა იმ ჩიხიდან, რომელშიც დღეს მომწყვდეულია მესამე რესპუბლიკა. პირიქით: წარმოიდგინეთ, მსხვილი ბურჟუაზია, თუ კაიოს და ექსპერტებს დაუჯერებთ, შევიწროებული და ზედმეტად დაბეგრილი ყოფილა და ისინი საჭიროდ სცნობენ მისი „მძიმე ტვირთის“ შემსუბუქებას; მსხვილ კაპიტალზე გადასახადის შემცირება, — ასეთია ერთ-ერთი მუხლი კაიოს პროგრამის.

სამაგიეროდ ქვეყნის ფინანსიურ გაჯანსაღების საქმეს [illegible] შეეწიროს მშრომელი მოსახლეობა, რომელიც ისედაც აუტანელ მდგომარეობაშია ჩავარდნილი: მუშა-მოსამსახურეთა სამუშაო ხელფასის შემცირება, არაპირდაპირი გადასახადების გადიდება, მშრომელთა ხარჯზე მომჭირნეობის გამოჩენას,—ამგზით სურს კაიოს მიაღწიოს სულთმობრძავი ფრანკის სტაბილიზაციას და „დაჩაგრულ“ კაპიტალისტების გულის მოგებას. ლაპარაკობენ აგრეთვე რვა საათის სამუშაო დღის გაუქმებაზე. არც ეს იქნება გასაკვირი მას შემდეგ, რაც მუსოლინიმ 9 საათიანი სამუშაო დღე დაუშვა და კონსერვატორების მთავრობამ სანახშირო მრეწველობაში 8 საათის სამუშაო დღე დააკანონა.

ყველა გრძნობს, რომ ასეთი ზომები უმტკივნეულოდ ვერ ჩატარდება, რომ ისინი გამოიწვევენ მშრომელ მასაში საყოველთაო გულისწყრომას და რევოლიუციონურ მოძრაობის გაძლიერებას. და აქ ამიტომაც მოითხოვს მთავრობა განსაკუთრებულ უფლებებს, ამიტომაც დაუქვემდებარეს კაიოს სამხედრო და შინაგან საქმეთა მინისტრები: ჯარისა და პოლიციის მიშველების გარეშე შეუძლებელი იქნება მშრომელთა გაღუნვა წელში.

კაიოს „რეფორმა“ არ ამოიწურება შინაურ ხასიათის ღონისძიებებით, ის გულისხმობს გარეშე სესხის აღებას, ურომლისოდ ფრანკის განმტკიცება მოუხერხებელია. და აქ წამოჭრილია საფრანგეთის „დაუესიზაციის“ აუცილებლობა. ჯერ ერთი, ამერიკა მოითხოვს ვალების საკითხში საფრანგეთ-ამერიკის შორის დადებულ, პირველისათვის მეტად მძიმე შეთანხმების დაუყოვნებლივ რატიფიკაციას. კაიოს დეკლარაცია ამ მოთხოვნას აკმაყოფილებს.

ეს ცოტაა. ამერიკა მხოლოდ მაშინ მისცემს სესხს საფრანგეთს, თუ უკანასკნელის სახალხო მეურნეობაზე დაწესდება ამერიკელ ბანკირების კონტროლი, რაც ნიშნავს საფრანგეთის სრულ ეკონომიურ და, მაშასადამე, პოლიტიკურ დამონებას. ამ მიზნით უნდა შეიქმნეს საემისიო ბანკი ამერიკა-ინგლისის კაპიტალით, საფრანგეთის ბანკის კრედიტები განცალკევებულ უნდა იქნეს სახელმწიფოს კრედიტებისაგან, ე. ი. საფრანგეთის ბანკი მთლიანად უნდა გამოეყოს მთავრობას, გადაყენებულ იქნეს საფრანგეთის ბანკის დირექტორი რობინო, და სხ. სტრონგის (ამერიკის სარეზერვო ბანკის დირექტორი) ეს მოთხოვნები ნაწილობრივ უკვე განხორციელებულია. მაგ. უკანასკნელი ორი მუხლი. კაიოს პროგრამა საფრანგეთს უმზადებს გერმანიის ბედს, აგდებს მას ამერიკის კლანჭებში.

თუ როგორ შეხვდებიან კაიოს დეკლარაციას დეპუტატთა პალატის „დემოკრატიული“ ჯგუფები, ამას ამ დღეებში გავიგებთ. თუ მათ ქედი მოიდრიკეს ექსპერტების და მათი აგენტის, კაიოს წინაშე, ეს, როგორც ვსთქვით, იქნება მათი საბოლოო გაკოტრება. ფართო მოსახლეობაში გაქრება ის უკანასკნელი ილიუზიები, რომლითაც ჩამორჩენილი მასსები კიდევ უკავშირებენ „მემარცხენე ბლოკს“.

საბჭოების გადარჩევის გაკვეთილები

(„პრავდა“-ს მოწინავე)

მასალები, რომელნიც შეეხებიან საარჩევნო კამპანიის ზოგიერთ შედეგებს, დიდის ყურადღებით უნდა იქნან შესწავლილი პარტიის წევრების მიერ.

უპირველეს ყოვლისა, თვალში გვხვდება სოფლის აქტივობის დიდი ზრდა ქალაქის მოსახლეობისა და მის რიცხვში პროლეტარიატის აქტივობასთან შედარებით. ეს საერთო შედეგი უნდა აღინიშნოს პირველ რიგში და, თავის თავად ცხადია, სათანადოთ უნდა იქნას შეფასებული. სწორ პოლიტიკას ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ პროლეტარიატის ხელმძღვანელობის განმტკიცება უზრუნველყოფს. პროლეტარიატი და მისი პარტია დაინტერესებული არიან საბჭოთა ყველა ფენების, ე. ი. ქვეყნის მთელი მშრომელი მასის აქტივობის უშუალო ზრდით. მაგრამ ყველაზე აქტიური უნდა იყოს მშრომელთა ის ნაწილი, რომელსაც ეკისრება და უნდა ეკისრებოდეს ხელმძღვანელობის ამოცანა. აი, სწორედ ამიტომ, პარტიის ყველა გადაწყვეტილებანი, პირველ რიგში ჩვენი უკანასკნელი ყრილობის გადაწყვეტილებანი, დაჟინებით მოითხოვენ, უპირველეს ყოვლისა, პროლეტარიატის აქტივობის ზრდის აუცილებლობას. მაგრამ საარჩევნო კამპანიის შედეგები რამოდენიმედ ეწინააღმდეგებიან იმ ხაზს, რომელიც მოგვცა ჩვენმა პარტიულმა ყრილობამ. და პარტიის ყველა წევრების წინაშე სდგება ამოცანა, რომ აქედან სათანადო დასკვნები იქნას გამოტანილი: როგორც პროსაბჭოების, რომელთაგან ბევრი თავის მუშაობაში დაშორდა მუშათა მასსას, ისე პროფკავშირების და პარტიის, როგორც ასეთის, მუშაობის გაცხოველების ხაზით.

თუ მხოლოდ ქალაქს ავიღებთ, აქ არჩევნების შედეგები გვიჩვენებენ, რომ ძალიან იზრდება წვრილ-ბურჟუაზიულ ელემენტების აქტივობა. ესეც სიმპტომია, რომელმაც პარტიის ყველა წევრების დიდი ყურადღება უნდა მიიქციოს. ცხადია, რომ არ იყო გაკეთებული ყველაფერი, რაც საჭირო იყო ჩვენი პარტიული ყრილობის სავალდებულო დადგენილებათა შესასრულებლად.

მეორეს მხრით, სოფლის არჩევნებმა გვიჩვენეს, რომ ყველაზე ნაკლებ აქტიური ელემენტებია—ღარიბი გლეხობა და მოჯამაგირენი. ჩვენ შევსძელით საშუალო გლეხობის გააქტივება, მაგრამ ღარიბთა და მოჯამაგირეთა შორის მუშაობის შედეგებით ვერ დავიკვეხნით.

მართალია, აქ ჩვენს წინაშე სდგას დამატებითი დაბრკოლებათა მთელი რიგი, მართალია, პარტია ახალ გზაზე შესდგა და ეხლახან შეუდგა ამ ფრიად ამოცანის შესრულებას, მაგრამ ეს „შემამსუბუქებელი გარემოებანი“ ოდნავადაც ვერ ანელებენ თვით ფაქტს. აქედანაც უნდა იქნას გამოტანილი აუცილებელი დასკვნები.

სოფლის არჩევნები გვიჩვენებენ, რომ თუ აქ საგრძნობლად აღმოფხვრილია „ბრძანებლობის“ მეთოდები, სამაგიეროდ კომუნისტური უჯრედების ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ შეუთვისებიათ ხელმძღვანელობის უნარი.

ანგარიშთა მთელი რიგი მოწმობს თავისებურ „მაჩაჩალობას“, რაიც ემჩნევა სოფლის ზოგიერთ კომუნისტებს, რომლებმაც ვერ მიაგნეს ხელმძღვანელობის მტკიცე ხაზს და ხშირად სუდში მისჩანჩალებენ მასას, იმის მაგიერ, რომ უხელმძღვანელონ მას. ამ ნიადაგზე ვამჩნევთ სხვადასხვა უარყოფით მოვლენების მთელ რიგს. ამას ბოლო უნდა მოეღოს. რასაკვირველია, არ იყო მოსალოდნელი, რომ სოფლის კომუნისტების კადრები, სამხედრო კომუნიზმის დროის ფაქტიურ ადმინისტრატიულ ბრძანებლობიდან ერთბაშად დაადგებოდენ სწორ ხელმძღვანელობის გზას. ამისათვის საჭირო იყო დრო და განსაზღვრული, უკვე მიღწეული წარმატებანი. მაგრამ, როგორც არჩევნებმა გვიჩვენეს, ეს მიღწევები არაა მაინცდამაინც დიდი, და ძალიან ცოტაა იმ ამოცანებთან შედარებით, რომლებიც პარტიამ დაისახა.

არ უნდა დავივიწყოთ ის დიდი გადაჯგუფებანი, რომლებიც ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში მოხდა მშრომელთა მასების შემადგენლობაში. ქალაქებში ამ მატების მნიშვნელოვანი წილი ეკუთვნის მუშებს, რომლებიც ეხლახან გლეხები იყვნენ, და რომლებიც არ იცნობდენ ქალაქებს და საერთოდ საზოგადოებრივ ცხოვრებას, და პროლეტარებს, რომლებმაც სამოქალაქო ომისა და მთელი რევოლიუციის ქარ-ცეცხლი გაიარეს. სოფლებში ფეხზდგება ახალგაზრდობა, რომელიც „ახალ საფუძველზე“ იზრდება, მაგრამ მან არ იცის ახლობელი ისტორიული წარსული. ამასთან ერთად იზრდება ქალაქის წვრილი ბურჟუაზია, ნეპმანი, „კულაკი“ და სხ., რომლებიც სცდილობენ შეძვრენ ჩვენი აპარატის ყოველ კუნჭულში და ამავე დროს გასაოცარ მოქნილობას იჩენენ.

ასეთ პირობებში აუცილებელია პარტიული ენერგიის ამოქმედება. კვნესა, „ობივატელური“ [illegible], გულზე ხელების დაკრეფა და სხ. განდევნილი უნდა იქნას ჩვენი რიგებიდან. პარტიამ დიდი გამარჯვებები მოიპოვა და მისი ხელმძღვანელობით ყოველ საათში იზრდება ჩვენი ქვეყნის ძლიერება, თუმცა არ ზრდას თან სდევს სხვადასხვაგვარი კრიზისები შეცდომები, დაბრკოლებანი განვითარების ტემპში. ამ ზრდამ არ უნდა დაგვიბნელოს თვალები. ჩვენი მუშაობა უნდა იყოს გაუმჯობესებული, პირველ რიგში მიმართული უნდა იყოს განათლებისაკენ, შემჭიდროებისაკენ, პროლეტარულ მასების გააქტივებისაკენ და პროლეტარიატის ახალი ფენების აქტიურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაბმისაკენ.

ასეთია არჩევნების უმთავრესი გაკვეთილები. ეს გაკვეთილები უნდა შეითვისონ ყველა პარტიულებმა. ეს გაკვეთილები უნდა იქნან გამოყენებული ჩვენი საქმიანობის დროს.

გადმოცემულია ტელეგრაფით.
მოსკოვი, 7 ივლისი.

მომჭირნეობის რეჟიმის შინაარსი და მიზანი

ნახევარი წელი გადის, რაც მომჭირნეობის რეჟიმის კამპანია გვაქვს დაწყებული, რაც ამ მიმართულებით განუწყვეტელ მუშაობას ვაწარმოებთ სხვადასხვა კომისიების სახით, ხოლო მიღწეული შედეგები ვერ არის მთლად დამაკმაყოფილებელი.

ამის ერთ-ერთ მიზეზათ უნდა ჩაითვალოს ის შემცდარი მეთოდი, რომლითაც შეუდგენ ზოგი ჩვენი ორგანოები ამ დავალების შესრულებას. თუმცა პრესაში საკმაო ადგილი აქვს დათმობილი მომჭირნეობის რეჟიმის გარშემო წარმოებულ პრაქტიკულ მუშაობის მასებისათვის გაცნობას და მისი შემოღებით დასახული მიზნების და ამოცანების გაშუქებას, მაგრამ ეს საკითხი დღემდე კიდევ ვერ არის საბჭოთა მთელი საზოგადოებრიობის მიერ საკმაოდ გაგებული და შესწავლილი; ფართო მასები კიდევ ვერ არიან შესაფერი სიფხიზლით, მონდომებით და პასუხისმგებლობით ამ კამპანიაში ჩაბმული, მათ კიდევ არ იციან, თუ ამ ამოცანის ვადაწყვეტისაგან რამდენათ არის დამოკიდებული ჩვენი სოციალისტური ეკონომიკის წინსვლა.

ეს დირექტივა—ეკონომიის რეჟიმის შემოღება—მოცემული მე-14 პარტყრილობის მიერ, რომლის მუშაობის და ცენტრალურ ადგილს რესპუბლიკის ეკონომიკის შესწავლა და შეფასება წარმოადგენდა, არ არის ჩვეულებრივი, პერიოდული კამპანიის სახით ჩასატარებელი, ის უფრო ფართო შინაარსით და ხანგრძლივი დროით არის გათვალისწინებული.

მე-14 პარტყრილობის მიერ მოხდენილმა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის შეფასებამ დაგვანახვა, რომ პარტიის მიერ აღებული კურსი ამ ფრონტზე სავსებით გამართლებულია ჩვენს სინამდვილეში; შედარებით მოკლე პერიოდის განმავლობაში, ყოველგვარი რესურსების გარეშე, იმპერიალისტური და სამოქალაქო ომით დანგრეულ ქვეყანაში, რა თქმა უნდა, ფართო მასების შეგნებული და აქტიური მონაწილეობით, მოხერხდა ომის წინა დროის ეკონომიკის ყველა სიმაგრეების აღდგენა და მისი სოციალისტურ საფუძველზე აგება; მოვახერხეთ ის, რასაც ვერ ახერხებს ეკონომიურათ უფრო ძლიერი და გარეშე კრედიტებით გამაგრებული კაპიტალისტური ქვეყნები მშრომელი ხალხის გაძლიერებული ექსპლოატაციის საფუძველზედაც კი.

მაგრამ ამ მიღწევებით არ შეიძლება დასვენების გამოცხადება, სანამ უზრუნველყოფილი არ იქნება ჩვენი მეურნეობის სრული დამოუკიდებლობა. ხოლო ამის მისაღწევათ ყრილობამ, პარტიამ და ხელისუფლებამ მოგვცა ამოცანა—ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, ისე იგი ისეთი სამეურნეო პირობების შექმნა, როდესაც ჩვენი მრეწველობა აღარ იქნება დამოკიდებული კაპიტალისტური მეურნეობისაგან; როდესაც ჩვენ შევძლებთ აცილება იმ დისპროპორციის, რომელსაც აქვს ადგილი ჩვენს მრეწველობასა და სასოფლო-მეურნეობას შორის; როდესაც ჩვენ შევძლებთ საკუთარი პროდუქციით დაკმაყოფილება როგორც ბაზრის მოთხოვნილების, ისე სამეურნეო მექანიზმის ყველა საჭიროებათა; როდესაც ჩვენს სოციალისტურ წყობილებას მიეცემა ბაზა, მატერიალური შესაძლებლობა, მშრომელი ხალხის ნივთიერი პირობების სათანადოთ გასაუმჯობესებლად.

აი, ამ ამოცანის გადასაწყვეტათ არის მოცემული მომჭირნეობის რეჟიმის შემოღების დირექტივა და მისი გატარების დავალება.

ამ დირექტივის წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებელ წინასწარ პირობას წარმოადგენს, რომ ჩვენს მიერ სწორად იყოს გაგებული მთელი მისი შინაარსი და მიზანი და მისი ჩასატარებელი პრაქტიკული მეთოდიც დაკვირვებით იყოს გამომუშავებული.

სამწუხაროდ, ზოგი სამეურნეო ორგანოები ზერელეთ შეხვდენ ამ სერიოზული და ხანგრძლივი დროით მოცემული დავალების შესრულებას. და თუ ასე გაგრძელდა, ვიწრო კაბინეტური კომისიების მუშაობის სახით, ძალიან მცირე იქნება რეალური ნაყოფი.

მომჭირნეობის რეჟიმის არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას გაგებული ისე, რომ ის ყოველთვის და ყოველგან მოითხოვდეს უსათუოდ ბალანსის გასავალ ჯამის გროშებით შეკვეცას. პირიქით, წარმოების ტეხნიკური აპარატის მოწყობისათვის არ უნდა დავერიდოთ მცირე ხარჯების გაწევასაც, თუ ამით ხელს შეუწყობთ შრომის ნაყოფიერების აწევას, პროდუქციის გაიაფებას. რეჟიმის შემოღება უპირველესად ყოვლისა გულისხმობს საწარმოვო აპარატის და მთელი სამეურნეო მექანიზმის და სამუშაო ძალის მაქსიმალურად რაციონალურ გამოყენებას, რათა წავსწიოთ შენელებული პროპორციონალური ზრდა შრომის ნაყოფიერების ამაღლების პროცესისა, რასაც ხელს უშლის ზოგი სამეურნეო მუშაკების და მუშებს შორის შრომის დისციპლინის სუსტად გატარება, უმეურნეობა, დაუკვირვებლობა და უპასუხისმგებლობა და არა არსებულ ტეხნიკურ პირობებში ერთგვარი რეკორდის აღება.

არა ნაკლები ყურადღება უნდა მიექცეს სახელმწიფო აპარატის მაგარ და საფუძვლიან გამარტივებას, სადაც კანცელარიული შემოქმედების დისპუტია გამართული; უნდა გადავეჩვიოთ საქმის წარმოების ძველ სამ სართულიან წესებს, უნდა შევამციროთ ქაღალდებზე მუშაობა; უნდა გავამარტივოთ საქონლის ტრიალის და მიწოდების აპარატი, შევამციროთ ტრანსპორტის რთული მექანიზმით გამოწვეული ზედმეტი ხარჯები, რაც საგრძნობი პროცენტით ემატება საქონლის თვითღირებულებას.

მომჭირნეობის რეჟიმის აზრი და სული უნდა გაიგოს და იგრძნოს სახელმწიფო და კოოპერატიულ საზოგადოებრივმა ყველა ორგანოებმა, თვითეულმა ოჯახმა და კერძო პირმაც. მთელი ეს მუშაობა—მომჭირნეობის რეჟიმის ჩატარება უნდა ხასიათდებოდეს და მიმდინარეობდეს მასების უშუალო მონაწილეობით. განსაკუთრებული მოვალეობა ამ კამპანიაში აწევს პროფორგანიზაციებს, რომლებსაც არა ყველგან ახასიათებს შესაფერი ხელმძღვანელობა და მონაწილეობა ამ საქმეში. ამ დღეებში ჩატარებულმა საქ. პროფ. კავშირთა პლენუმმა, სადაც გამოირკვა, რომ საწარმოვო თათბირებს, რომელიც უნდა ჩაითვალოს რეჟიმის ჩამტარებელ მთავარ კერათ, არა თუ გაუძლიერებიათ, არამედ შეუსუსტებიათ კიდეც მუშაობა რეჟიმის ჩამტარებელ კომისიების პარალელურათ დაარსების გამო, განსაკუთრებული ყურადღებით აღნიშნა ეს დეფექტი.

მაგრამ ეხლა საჭიროა ამ მხრივ მეტი პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა; საჭიროა, რომ კავშირების ძირითად ორგანიზაციებმა, ქარხკომებმა, ადგილკომებმა და სხვ. გამოიჩინონ მთელი ინიციატივა და აქტივობა, გააძლიერონ ხელმძღვანელობა თათბირების მუშაობის გასაცხოველებლათ, მათ ჩასაბმელად მომჭირნეობის კამპანიაში.

საწარმოვო თათბირების მუშაობის გაფართოვება არა ნაკლებ მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ ის არის სკოლა, სადაც მუშა უნდა გაეცნოს წარმოების ყოველ მხარეს, სადაც უნდა მიიღოს მან ცოდნა და გამოცდილება მისი უშუალო ხელმძღვანელობისათვის, რადგან ის არის სოციალისტური წარმოების მფლობელი და მეთვალყურე. სამეურნეო და ტეხნიკურმა მუშაკებმა უნდა გაუწიონ მათ დახმარება. თათბირების სპეციალური და პრაქტიკული კითხვების გამდიდრებით, უსათუოდ, მივიზიდავთ მასებს ამ მუშაობაში, ხოლო სამეურნეო მუშაკებმა და პროფორგანიზაციებმა უნდა გამოიჩინონ მეტი ინიციატივა.

უნდა ვეცადოთ, რომ მხოლოდ ფართო მასების ამოძრავებით და მონაწილეობით შევძლებთ ჩვენ ამ დიდი დავალების—მომჭირნეობის რეჟიმის—განხორციელებას და მისგან გამომდინარე ამოცანის—ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის—გადაწყვეტას და სოციალისტურ მშენებლობის წინ წაწევას.

კლ. ჟიჟვილი.

ვისთვის მუშაობს კაიო

ბრიან-კაიოს სამინისტროს ბირჟა დიდის თანაგრძნობით მიესალმა და ზოგიერთი გაზეთი ფინანსთა მინისტრს ქება-დიდებას უგალობს.

ამ გარემოებამ არ უნდა გაგვაკვიროს. ბურჟუაზიას საბუთი აქვს, რომ ამ კაცს ენდოს, რომელსაც ის თავის საუკეთესო დამცველად სთვლის, კეთილგონიერ კონსერვატორად, ძველი სტილის ტეხნიკოსად. მაგრამ იმავე დროს მშრომელები შეშფოთებულნი არიან. ბირჟის და „საქმის“ ხალხი მათ აფხიზლებს, მათ ილუზიებს ფანტავს, თუ კი მათ კიდევ შერჩენიათ ილუზიები ბატ. კაიოს მომავალ როლზე.

1925 წელს ის უკვე იყო ფინანსთა მინისტრად, მაშინაც მას იმედებით შეხვდენ, რომელიც ჩქარა გაცრუვდა. მისი მეფობის დიდი იდეა იყო მაღალპროცენტიანი სესხის აღება, რომელიც აღარ მოხერხდა. შემდეგ იმ წუთში, როცა მან ყოვლის მხსნელი დიდებული პროექტები შეადგინა, ის უცებ გაჰქრა მოჩვენებასავით.

დღეს ის ხელახლა სახელმწიფოს ხაზინის მბრძანებელი გახდა. ეს თანამდებობა კრიტიკულ წუთში მიიღო. ის გვარწმუნებს, რომ შეუძლია საქმის გამოსწორება. გამოცდილება დაუმტკიცებს ყველას, ვინც მისგან სასწაულს ელის, რომ ის არც ჯადოქარია და არც სასწაულმომქმედი.

კაიოს დღევანდელი ექსპერიმენტი ასევე ცუდათ დამთავრდება, როგორც პირველი დამთავრდა; უწინარეს ყოვლისა პირობები გაუარესდა უკანასკნელი წლის განმავლობაში; შემდეგ ის პროგრამმა, რომელიც მან ახლახან წარმოადგინა ამტკიცებს, რომ მას ბურჟუაზიის გადარჩენა სურს ღარიბების, დაქირავებული მუშების და წვრილი ბურჟუაზიის ხარჯზე.

მართლაც, ბატ. კაიოს ნურას ეტყვით კაპიტალის დაბეგვრის შესახებ. ნურას ეტყვით აგრეთვე მდიდრების გადასახადების მიმატებაზე. ის აცხადებს, რომ საჭიროა, „მარხულობა“, მაგრამ, როცა „მომჭირნეობის აუცილებლობაზე“ ლაპარაკობს, მხოლოდ პროლეტარიატს, გლეხობასა და წვრილ ბურჟუაზიას გულისხმობს.

ის ამბობს: საჭიროა წარმოების ზრდა და მოხმარების შეკვეცა!“ ნამდვილად კი მუშები ხედავენ, რომ უკვე საკმაოდ მუშეობენ პარაზიტების გასამდიდრებლად, რაც შეეხება „მარხულობას“, ეს მათი ხვედრია უკვე დიდი ხანია მუშებმა იციან, რომ კაიო არ შეკვეცს იმ კაპიტალისტების მოგებას, რომელთაც უზარმაზარი ქონება შეიძინეს ომის დროს, რომ მხოლოდ მუშურ მთავრობას შეუძლია მათი მადის ალაგმვა.

ბატ. კაიო განაგრძობს ქაღალდის ფულის ბეჭდვას. ის ახალ სესხს აიღებს საფრანგეთსა და უცხოეთში. დიახ, ბატ. კაიო არავითარ ზიანს არ მიაყენებს არც საფრანგეთს, არც სხვა კაპიტალისტებს. ის აცხადებს, რომ ის მოწოდებულია ბურჟუაზიის სახსნელად, მისი შერყეული კრედიტის აღსადგენად; მაგრამ ეჭველია, ამ მიზანს ვერ მიაღწევს. ცხადია, მხოლოდ, რომ ეს სახიფათო ექსპერიმენტები ღარიბ კლასების ხარჯზე გაკეთდება; და მშრომელები წინდაწინვე გააფრთხილოთ მომავალი საფრთხის შესახებ.

უაზრო იქნებოდა, რომ კონსერვატორ მინისტრისაგან, რომელიც თუნდ კარგი ფინანსისტი ტეხნიკოსი, სხვა რამეს ველოდით გარდა თავისი კლასის დაცვისა.

ამას გარდა ის საჯაროდ აცხადებს, რომ ამ კლასის დასაცავად საჭიროა სათანადო მტკიცე ზომების მიღება; ამიტომ მას სურს, რომ გვერდით ჰყავდეს გენერალი, იმ შემთხვევისთვის, თუ მისმა პოლიტიკამ ხალხის მღელვარება გამოიწვია.

პროლეტარიატი ფხიზლად უნდა იყოს. ეხლა მისი ჯერია, რომ ენერგიული ზომები მიიღოს.

მარსელ კაშენ.

გაზეთების მიმოხილვა

საბჭოთა პრესა

ნაციონალური ეკონომიკის განვითარება

საბჭოთა ხელისუფლებამ არა მარტო მოსპო ყოველგვარი ნაციონალური ჩაგვრა და უფლებრივად გაათანასწორა საბჭოთა კავშირში მოსახლე ყველა ერი, არამედ იგი ამასთან ერთად ყოველ ზომას იღებს, რათა გამოიყენოს ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობიდან ძველი რეჟიმის დროს შევიწროებული ხალხები და შექმნას მათი აღორძინებისათვის ხელსაყრელი პირობები. მრეწველობის განვითარება ნაციონალურ რესპუბლიკებში და მათი პროგრესის და თავისუფალი არსებობისათვის მკვიდრი ეკონომიური ბაზისის შექმნა—ასეთია საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიური და ნაციონალური პოლიტიკა. ამ მხრივ კერძოდ დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის მრეწველობის გადანაწილებას ცალკე რესპუბლიკებსა და რაიონებს შორის. ეს საკითხი წამოჭრილია მრეწველობის გარდაქმნის და ახალ წარმოებათა შექმნის ამოცანასთან დაკავშირებით. გაზ. „იზვესტია“ მრეწველობის გადანაწილებას უდგება ჩვენი ნაციონალური პოლიტიკის თვალსაზრისით და სწერს:

„ჩვენი რესპუბლიკის საბჭოთა კავშირად გარდაქმნასთან ერთად განსაკუთრებით ცხადი შეიქნა მრეწველობის გადანაწილების პოლიტიკური მნიშვნელობა. რა თქმა უნდა, ნაციონალური საკითხის უკვე ის გადაჭრა, რომელსაც იძლევა საკავშირო კონსტიტუცია, აგრეთვე ავტონომიურ რესპუბლიკების და ოლქების შექმნა ჩვენს კავშირს უაღრესად ამტკიცებს. მეორეს მხრივ, ის უზრუნველყოფს დღემდე ჩამორჩენილ ეროვნებათა სწრაფ კულტურულ ზრდას, რაც წარმოდგენილია როგორც მეფის აშკარა ნაციონალური დევნის პოლიტიკის დროს, ისე ბურჟუაზიულ „ეროვნებათა თანასწორობის“ პირფერული პაციფისტური პოლიტიკის დროს. მაგრამ მუშურ-გლეხურ ქვეყანაში ეს საკმარისი არ არის. აუცილებელია ისეთი ნივთიერი ფუძის შექმნა, რომელიც არა მარტო შესაძლებელს გახდის განაპირა მხარეთა კულტურულ ზრდას, არამედ პირდაპირ გამოიწვევს მას.

თანამედროვე კულტურა არ შეიძლება განვითარდეს, სანამ ეკონომიკაში დარჩენილია საშუალო საუკუნეთა ელემენტები, სანამ იგი საერთოდ რჩება საშუალო საუკუნოებრივი, როგორც ამას ვხედავთ განაპირებში. მსხვილ მრეწველობის განვითარება განაპირებში გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენს. და მხოლოდ ამ შემთხვევაში მოახერხებს პროლეტარიატი შეასრულოს ბოლომდე ჰეგემონის განმანთავისუფლებელი როლი“.

როცა საკავშირო ცენტრის და პირველ ყოვლისა რუსეთის პროლეტარიატის დახმარებით განაპირა ნაციონალურ რესპუბლიკებში იწყება მრეწველობის განვითარება, ეს, რა თქმა უნდა, ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ამით რუსი ხალხი თითქო ხოლმე მსხვერპლს იღებდეს, თითქო ეს ნიშნავდეს რუსეთის ეკონომიურ დაქვეითებას. ასეთი მიზეზების წამოყენება შეიძლება ან შეუგნებლობით ან პროვოკაციული მოტივებით „იზვესტია“ განმარტავს.

„რ. ს. ფ. ს. რ. ეკონომიური ზრდა არამც თუ არ შეჩერდება, არამედ იქნება უფრო მკვიდრი, უფრო უშუალოდ დაახლოვებული ბუნებრივ პირობებთან. რასაკვირველია, რ. ს. ფ. ს. რ. ხვედრითი წონა შემცირდება იმ როლთან შედარებით, რომელსაც სათანადო ტერიტორია თამაშობდა ძველი რუსეთის ეკონომიკაში. მაგრამ შემცირდება არა იმიტომ, რომ მოხდეს მისი საწარმოო ძალების დაქვეითება,—პირიქით, ისინი სწრაფად გაიზრდებიან. ეს შემცირება, მაგ., ცენტრალურ-სამრეწველო რაიონის შედარებითი ეკონომიური მნიშვნელობისა გამომდინარეობს მხოლოდ და მხოლოდ აქედან, რომ ძველ რუსეთში ხელოვნურად აფერხებდენ განაპირა მხარეებში საწარმოო ძალების განვითარებას, ეხლა კი მას ხელს უწყობს ცენტრალური ხელისუფლება. წინად ცენტრალურ-სამრეწველო რაიონი იზრდებოდა განაპირა მხარეების ხარჯზე, ეხლა ის განვითარდება მათთან ერთად“.

უცხოეთის პრესა

„გალმა შეიდავე—გამოღმა დაგრჩება“-ო

ამ თქმულებით ხელმძღვანელობს ალბათ გერმანელ მენშევიკების გაზეთი „ფორვერტს“.

კომუნისტური პარტია ჩაუდგა სათავეში ფართო სახალხო მოძრაობას, მიმართულს მეფის გვარეულობის წინააღმდეგ გერმანიაში. მან ჩაატარა უდიდესი პოლიტიკური კამპანია, რომელმაც აამოძრავა მთელი გერმანიის პროლეტარიატი და გაღატაკებული საშუალო ფენები. კომუნისტური პარტია შეიქნა ყველა უკმაყოფილოთა და დაჩაგრულთა მებაირახტრე. სოციალ-დემოკრატია კი პირიქით, კუდში მისდევდა ამ მოძრაობას, შეშინებული მისი შესაძლებელი შედეგებით და რამდენადაც ის „მხარს უჭერდა“ მას—ამას სჩადიოდა იმიტომ, რომ ის იძულებული გახდა აქტივობის გზაზე კომპარტიის ინიციატივით გამოსულმა მისმა მუშა—მიმდევრებმა. ეს იყო დიდი დამარცხება სოციალ-დემოკრატიისა და ბუნებრივია, რომ ისიც სცდილობს ეს დამარცხება მიაფუჩეჩოს. ამიტომ ედავება ის „გაღმა“ კომპარტიას და თავისი გაზეთის პირით „მოგვითხრობს“ გასაოცარ „ამბებს“:

„კომუნისტური პარტია—სწერს „ფორვერტს“-ი—დამარცხდა პრინციპიალურად, რადგან მან მიმართა ხალხის პლებისციტს, დაადგა ხალხის მიერ ხმის მიცემის დემოკრატიულ გზას, უარი სთქვა აჯანყებაზე“.

კომუნისტურმა პარტიამ არა მარტო ბურჟუაზიულ პარტიებს, არამედ ამ „მუშათა პარტიებსაც“ „სისხლი გაუშრო“. როგორც საიმპერიო პარლამენტში, ისე ლანდტაგებში და ქალაქებში, თვითმმართველობებში (თუ გინდ, მაგალითად, იმავე ბერლინის თვითმმართველობაში) ე. ი. ნაქები დემოკრატიის დაწესებულებებში. მიუხედავად ამისა გერმანელ მენშევიკებს არ გამოუჩენიათ იმდენი „ჭკუა“, რომ ამის გამო მოეწყოთ ყვირილი, თითქოს კომპარტია უარს ამბობს ბრძოლის სხვა წესებზე, რადგან ის იბრძვის პარლამენტში. ეს „გენიალური აზრი“ მენშევიკებს მოუვიდათ გაჭირვების ჟამს, პლებისციტის შემდეგ. თითქოს ან პარლამენტარული მუშაობა ან, მით უმეტეს, პარლამენტის გარეშე მოძრაობა პლებისციტის გამო ნიშნავდეს რევოლიუციონური ბრძოლის უარყოფას. ეს სასაცილოა და ასეთ სასაცილო მდგომარეობაში ჩააგდო გერმანიის სოციალ-დემოკრატია პლებისციტის გარშემო წარმოებულმა ბრძოლამ.

იმის მაგიერ, რომ „ფორვერტს“ ასწავლიდეს კომუნისტებს, უკეთესს იზამდა მიეხედა საკუთარი სამწყსოსთვის და თავის ყაიდაზე აემუშავებია ის, თორემ არაჩვეულებრივი ჰანგები ისმის დღეს—განსაკუთრებით პლებისციტის შემდეგ—სოციალ-დემოკრატების რიგებიდან. ზოგიერთი პარტიული გაზეთები აშკარად ილაშქრებენ იმ „დემოკრატიის“ წინააღმდეგ, რომლის წინაშე თითქოს წამოჩოქებას დასცინის „ფორვერტსი“... კომუნისტებს. ეს მართლა, რომ „სანახაობაა“. ჩვენ გავაცნობთ მკითხველებს ამ სანახაობის ზოგიერთ ნიმუშებს.

საფრანგეთი ფინანსიური გაკოტრების წინ

კაიო პალატისაგან მოითხოვს განსაკუთრებული უფლებების მინიჭებას

გამოშვებული იქნება ქაღალდის ფულის ახალი ნიშნები

ინგლისში დღითი-დღე იზრდება უმუშევართა რიცხვი

კაიოს დიქტატურა

ექსპერტების მოხსენება

პარიჟი, 6 ივლისი. საფრანგეთის ფინანსიური გაჯანსაღების პროგრამა, რომელიც ექსპერტების კომიტეტის მიერ არის დამუშავებული, პირველ რიგში აყენებს საბიუჯეტო წონასწორობის დამყარების საკითხს, რისთვისაც აუცილებელი ხდება 8 მილიარდი ფრანკის ახალი გადასახადების შემოღება უახლოეს წლინახევრის განმავლობაში, და 5 მილიარდის სახაზინო ბილეთების გამოშვება, ე. ი. ინფლიაცია.

ექსპერტების მიერ დამუშავებული პროგრამით, საფრანგეთის ფინანსიური გაჯანსაღება უნდა მოხდეს ფართე მასების ხარჯზე, რადგან პროექტში შედის ფართო მასების დაბეგვრა არაპირდაპირი გადასახადებით. ამავე დროს დაწყებული არის შეტევა რვა საათის სამუშაო დღის წინააღმდეგ.

რაც შეეხება შეძლებულ კლასების ინტერესებს, მათ სრულიად არ ეხება ფინანსიური მდგომარეობის გასაჯანსაღებლად გამომუშავებული ღონისძიებები, პირიქით, ექსპერტების მოხსენება ითვალისწინებს მთელ რიგ შეღავათებს შეძლებული კლასებისათვის. მაგ. კაპიტალების უცხოეთში გატანის აკრძალვის გაუქმებას კაპიტალზე დადებულ გადასახადების შემცირებას. დასასრულ ექსპერტების პროგრამა გულისხმობს საფრანგეთის აუცილებელ დაქვემდებარებას საერთაშორისო ბანკირების კონტროლისათვის. სტაბილიზაციის საკითხის გადასაწყვეტად პროგრამა აუცილებლად სთვლის უცხოეთის სახელმწიფოებისაგან სესხის აღებას,—ინგლისსა და ამერიკას წინასწარ შეთანხმების შემდეგ საფრანგეთის დავალიანების მოწესრიგების შესახებ.

თვით ექსპერტები მოხსენების დასკვნით ნაწილში აღნიშნავენ, რომ ფინანსიური გაჯანსაღების მწვავე პროცესი გამოიწვევს ცხოვრების გაძვირებას, გაკოტრებას, და, შეიძლება, უმუშევრობასაც. მიუხედავათ ამისა, მოხსენება ხაზგასმით აღნიშნავს, რომ უმჯობესია ქვეყანამ ახლავე გადაიტანოს დროებითი კრიზისი, წინააღმდეგ შემთხვევაში საფრანგეთს მოელის ხანგრძლივი კრიზისის საფრთხე.

კაიოს სიტყვა

პარიჟი, 6 ივლისი. ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ დეპუტატთა პალატაში სიტყვა წარმოსთქვა კაიომ, რომელმაც აღნიშნა, რომ მთავრობა არ გაჰყვება ბრმათ ექსპერტების კომისიის პროექტს. მთავრობა მოითხოვს რწმუნებებს იმ მიზნით, რომ განახორციელოს საჭირო ფინანსიური ღონისძიებები: როგორც საერთო, ისე შემოსავლის კვალობითი გადასახადების განაკვეთის შემცირება, რკინისგზის ტარიფის გადიდება და სხვა.

ექსპერტების შემდეგ, კაიოც იმ დასკვნამდე მიდის, რომ შეთანხმება საფრანგეთის ამერიკისადმი დავალიანების მოწესრიგების შესახებ, შეიძლება დამტკიცებულ იქნეს მხოლოდ მაშინ, თუ შეთანხმების პირობები გაუმჯობესებული იქნება.

კაიო ფიქრობს, რომ ფრანკის სტაბილიზაციის განხორციელება შესაძლოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო გაატარებს მომჭირნეობის სასტიკ რეჟიმს. კაიოს სიტყვით, ახლო მომავალში მთავრობა დახურავს ყველა იმ სახელმწიფო დაწესებულებებს, რომელთაც პარაზიტული ხასიათი აქვთ.

„ფინანსიური—ქირურგი“

პარიჟი, 7 ივლისი. „პარი მიდი“ ხაზს უსვამს კაიოს გამარჯვებას დეპუტატთა პალატის გუშინდელ სხდომაზე. გაზეთის აზრით, ვაშინგტონის ხელშეკრულება კვლავ დარჩება ფინანსიურ ოპერაციების დასაყრდნობად. 11 ივლისის შემდეგ დეპუტატთა პალატაში დაიწყება პირველი ბრძოლა, შემდეგ დადგება საკითხი განთქმულ ფინანსისტ-ქირურგისათვის რწმუნებულებათა მიცემის შესახებ. რომ ცხოვრებაში გატარდეს ფინანსების გაჯანსაღების დირექტივები, რომლებიც დეპუტატთა პალატის გუშინდელ სხდომაზე წარმოადგინა კაიომ. კაიოს მიერ წარმოდგენილ გეგმას თემთა პალატაში აპლოდისმენტებით შეხვდენ მრავალი რადიკალი, მემარცხენე ცენტრი და მემარჯვენე ცენტრის ნაწილი. საფრანგეთის ფინანსიურ გაჯანსაღების საკითხის შესახებ სიტყვით გამოვიდენ ფრანკლინ ბუიონი, ბლიუმი და ტარდიე.

„პარი მიდი“ დაასკვნის, რომ ზოგიერთების ფიქრით, კენჭის ყრის შედეგები ასეთი იქნება: 220 ხმას მისცემს ექსპერტების პროექტს და 140 კი წინააღმდეგ მისცემს ხმას. დანარჩენები თავს შეიკავებენ ხმის მიცემისაგან. ეს იქნებოდა, სწერს „პარი მიდი“, ცოტა და ბევრიც ერთსა და იმავე დროს.

ინგლისის ამბები

პრესა კაიოს შესახებ

პარიჟი, 7 ივლისი. გაზეთები ეხებიან კაიოს მიერ წარმოთქმულ სიტყვას.

„ეკო დე პარი“ აღნიშნავს, რომ კაიოს პროგრამა — მოსაწონია ის თუ დასაწუნი — მიუხედავათ ამისა მაინც საკმაოდ დიდი ნამუშევარია.

„ფიგარო“ ლაპარაკობს, რომ სამინისტროს ბედ-იღბალი ზომიერებისაგან იქნება დამოკიდებული.

„ჟურნალ“ სწერს, რომ კაიო ლაპარაკობდა, როგორც ტეხნიკოსი, ხოლო დეპუტატთა პალატა მას უსმენდა „შიშითა და ცახცახით“.

„ერ ნუველ“ ლაპარაკობს, რომ საჭიროა არჩევანი საკითხის მარქსისტული, ან სხვა რომელიმე თვალსაზრისით გადაჭრას შორის.

აკრძალული დემონსტრაცია

პარიჟი, 6 ივლისი. ომის ყოფილ მონაწილეთა კავშირმა დაადგინა მოაწყოს დემონსტრაცია საფრანგეთის ამერიკისადმი დავალიანების მოწესრიგებისათვის დადებულ შეთანხმების წინააღმდეგ. შინაგან საქმეთა მინისტრმა დემონსტრაცია აკრძალა.

ფლოტის გასაძლიერებლად

პარიჟი, 7 ივლისი. დეპუტატთა პალატამ მეორე წაკითხვით მიიღო გემების აშენების ბიუჯეტი მიმდინარე წლისათვის 960 მილ. ფრანკის რაოდენობით.

პრესის აზრი

პარიჟი, 6 ივლისი. ბურჟუაზიული პრესა გაურბის ექსპერტების კომისიის პროექტის განხილვას მთლიანად და აღნიშნავს მის მხოლოდ ცალკე ნაკლულოვანებებს:

ლითონის მრეწველობის კომიტეტის ორგანო „ყოველდღიური ბიულეტენი“ ესალმება პროექტის იმ ნაწილს, რომელიც ეხება ბიუჯეტის საკითხებს, განსაკუთრებით საგადასახადო პოლიტიკის საკითხს. სტაბილიზაციის გეგმით „ბიულეტენი“ აღფრთოვანებულია. „ბიულეტენი“ აღნიშნავს, რომ ექსპერტების მიერ წარმოდგენილი სტაბილიზაციის გეგმა ნიშნავს ფარულ ინფლიაციას, რადგან გეგმის თანახმად საფრანგეთის ბანკი უცხოეთის ვალიუტით სესხით მიღების შემდეგ ამ თანხებიდან ნაციონალურ თავდაცვის და სახელმწიფო ხაზინის ბონების დასაფარავათ გადასდებს 8 მილიარდ ფრანკს.

გარდა ამისა პროექტის მიხედვით, ფასების მოსალოდნელ გადიდების გამო, სავაჭრო ბრუნვის საჭიროებისათვის გამოშვებულ უნდა იქნეს ქაღალდის ფული. დასახელებულ ღონისძიებებს შეიძლება მოჰყვეს სპეკულიაციის გაძლიერება და ფრანკის დაცემა.

ფრანკის სტაბილიზაცია, ამბობს „ბიულეტენი“, არ ჩაიშლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საფრანგეთის ბანკს იქნება უცხოეთის ვალიუტის საკმაო მარაგი, ამ ვალიუტის გამოსატანათ ბაზარზე საჭიროებისამებრ.

სააგენტო „კაპიტალ“-ის ბიულეტენში აღნიშნულია, რომ ექსპერტთა კომისია თავის მოხსენებაში არ იძლევა იმ ხარჯების ციფრებს, რომელიც საჭირო იქნება სტაბილიზაციის გეგმის გასატარებლათ. ბიულეტენში მოყვანილია ეს ციფრები.

ყოველწლიურად საჭირო იქნება: საბიუჯეტო დეფიციტის დასაფარავად 5 მილიარდი ფრანკი ეხლანდელი კურსით, სასტაბილიზაციო სესხის პროცენტების გადასახდელად ნახევარი მილიარდი ფრანკი. გარდა ამისა, შეთანხმების თანახმად, შეერთებულ შტატებისადმი დავალიანების ანგარიშში საფრანგეთმა პირველად უნდა გადაიხადოს 1.100 მილ. ფრანკი, ხოლო საფრანგეთის ინგლისისადმი დავალიანების ანგარიშში—2.500 მილ. ფრანკი. სულ 10.850 მილ. ფრანკი ეხლანდელი კურსით.

შემდეგ ბიულეტენში აღნიშნულია, რომ ამერიკის და ინგლისის ხვედრი თანხები ყოველწლიურად 3-4-ჯერ იზრდება და ფასების ზრდა კიდევ მეტ თანხებს მოითხოვს ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავათ.

ასეთ მსხვერპლს არაპირდაპირ გადასახადების გამღები ვერ მოვთხოვთ.

ხან ფილის სააგენტოს ბიულეტენში ნათქვამია, რომ ექსპერტების პროექტი გულისხმობს საშინაო ქაღალდის ფრანკის სესხის შეცვლას საგარეო ოქროს სესხით.

ექსპერტების მოხსენება მოწონებულია

პარიჟი, 6 ივლისი. მინისტრთა საბჭომ მოიწონა ექსპერტთა მოხსენება. კაიოს განზრახვა აქვს მოხსენებით გათვალისწინებული ღონისძიებები განახორციელოს სავსებით მის მიერ დამუშავებულ ღონისძიებებთან ერთად. კაიოს პალატაში შეაქვს კანონ-პროექტი, რომელიც მთავრობას ანიჭებს საჭირო უფლებებს 6 თვის ვადით განზრახულ ფინანსიურ ღონისძიებათა გასატარებლად.

ინგლისის მუშების ბრძოლა

გადამწყვეტი ბრძოლის წინ

ლონდონი, 6 ივლისი. ინგლისის მაღაროს მუშების ბრძოლა გადამწყვეტ ხასიათს ღებულობს.

იმ თავითვე ბრძოლა სამი ძირითადი საკითხის გარშემო სწარმოებს: სამუშაო დროის ხანგრძლივობის, სამუშაო ხელფასის რაოდენობის და ხელშეკრულებათა სისტემის გარშემო.

ეხლა მაღაროების მეპატრონეებს ფიქრობენ, რომ დადგა ხელსაყრელი მომენტი შიმშილისაგან გაწამებული მემაღაროე მუშების ერთიანი ფრონტის გასარღვევად; ამიტომ ისინი სხვადასხვა რაიონის მუშებს წინადადებით მიმართავენ განაახლონ მუშაობა. ყველა წინადადებებს საფუძვლად უდევს რვა საათის სამუშაო დღე და აპრილის თვის სამუშაო ხელფასი. საერთოდ ასეთი ხასიათის წინადადება მიეცა სულ 500.000 მუშას.

სამთამადნო მუშების ფედერაცია სასტიკ ბრძოლას აწარმოებს მაღაროების მეპატრონეთა ცდის წინააღმდეგ გაარღვიონ სამთამადნო მუშათა ფრონტი და მოუწოდებს ყველა გაფიცულთ არ დასთანხმდნენ არც ხელფასის შემცირებაზე, არც სამუშაო დროის გადიდებაზე და არც ხელშეკრულების დადებაზე ცალკე ჯგუფების მიხედვით.

პერსელის შეკითხვები

ლონდონი, 6 ივლისი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ მუშათა პარტიის წევრმა პერსელმა ვაჭრობის სამინისტროს მისცა შეკითხვა, გაცნობილი არის თუ არა ის მემორანდუმს, რომელიც ამ ცოტა ხნის წინად გამოაქვეყნა რუსეთ-ინგლისის სავაჭრო პალატამ და რომელიც მოწმობს რუსეთ-ინგლისის ვაჭრობის მნიშვნელოვანათ გადიდების შესახებ; იცის თუ არა მან, რომ საბჭოთა კავშირი ერთად ერთი ქვეყანაა მსოფლიოში, რომელმაც 1920 წლიდან შეასრულა ყველა თავისი ვალდებულებები ინგლისის ექსპორტიორების მიმართ. აპირებს თუ არა ამის გამო მინისტრის სავაჭრო შეღავათების კანონის გავრცელებას საბჭოთა კავშირთან მოვაჭრე ინგლისის ფირმებზე.

საგარეო ვაჭრობის საქმეთა სტატს სეკრეტარმა სემიუელმა უპასუხა, რომ სავაჭრო პალატის მემორანდუმის შესახებ მან არაფერი იცის.

შეკითხვის მეორე ნაწილზე სემიუელმა უპასუხა, რომ საჩივრები საბჭოთა კავშირის მიერ სავაჭრო ვალდებულებების დარღვევის შესახებ არ ყოფილა. შეკითხვის მესამე ნაწილის შესახებ სემიუელი დაეყრდნო წინანდელ პასუხებს ანალოგიურ შეკითხვებზე.

გერმანიის ნახშირი

ბერლინი, 6 ივლისი. გერმანიის სამთამადნო მუშების კავშირის პლენუმზე, კავშირის წარმომადგენელმა გუზემანმა, რომელმაც მოხსენება გააკეთა ინგლისის მაღაროელ მუშების გაფიცვის შესახებ, განაცხადა, რომ 19 ივნისამდე ინგლისში შეუზიდავთ 22 მილიონი ფუთი გერმანული ქვანახშირი, რაც მისი აზრით, ბევრი არ არის.

გაკვრით გუზემანი ჰკიცხავდა ინგლისის მეზღვაურებს, რომელნიც უარს ამბობდენ ქვანახშირის გადატვირთვისთვის ხელის შეშლაზე.

უმუშევრობის ზრდა

ლონდონი, 7 ივლისი. სტატისტიკურ ცნობებით, ინგლისში უმუშევრობა ერთი წლის განმავლობაში გადიდებულა 334.357 კაცით. ამ რიცხვში არ შედიან გაფიცული მემაღაროენი.

მთავრობის პოზიცია

ლონდონი, 7 ივლისი. იმის გამო, რომ იორკშირის რაიონის მემაღაროენი არ დასთანხმდენ მაღაროს მეპატრონეთა წინადადებაზე, მთავრობამ გადამჭრელი ზომები მიიღო იმისათვის, რომ კანონად იქცეს სანახშირო კანონ-პროექტი, რომელიც მიწის ქვეშ სამუშაოსათვის 7 საათზე მეტ სამუშაო დღეს აწესებს დროებით.

მთავრობას და პრემიერს სურთ, რომ იორკშირში წამოყენებულ პირობებით გამოწვეული ეჭვები მანამდე იქნეს მოსპობილი, სანამ თემთა პალატაში შეტანილ იქნება თხოვნა მუშაობის დაჩქარების შესახებ. კანონ-პროექტმა კანონის ძალა ხუთშაბათს უნდა მიიღოს.

იორკშირის მაღაროს მეპატრონეები მოითხოვენ მოგების ასეთი პროპორციით განაწილებას: 85 პროც.—სამუშაო ხელფასისათვის და 15 პროც. უნდა გადაირიცხოს შემოსავალში იმ 87 პროც. და 13 პროც. მაგიერ, რომელიც 1924 წელს იყო დაწესებული. მთავრობა ამ წინადადებას არა დამაკმაყოფილებლად სცნობს. ასეთი წინადადება არც ერთ სხვა რაიონში არ მიუღიათ.

მთავრობის პოზიციის შესახებ ლორდთა პალატაში მოხსენება გააკეთა ლორდ სესილმა. მან განაცხადა: „მთავრობა ფიქრობს, რომ მას განსაკუთრებული მოვალეობა ეკისრება როგორც მაღაროების მუშების, ისე მაღაროს მეპატრონეთა მიმართ. მთავრობას სრულიად არ აკმაყოფილებს იორკშირის მაღაროს მუშების წინადადება. რომ ყოველგვარი გაუგებრობა გამოირკვეს, მთავრობა არა სდგამს განსაკუთრებულ ნაბიჯებს კანონ-პროექტის გატარების დასაჩქარებლად.

ლორდთა პალატაში

ლონდონი, 7 ივლისი. ლორდთა პალატამ 176-ხმით 17-ის წინააღმდეგ მიიღო მეორე კითხვით კანონპროექტი რვა საათის სამუშაო დღის შემოღების შესახებ სამთამადნო მრეწველობაში.

ლორდ სესილმა განაცხადა, რომ მთავრობას არ სურს პროექტის მიღების დაჩქარება, ვინაიდან ზოგიერთი ახალი წინადადებები, რომელნიც მაღაროების მეპატრონეებმა სამთამადნო მუშებს წარუდგინეს, მთავრობის აზრით არ არის საკმარისი.

როგორც ლორდ სოლსბერიმ განმარტა, განზრახულია კანონპროექტის მესამე წაკითხვა დანიშნოს ხუთშაბათს.

ტომასი საქმეებს აჭახრაკებს

ლონდონი, 6 ივლისი. რკინისგზელთა ნაციონალურ კავშირის ყოველდღიურ სადელეგატო კონფერენციის სხდომაზე ტომასმა მოხსენება გააკეთა საყოველთაო გაფიცვის შესახებ. რეზოლიუცია, რომლის კენჭის ყრა ჯერ არ მომხდარა, ნდობას უცხადებს ტომასს, ხოლო შესწორება საჭიროდ სთვლის, რომ ეს საკითხი გადადებულ იქნეს ნახშირის მრეწველობაში არსებულ კონფლიქტის მოწესრიგებამდე.

რკინისგზელთა ნაციონალურ კავშირის წესდებაში არაფერი არ არის ნათქვამი გენერალურ მდივნის გადაყენების შესახებ; მემარცხენე ფრთას შეუძლია მხოლოდ გაკიცხვა გამოუცხადოს ტომასს. კონფერენციამ შესცვალა თავისი გადაწყვეტილება ბურჟუაზიულ ჟურნალისტების არ დაშვების შესახებ. ტომასმა პრესის წარმომადგენლებს აცნობა, რომ მათ შეუძლიათ დაესწრონ კონფერენციის ღია კრებებს.

პილსუდსკის რესპუბლიკაში

მემარცხენე ბლოკის დაშლა

ვარშავა, 6 ივლისი. ეგრედ წოდებულ „მემარცხენე ბლოკის“ უკანასკნელმა თათბირმა პოლონეთის კონსტიტუციის შეცვლის საკითხის შესახებ ცხადჰყო სრული არევ-დარევა მემარცხენეთა ბანაკში. შრომის კლუბს სრულებით არ მიუღია მონაწილეობა თათბირში. „ვიზვოლენიე“ — საშუალო და წვრილი გლეხობის წარმომადგენელი ფიქრობს, მხარი დაუჭიროს მთავრობის პროექტებს. პოლონეთის სოციალისტურ პარტიის და გლეხთა კავშირის (ბრილის ჯგუფს) შესაძლებლად მიაჩნიათ პრეზიდენტისათვის სეიმის დათხოვნის უფლების მიცემა, მაგრამ ეწინააღმდეგებიან მთავრობის დანარჩენ მოთხოვნებს.

ასეთ უთანხმოებათა გამო, მემარცხენეების თვითეული კლუბი, სეიმში გამოვა ცალკე, რაც მეტ შანსებს აძლევს მთავრობის პროექტს.

მთავრობასაც თათბირები აქვს კონსტიტუციის საკითხების შესახებ. უკანასკნელ თათბირებში იუსტიციის მინისტრს მაკოვსკის არ მიუღია მონაწილეობა. პოლიტიკურ წრეებში ამ გარემოებას ხსნიან მით, რომ პილსუდსკი უკმაყოფილოა მაკოვსკით, რომელიც პილსუდსკის აზრით ძალიან შორს მიდის თავის კონსტიტუციურ პროექტებით. ხმებია, რომ შესაძლოა მაკოვსკი გადადგეს.

ახალი განხეთქილება

ვარშავა, 6 ივლისი. ნაციონალურ მუშათა პარტიაში თავი იჩინა განხეთქილებამ. მთელი რიგი ადგილობრივ ორგანიზაციებისა უკმაყოფილოა პარტიის ხელმძღვანელობით.

უკმაყოფილო ელემენტებს მეთაურობენ პილსუდსკის თანაგრძნობისათვის ამას წინად პარტიიდან გამორიცხული შიშაკი და ლოძის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ვაშკევიჩი.

გაზეთების ცნობით, განხეთქილება ფორმალურად მოხდება სეიმში, როცა დაიწყება კამათი კონსტიტუციის შეცვლის შესახებ.

ნახშირის ტრანზიტი

ვარშავა, 6 ივლისი. პოლონეთის გზათა სამინისტროს ოფიციალურათ ეცნობა, რომ გერმანიის რკინისგზებმა დროებით შესწყვიტეს პოლონეთის ნახშირის ტრანზიტი შტეტინ-ჰამბურგის ხაზზე.

გაფიცვები ჩინეთში

20 ათასი გაფიცული

პეკინი, 6 ივლისი. შანხაის აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკების გაფიცულ მუშა-ქალებმა წამოაყენეს მოთხოვნილება „მუშა-ქალის შრომის პირობების შემსწავლელი კავშირის“ გაუქმების შესახებ. ხსენებული კავშირი მწარმოებლებმა დაარსეს პროფმოძრაობაში განხეთქილების შეტანის მიზნით.

ამ კავშირმა, რომლის ხელმძღვანელები მწარმოებლებისაგან რამოდენიმე ას დოლარს ღებულობენ ყოველთვიურად, აუკრძალა მუშა-ქალებს პროფკავშირებში შესვლა. ის ცნობებს აწვდიდა მწარმოებლებს და პოლიციას მომავალ გაფიცვების შესახებ და აბეზღებდა პროფმოძრაობის აქტიურ მუშაკებს.

გაფიცულებმა დაარბიეს ხსენებულ კავშირის ბინა და სცემეს მოსამსახურეებს.

მწარმოებლები დასთანხმდენ ამ კავშირის ხელმძღვანელების დათხოვნაზე, მაგრამ უარს ამბობენ სამუშაო ხელფასის გადიდებაზე.

გაფიცულთა რიცხვი 20 ათას კაცს აღემატება.

პროფკავშირების მოწოდება

პეკინი, 6 ივლისი. პოლიციამ დაბეჭდა შანხაის პროფკავშირების საბჭოს შენობა იმ მოსაზრებით, რომ საბჭოს არ ძალუძს გაფიცვის შეწყვეტა.

საბჭომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც მოუწოდებს მასებს და მოსახლეობას დახმარონ მუშებს მათ ბრძოლაში და განმარტავს ეხლანდელი გაფიცვის მიზეზებს. პროფკავშირთა საბჭო მოითხოვს, მოხსნილ იქნეს ბეჭედი მის შენობიდან.

შანხაის პროფკავშირებმა გამოაქვეყნეს განცხადება, რომელშიაც პირობას იძლევიან, რომ მხარს დაუჭერენ საბჭოს და შეასრულებენ მის ბრძანებებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეშაპელის მკვლელობის გარშემო

პარიზი. გაზ. „ჰუმანიტე“ სწერს: სასამართლოს გამომძიებელმა, ბატ. დელალემ, წერილი მიიღო ქალბატონ ვეშაპელის ვექილის, ბატ. ტორრესისაგან, რომელშიც ეს უკანასკნელი მას სთხოვს ზოგიერთი ზომები მიიღოს გამოძიების დროს. ბატ. ტორრესი აცხადებს, რომ ვეშაპელის მკვლელობა შედეგია საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის და ქართველი სტუდენტების ასოციაციის მანევრებისა და ზოგიერთი პირის გაჩხრეკას მოითხოვს.

ბატ. ტორრესის ეს მიმართვა ადასტურებს „ჰუმანიტეს“ ცნობას ქართველ მენშევიკების ტერორისტულ მეთოდებსა და ბოროტმოქმედებაზე. არცერთი ჩვენ მიერ აღნიშნული ფაქტი ჯერ არ არის უარყოფილი.

შეიძლება გაჩხრეკა დაგვიანებულია და მან მნიშვნელოვანი შედეგები არ მოგვცეს. მაგრამ ჩვენი ბრალდება მაინც ურყევი რჩება.

რკინისგზელთა გაფიცვა ამერიკაში

მემანქანეების გაფიცვა

ნიუ-იორკი, 7 ივლისი. ორი მილიონი კაცი, რომელნიც ამ კვირის დასასრულს ნიუ-იორკიდან გაემგზავრენ დამოუკიდებლობის დღის დღესასწაულის გამო, დაბრუნდენ თოის ავტომობილებით და გემებით ვინაიდან რკინისგზებზე **მოძრაობა შეწყვეტილი იყო მემანქანეებისა და მეისრეების გაფიცვის გამო.** უკანასკნელნი მოითხოვდენ რვა საათის სამუშაო დღისათვის სამი შილინგისა და შვიდი პენსის მაგიერ ოთხს შილინგს.

ნიუ-იორკის ქალაქის რკინისგზის ხაზებზე მუშაობს 50 მატარებელი; მათზე მუშაობენ შტრეიკბრეხერები, რომელნიც ღებულობენ 4—4 შილინგს და სურსათ-სანოვაგეს.

მიწის ზედა რკინისგზის ყველა ხაზები მგზავრებით არის სავსე. ავტომობილებით და ავტობუსებით ისეა სავსე მთავარი არტელები, რომ გასაქანი არსად არის.

საკლატვალას დეპეშა

ლონდონი, 6 ივლისი. საკლატვალამ, რომელსაც შარშან შეერთებულ შტატებში შესვლის ნება არ მისცეს, შემდეგი დეპეშა გაუგზავნა კულიჯს ჩრდილოეთ - ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის 150 წლის თავის შესრულების გამო:

„გილოცავთ თქვენი ეროვნული თავისუფლების და სოციალური პროგრესის 150 წლის თავს. **თქვენი ხალხი მადლიერი უნდა იყოს თავისი ბედის იმისათვის, რომ მაშინ არ ყოფილან კელოგები** (შეერთებული შტატების ეხლანდელი გარეშე საქმეთა მინისტრი) **თავიანთი კანონებით ემიგრაციის შესახებ, თორემ ისინი თქვენს ქვეყანაში შემოსვლას აუკრძალავდენ ჯორჯ ვაშინგტონს და სხვა რევოლიუციონერებს“.**

რადიჩის განცხადება

ვენა, 6 ივლისი. **დალმაციაში მოგზაურობის დროს გლეხთა პარტიის ბელადმა სტეფანე რადიჩმა სურვილი გამოსთქვა საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთიერთობის განახლების შესახებ.**

იტალია-საბჭოთა კავშირის ვაჭრობა

რომი, 6 ივლისი. „აჟენსია დი რომა“-ს ცნობით, მოეწყო საზოგადოება **საბჭოთა კავშირიდან პურის, ნავთის და ქვანახშირის გამოსატანად.** საზოგადოებას განზრახვა აქვს კონცესია აიღოს დონეცის ბასეინში. ამის შესახებ მოლაპარაკება უკვე დაიწყო.

ფაშისტების მადა

ფაშისტების მადა

რომი, 6 ივლისი. „კორიერა დელა სერას“ ცნობით, მრეწველობის და ფაშისტური პროფკავშირების თათბირზე, რომელიც იხილავდა მთავრობის დადგენილებას 9 საათის სამუშაო დღის გატარების შესახებ,/საფეიქრო ფაბრიკების მეპატრონეები ნაწარმოების ღირებულების შემცირების მიზნით **მოითხოვდენ, რომ მუშებს მეცხრე საათის მუშაობისათვის ხელფასი არ მისცემოდათ.** თათბირს ევალება გადასწყვიტოს ეს საკითხი.

საფრანგეთის ამბები

ინგლისელები ეგვიპტეში

ალექსანდრია, 6 ივნისი. ინგლისის პრესის გახელებული კამპანია ზაგლულფაშის წინააღმდეგ მოწმობს, რომ ინგლის-ევიპტის ურთიერთობა ხელახლა გამწვავდა.

ეს გამწვავება გამოიწვია ზაგლულის მომხრეების გადაწყვეტილებამ გაიყვანონ პარლამენტში თავისი პარტიის ორი ყოფილი წევრი, რომელთაც ბრალდებოდათ ინგლისის კომისარის ლი-სტეკის მოკვლა.

ესპანელები მაროკოში

პარიზი, 7 ივლისი. რაბატადან იუწყებიან, თითქოს **ტარგუისტის აჯანყებულები ესპანელებს ჩაუსაფრდენ.** ესპანელებმა 40 კაცი დაკარგეს.

ესპანელების ჯარებმა წინ წაიწიეს გზომადო ბენიკხალედის რაიონში.

ქარიშხალი შვეიცარიაში

პარიზი, 6 ივლისი. უკანასკნელი 48 **საათის განმავლობაში შვეიცარიაში მძვინვარებდა საშინელი ქარიშხალი, რომელმაც დაანგრია მთელი რაიონები.** ჟენევის ტბის მიდამოებში მთის ნიაღვრებისაგან წალეკილია გზები, ვენახები და ნათესები. ქარიშხალს თან სდევდა სეტყვა, რომელიც რამოდენიმე დიუმს უდრიდა.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

რეპინთან

ლენინგრადი, 7 ივლისი. ფინეთიდან მიღებული ცნობით, რეპინმა ძალიან თავაზიანად მიიღო მოსკოვიდან ჩასული მხატვრები გრიგორიევი, ბროდსკი, კაცმანი და რადიმოვი.

რეპინს ძალიან გაუხარდა საბჭოთა კავშირიდან ჩასულ მხატვრების ნახვა. უჩვენა მათ თავისი ნამუშევარი და დაინტერესდა საბჭოთა კავშირის მხატვრობით. გამოირკვა, რომ რეპინი მოსკოვში ჯერ ვერ ჩამოვა, ვინაიდან მას თეხი სტკივა და ძლივს დადის.

საბჭოთა ნავთი უცხოეთში

მოსკოვი, 7 ივლისი. **მიუხედავად ბურჟუაზიულ ფირმების წინააღმდეგობისა და მეტოქეობისა, საბჭოთა ნავთის პროდუქტების გასაღება მსოფლიო ბაზარზე შეუჩერებლად ვითარდება.** ამ დღეებში ნავთის სინდიკატმა მიჰყიდა სტანდარტ „ნიუ-იორკ“-ს 15.000 ტონა ნავთი, რომელიც ჩაბარებული უნდა იქნეს მიმდინარე წლის აგვისტოში და სექტემბერში.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

სომხეთი

საფონდო ბირჟის რწმუნებულის თანამდებობა

ლენინაკანი. 7 ივლისი. ცენტრის დადგენილებით საქონლის—ფონდის ლენინაკანის კომიტეტი უქმდება და მის ნაცვლად დაწესებულია საფონდო ბირჟის რწმუნებულის თანამდებობა, საბირჟო კომიტეტის ყველა ფუნქციების დატოვებით.

გზატკეცილების შესაკეთებლად

ლენინაკანი, 7 ივლისი. ლენინაკანის სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა ადგილობრივ ბიუჯეტში გაატაროს გზების, გზატკეცილების და ქუჩების შესაკეთებელი ხარჯები, რომელიც დაფარულ უნდა იქნეს რკინიგზით გასაგზავნ და ჩამოტანილ ტვირთებზე შეწერილ საფუთო შენაკრეფებით.

პიონერთა ორგანიზაციის 5 წლის თავი

ლენინაკანი, 7 ივლისი. პიონერთა ორგანიზაციის ხუთი წლის თავის დღესასწაული ლენინაკანში დიდის აღფრთოვანებით ჩატარდა. კომკავშირის სამაზრო კომიტეტმა პიონერებს გადასცა წითელი დროშა. საღამოს მოეწყო ჩირაღდნებით სვლა.

საქონლის ჭირი

ერევანი, 7 ივლისი. სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს ცნობებით 1924-25 წელს სომხეთში აღრიცხული იყო 380.000 სული მსხვილფეხი რქიანი საქონელი, ხოლო 1925-26 წელში—594 ათასი სული.

1925-26 წელს გადამდები სნეულებით დაავადმყოფდა 14.186 სული. ჭირის საწინააღმდეგო შრატი აცრა 75480 სულს. (აპრილში აცრილ საქონლის გამოკლებით). დაიხოცა—15.704 სული. 1924-25 წელს დაიხოცა—10.596. მიმდინარე წელს აპრილამდე დაიხოცა—2566 სული. ცნობები იმ ეპიდემიით დახოცილ საქონლის რაოდენობის შესახებ, რომელიც აზერბეიჯანელ მეჯოგეების საქონელს შემოჰყვა აზერბეიჯანიდან, მიღებული არ არის.

საქონლის შეტანა სომხეთში

ერევანი, 7 ივლისი. ამ.-კავკ. შინავაჭრობის სახ. კომისარიატის განყოფილებების ცნობებით, ივნისის განმავლობაში სომხეთში შეუზიდავთ 91 ათასი ფუთი პურის ფქვილი, 3 ვაგონი შაქარი, 3 ვაგონი ქაღალდი, 69 ვაგონი მარილი, და 10 ვაგონი ლითონის ნაწარმოები.

რესპუბლიკა განიცდის საამშენებლო რკიეულობის და ჭურჭლეულობის დიდ ნაკლებობას.

მუშაობა მაღაროებში

კაფანი, 7 ივლისი. მუშების დროებითი წასვლა საველე სამუშაოზე არ მოქმედობს მაღაროების ნორმალურ მუშაობაზე. წასულ მუშებს სცვლიან სპარსეთიდან ჩამოსული მუშები. დამთავრდა მუშაობა საკუთარი ტრანსპორტის მოსაწყობად.

აზერბეიჯანი

საპროტესტო მიტინგი

ბაქო, 6 ივლისი. 10 ივლისს აზერბეიჯანის კომკავშირის ყველა უჯრედები მოაწყობენ საპროტესტო მიტინგს საბჭოთა კავშირის მუშა-ახალგაზრდობის ავსტრიაში ჩასვლის აკრძალვის წინააღმდეგ.

თეატრი მუშა-ახალგაზრდებს

ბაქო, 6 ივლისი. კომკავშირის ბაქოს კომიტეტმა გამონახა საშუალებები მუშა-ახალგაზრდობისათვის თეატრების მოსაწყობად.

კომკავშირის მუშაკთა მომზადება

ბაქო, 6 ივლისი. კომკავშირის ბაქოს კომიტეტი აწყობს მაზრებში—კურსებს—ყრილობებს, ქალაქში—სემინარიებს ძირეულ კომკავშირის მუშაკთა მომზადებისათვის. კურსების მოწყობისათვის მიღებულია 2.500 მანეთი. კურსები განზრახულია მოეწყოს ერთი თვით.

უკანასკნელი ცნობები

მემარჯვენეებს იმედი აქვთ

ვარშავა, 7 ივლისი. გაცხოველებული კამათის შემდეგ პოლონეთის სეიმმა ყველა ფრაქციების ხმით, პოლონეთის სოციალისტური პარტიის, სლავიანთა უმცირესობის, დამოუკიდებელ გლეხთა პარტიისა და კომუნისტების გამოკლებით, დაადგინა კომისიას გადასცეს მთავრობის პროექტები კონსტიტუციის შეცვლის შესახებ.

მემარჯვენე პარტიებს იმედი აქვთ, რომ კომისიაში მოახერხებენ უფრო რეაქციონურ ხასიათის შესწორებების შეტანას პროექტში.

მემარჯვენე პარტიებს იმედი აქვთ, რომ კომისიაში მოახერხებენ უფრო მეტ რეაქციონურ ხასიათის შესწორების შეტანას პროექტში. მემარცხენე ფრთა დაუძლურდა, მან დაჰკარგა ყოველგვარი ორიენტაცია და თავს ვერ აღწევს შექმნილ მდგომარეობას.

სეიმში ყველა დარწმუნებულია, რომ მთავრობა შესძლებს მისთვის საჭირო ყველა რეფორმების გატარებას.

კაიო ნდობის გამოცხადებას მოითხოვს

პარიზი, 7 ივლისი. თავისი სიტყვის განახლებისას კაიო აცხადებს, რომ მთავრობა დაუყოვნებლივ მოსპობს ყველა პარაზიტულ დაწესებულებებს და მოითხოვს განსაკუთრებულ უფლებებს იმ კანონის ძალით, რომელიც წარმოდგენილი იქნება. კაიომ დასძინა, რომ მთელი მსოფლიო და მთელი ევროპა დაინტერესებულია „ჩვენი სტაბილიზაციით“.

მთავრობა, აცხადებს კაიო, მოინდომებს და გააკეთებს ყველაფერს, თუ მას ნდობას გამოუცხადებენ.

გრიგალი აზოვის ზღვაზე

ტაგანროგი, 7 ივლისი. 2 ივლისს დიდი გრიგალის გამო აზოვის ზღვაში მარიუპოლის ქხარისაკენ ტალღებმა გაიტაცა გემი „აზოვი“.

გემის სამანქანო განყოფილების დაზიანების გამო, გემმა იწყო დაძირვა, მაგრამ გადარჩენილ იქმნა.

კომუნისტების გასამართლება

ლოძი, 6 ივლისი. დაიწყო მკერვალთა პროფკავშირის ორგანიზაციის 41 წევრის საქმის გარჩევა, რომლებსაც ბრალად ედებათ კომუნისტური აგიტაცია.

უმთავრეს მოწმედ გამოდის პროვოკატორი ვიტკოვსკი, მკერვალთა პროფკავშირის ყოფილი თავმჯდომარე.

ვიტკოვსკის დაჭრა

ლოძი, 6 ივლისი. ლოძის სადგურზე სამი ტყვიით დაჭრეს პროვოკატორი ვიტკოვსკი. მას ესროლა 17 წ. ახალგაზრდამ იაკობ ცაკინსკიმ. ვიტკოვსკი უგრძნობელ მდგომარეობაში გადაიყვანეს საავადმყოფოში.

მაღაროს მეპატრონეთა წინადადებები

ლონდონი, 6 ივლისი. ნოტინგამპშირისა და დერბიშირის მაღაროებში გამოკრულია განცხადება, რომლითაც წინადადება ეძლევა სამთამადნო მუშებს მუშაობას დაუბრუნდენ აპრილის სამუშაო ხელფასის განაკვეთებისა და 8 საათის სამუშაო დღის პირობებში.

რუმინეთის პარლამენტში

ვენა, 6 ვლისი. დეპუტატთა მანდატების დამტკიცებასთან დაკავშირებით რუმინეთის პარლამენტში გამწვავებული შეტაკება მოხდა მთავრობის უმრავლესობასა და ოპოზიციის შორის.

მთავრობამ პროტესტების მიუხედავათ არ გააუქმა განკარგულება, რომელიც პარლამენტის ჟურნალისტების კულუარებში შესვლას უკრძალავს. ამის გამო პარლამენტის ჟურნალიტების ბოიკოტი ავერესკუს მთავრობასა და მთავრობის უმრავლესობისადმი გართულდა და ჟურნალისტების საერთო გაფიცვად გადაიქცა.

დრუჟელოვსკის დაპატიმრება

მოსკოვი, 7 ივლისი. 29 ივნისს სებეჟის რაიონში დაპატიმრებულ იქნა ცნობილი „საბჭოთა დოკუმენტების“ მკეთებელი დრუჟელოვსკი, როცა ის აპირებდა არალეგალურად საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გადმოსვლას. დრუჟელოვსკი ჩამოიყვანეს მოსკოვში.

დრუჟელოვსკი პასუხისგებაშია მიცემული 8 წლის ჯაშუშურ და პროვოკაციულ მუშაობისათვის, რომელიც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იყო მიმართული.

ამხ. ძერჟინსკის მოხსენება

მოსკოვი, 7 ივლისი. შრომის განყოფილებათა საკავშირო ყრილობის სხდომაზე 7 ივლისს ჩვენი მრეწველობის მდგომარეობისა და შრომის დარგში ამოცანების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ძერჟინსკი.

„ჩვენი სახალხო მეურნეობის დაბრკოლებანი, სთქვა ამხ. ძერჟინსკიმ, არა მისი დაცემის შედეგია, არამედ მისი ზრდის ნაკლია. ჩვენი ეხლანდელი დაბრკოლებანი მოისპობიან და ამოცანები განხორციელდებიან მხოლოდ წარმოებებში შრომის წესიერი ორგანიზაციით.

ბრძოლა სამუშაო დროს გაცდენასთან, წარმოებათა ტეხნიკური და მატერიალური მომარაგების მოგვარება, ტეხნიკური პერსონალის რაციონალური გამოყენება და სამუშაო ძალის რიცხვობრივი შემადგენლობის მოგვარება,—აი ძირითადი ამოცანები, რომლებიც დიდი ყურადღების მიქცევას მოითხოვენ შრომის მუშაკთაგან. სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს შრომის დისციპლინას. ამ ამოცანების განხორციელება მხოლოდ ფართო მასებთან მჭიდრო კავშირითაა შესაძლებელი. უდიდესი მნიშვნელობა აქვს საწარმოო თათბირების მუშაობის გამოცოცხლებას და სამეურნეო მუშაკთა მონაწილეობას“.

კაიოს სიტყვა

პარიზი, 6 ივლისი. პარლამენტში წარმოთქმულ სიტყვაში კაიომ აღნიშნა, რომ საფრანგეთის შინაური ვალი უდრის 286 მილიარდ ფრანკს. საფრანგეთის ხაზინას კი აქვს მხოლოდ 500 მილიონი ფრანკი.

პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ სახელმწიფო ხაზინის გამოუვალი მდგომარეობა გამოიწვევს ზოგიერთი დეპუტატების მიერ თავის შეკავებას კენჭის ყრის დროს, რაიც კაბინეტის კრიზისს შექმნის.

კაიოს განცხადება, რომ ინგლისი დათმობაზე მიდის ვალის მოწესრიგების საკითხში და რომ მთავრობას იმედი აქვს ამერიკაც დათმობაზე წავა, საშუალებას აძლევს ამერიკასთან ვალების საკითხში შეთანხმების დადების მოწინააღმდეგეებს ხმა მისცენ წინადადებას, რომელიც მოითხოვს საფინანსო რეფორმის პარლამენტის დაუკითხავად გატარებას.

ინგლისელ რკინისგზელთა კონფერენციაზე

ლონდონი, 6 ივლისი. ინგლისის რკინისგზელთა ეროვნული კავშირის კონფერენციაზე 71 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 7 ხმისა, მიღებულია რეზოლიუცია, რომელიც იწონებს რკინისგზელთა ეროვნული კავშირის წარმომადგენელთა პოლიტიკას გენერალურ საბჭოში საყოველთაო გაფიცვის დროს. ტომასის გადაყენების შესახებ რეზოლიუცია უარყოფილ იქმნა ყველა ხმებით ექვსის წინააღმდეგ.

ლორდ სესილს უკიჟინებენ

ლონდონი, 6 ივლისი. ინგლისის პრესა ლორდ სესილის განცხადებას, რომ ინგლისის მთავრობამ გადასწყვიტა არ აჩქარდეს 8 საათის სამუშაო დღის კანონ-პროექტის გასატარებლად, უწონებს „იერიშებს მაღაროს მეპატრონეთა წინააღმდეგ“.

გაზეთები მთავრობის გაფრთხილებას მეტად სერიოზულად სთვლიან. მხოლოდ რეაქციონური „მორნინგ პოსტ“ გამოსთქვამს მწუხარებას მთავრობის გამოსვლის გამო და აღნიშნავს, რომ ეს გამოსვლა ვანამტკიცებს სამთამადნო მუშებში იმ ყალბ წარმოდგენას, რომ მთავრობა უკან იხევს თავის პოზიციებიდან.

ბრძოლა ტერორის წინააღმდეგ

ვენა, 6 ივლისი. რუმინიაში შესდგა ტერორის წინააღმდეგ მებრძოლი კომიტეტი, რომელშიაც შედიან გამოჩენილი პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული მოღვაწენი.

გაფიცვა ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 6 ივლისი. დაიწყო ნიუ-იორკის ქალაქში მიწის ქვეშა რკინის გზის ვაგონების -გამყოლთა და მეისრეთა გაფიცვა. გაფიცულები სამუშაო ხელფასის მომატებას მოითხოვენ. რკინის-გზის მმართველობამ შეაგროვა შტრეიკბრეხერები და შეიარაღებული მცველი რაზმი.

პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლებისათვის

მოსკოვი, 7 ივლისი. მოდის ახალი ცნობები, რომ პოლონეთში დღითი-დღე ვითარდება კამპანია პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლებისათვის. დიდ სენსაციას იწვევს აგიტაციის ახალი საშუალება: მთავრობის ყველა განცხადებებს და პლაკატებს უცნობი პირები ასვამენ განსაკუთრებულ შტემპელს წარწერით—„გაანთავისუფლეთ პოლიტიკური პატიმრები“.

სხვადასხვა

ვეღარ „იხილავს. მკითხველების უყულობის გამო დაიხურა თეთრგვარდიელთა გაზეთი „ნოვიე რუსკიე ვესტი“. უკანასკნელ ნომერში გაზეთი მწუხარებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ ის „ვეღარ იხილავს დიდი რუსეთის აღდგენას“.

პრიმა-დე-რივერას წინააღმდეგ. პარიზის მუნიციპალიტეტის მრჩეველმა კომუნისტ სელიემ პროტესტი განაცხადა მუნიციპალიტეტის მონაწილეობის გამო მაროკოს სულთანის მულაი იუსეფის და ესპანეთის დიქტატორ პრიმა-დე-რივერას საზეიმო მიღებაში.

შავარდენთა ვარჯიში. პრაღიდან მიღებული ცნობით, შავარდენთა ვარჯიში დამთავრდა გრანდიოზული მსვლელობით, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა 50.000 კაცი.

პორტუგალიის კაბინეტი. ლისაბონიდან მიღებული ცნობით, პორტუგალიის კაბინეტში მოხდა ცვლილება. გარეშე საქმეთა მინისტრად დანიშნულია გენერალი კარმანა. შინაგან საქმეთა მინისტრად—კლარა და ახალშენების მაიორი ოხოა.

როდის აღმოაჩინეს ამერიკა. ნორვეგიის მეცნიერმა ოლაფ სპოერნმა სპოკენის (ჩრდილოეთი ამერიკა) მახლობლათ აღმოაჩინა ვიკინგების სასაფლაო და რუნიკული წარწერები, რომლებიდანაც სჩანს, რომ ვიკინგების ექსპედიციამ ამერიკას მიაღწია 1010 წელს. ნორვეგიელთა ამ ექსპედიციაში მონაწილეობას იღებდა 24 მამაკაცი, 7 ქალი და 1 ბავშვი. ექსპედიციიდან 12 კაცი მოჰკლეს ინდიელებმა, სხვები გადარჩენ.

სენატორი ბორა ამერიკის ყველა შტატებში ფართო კამპანიას აწარმოებს საერთაშორისო ჰააგის ტრიბუნალში ჩრ. ამერიკის შეერთებულ შტატების მონაწილეობის მიღების წინააღმდეგ.

ბრძოლა ალკოჰოლის წინააღმდეგ. ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატების ხაზინის მინისტრის ამხანაგი ენდრიუ ინგლისში მიემგზავრება უფრო მჭიდრო თანამშრომლობის დასამყარებლად და ალკოჰოლის კონტრაბანდის გზით გატანის წინააღმდეგ ხელშეკრულების დასადებად.

— **კატასტროფა ჰაერში.** სტრასბურგის ჰაეროდრომზე 1.200 მეტრის სიმაღლეზე 2 ჰაეროპლანი დაეჯახა ერთი - მეორეს ორივე აპარატი დაიმსხვრა და ჩამოვარდა ძირს. ერთი მათგანი დაიწვა. ჰაეროპლანებში მყოფნი დაიღუპნენ.

— **ალან კობხემი.** ალან კობხემი, რომელიც 2 ივლისს ინგლისიდან გაფრინდა ავსტრალიაში, 4 ივლისს საღამოთი მიფრინდა ბაღდადში.

რკინისგზების კონგრესი. საფრანგეთის უნიტარულ რკინისგზელების წლიურ კონგრესზე მოხდა ინციდენტი პრესის წარმომადგენლებთან. უკანასკნელებმა დასტოვეს სხდომის დარბაზი.

გიბსონი, რომელიც თავს დაესხა მუსოლინს, მოთავსებულია შეშლილთა სახლში რომში.

მკვლელობა სამხრეთ-სლავიელი ნაციონალისტი, წიგნების გამომცემელი პოპოვიჩი კვირას მონასტრის ქუჩაზე მოკლულ იქნა სამი უცნობის მიერ.

მუშათა საერთაშორისო მოძრაობა

გერმანია

ერთიანი ფრონტი

კამპანიამ, რომელიც წინ უძღოდა 20 ივნისის საყოველთაო კენჭის ყრას, არაჩვეულებრივათ გააძლიერა მუშათა მასებში ერთიანი ფრონტის იდეა და ერთიანი ფრონტის არსებული საორგანიზაციო უჯრედები.

ამიტომ, ინტერეს მოკლებული არ იქნება გაცნობა იმ სურათის, თუ როგორ ვითარდებოდა ერთიანი ფრონტის იდეა პლებისციტის წინასწარი კამპანიის განმავლობაში, რაც საშუალებას მოგვცემს გავითვალისწინოთ მისი უახლოესი პერსპექტივები.

მთელი ამ კამპანიის განვითარება შეიძლება გაიყოს სამ პერიოდათ: 1) წარსული წლის დეკემბრიდან მიმდინარე წლის იანვრის დამლევამდე, 2) იანვრის დამლევიდან მაისის შუა რიცხვებამდი და 3) მაისის შუა რიცხვებიდან 20 ივნისამდე.

პირველ პერიოდს ახასიათებს კომუნისტების მიერ სოციალ-დემოკრატებისათვის წინადადების მიცემა ერთიანი ფრონტის შექმნის შესახებ. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ც. კ. კომუნისტებს უარი უთხრა ამ წინადადებაზე. მაგრამ ჩქარა გერმანელი მენშევიკური ლიდერები დარწმუნდენ, რომ უარის თქმით მეტად საბედისწერო გზას დაადგენ. მიუხედავად ც. კ. წინააღმდეგობისა, მთელ რიგ რაიონებში (ზოლინგენში, ვისდორფში, ლევერკუზენში და სხვაგან) დაარსდა ერთიანი ფრონტის კომიტეტები. მრავალრიცხოვან კრებებზე ს.-დ. მუშები კატეგორიულად მოითხოვდენ კომუნისტების წინადადების მიღებას.

მასების სულიერი განწყობილების შედეგი იყო ის, რომ თუმცა ს.-დ. პარტიის ც. კ. ოფიციალურად არ მიიღო კომპარტიის წინადადება ერთიანი ფრონტის შექმნის შესახებ, მაგრამ შეუერთდა კომპარტიის მიერ გადმოსროლილ ლოზუნგს—„არც ერთი პფენინგი ყოფილ სამეფო გვარეულობის წევრებს“—და ამრიგად შექმნა ერთგვარი იდეოლოგიური ერთიანი ფრონტი.

ამ მომენტიდან იწყება მეორე პერიოდი კამპანიის განვითარებაში.

იანვრის შუა რიცხვებიდან მთელ რიგ პროვინციალურ ქალაქებში და სოფლებში სტიქიურად არსდება გაერთიანებული მოქმედების კომიტეტები, რომელთა გარშემო იყრიან თავს კომუნისტი, ს.-დ. და უპარტიო მუშები.

სოციალ-დემოკრატიული ლიდერების წინააღმდეგობამ ერთი მეტად საყურადღებო გავლენა გამოიწვია. სოციალ-დემოკრატი მუშები ბელადებისა და პროფკავშირებში მოკალათებული ბიუროკრატების მხრივ დევნის ასაცილებლად ერთიან ფრონტს უერთდებოდენ არა როგორც სოციალ-დემოკრატები, არამედ როგორც სასპორტო და სხვა ორგანიზაციების წევრები. ეს ფაქტი მეტად საგულისხმოა იმ მხრივ, რომ ცხადყოფს, თუ როგორ ტერორს მიმართავენ „ბელადები“ მუშების „დასაცავად“ ბოლშევიკური გავლენისაგან.

ამა თუ იმ სახით (ზოგჯერ სხვა სახელწოდებით) ერთიანი ფრონტის კომიტეტები წარმოიშვენ მრავალ ადგილებში. ზოგჯერ ასეთი კომიტეტების შექმნაში უღარიბესი გლეხებიც იღებდენ მონაწილეობას. განსაკუთრებით ფართეთ იქნენ ჩაბმული გლეხები ერთიანი ფრონტის კამპანიაში ტიურინგიაში და საქსონიაში, აგრეთვე—ბადენში, გესენში, ფრანკფურტის რაიონში, ფალცში და სამხრეთ ბავარიაში.

მიუხედავათ ამისა მსხვილ ქალაქებში მენშევიკური ბელადები კვლავ ახერხებდენ ხელის შეშლას ერთიანი ფრონტის შექმნისათვის. მაგრამ პლებისციტამდე ერთი თვით ადრე მუშათა მასების ლტოლვა ერთიანი ფრონტის შექმნისაკენ იმდენათ გაძლიერდა, რომ გაარღვია სოციალ-დემოკრატიული ზღუდეები.

ამით ხასიათდება მოძრაობის მესამე პერიოდი, რომელიც იწყება მაისის შუა რიცხვებში.

პირველი დიდი ქალაქი, სადაც მუშათა მასებმა გასწყვიტეს მენშევიკური ლაგამი, იყო კელნი. კელნის მაგალითს მიჰბაძეს—ესსენმა, გელზენკირხენმა, კენიგსბერგმა, დრეზდენმა. ერთი კვირის განმავლობაში ერთიანი ფრონტის კომიტეტები დაარსდა 21 დიდ ქალაქში. პატარა ცენტრებში კი 100-ზე ასეთი კომიტეტი დაარსდა ამავე დროის განმავლობაში. ათ ივნისისათვის ერთიანი ფრონტის 200 კომიტეტი არსებობდა.

გარდა ამისა, იმავე მესამე პერიოდის განმავლობაში წარმოიშვა ერთიანი ფრონტის მრავალი კომიტეტები ე. წ. „კუჩინსკის კომიტეტების“ სახით. (კუჩინსკი ცნობილი გერმანელი ეკონომისტია, დიდი გავლენით სარგებლობს წვრილ ბურჟუაზიულ წრეებში, კუჩინსკი ენერგიულ მონაწილეობას იღებდა კამპანიაში სამეფო გვარეულობის ქონების უსასყიდლოთ ჩამორთმევის სასარგებლოთ). ამ კომიტეტებში კომუნისტები უპარტიო მუშებთან ერთად და აგრეთვე წვრილბურჟუაზიული ფენების წარმომადგენლებთან ერთად მუშაობდენ.

ბევრ ადგილებში ერთიანი კომიტეტების როლს ასრულებდენ საქარხნო კომიტეტები. პლებისციტის წინ ბერლინში შესდგა საქარხნო კომიტეტების კონფერენცია, რომელზეც კომუნისტებს ჰყავდათ 134 წარმომადგენელი, ს.-დ., უპარტიოებს და დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატებს კი—191. კონფერენციამ აირჩია ერთიანი ფრონტის კომიტეტი, რომელშიც შევიდა: 8 კომუნისტი, 2 სოც.-დემოკრატი, 1 მემარცხენე სოც.-დემოკრატი და 4 უპარტიო.

ასეთია მოძრაობის საორგანიზაციო შედეგები.

მართალია, პლებისციტის შემდეგ ერთიანი ფრონტის ზოგიერთი კომიტეტები (იმ რაიონებში, სადაც კომიტეტებში გლეხები შედიოდენ ან ს.-დ. ლიდერების გავლენა დიდი იყო) დაიშალენ, მაგრამ უმრავლესობამ შეინარჩუნა არსებობა და გაათკეცებულის ენერგიით განაგრძობს ბრძოლას ერთიანი ფრონტისათვის, რაც შიშსა და ნერვიულობას იწვევს მენშევიკურ ბელადებში.

ამიტომ არის, რომ როგორც კი პლებისციტი დამთავრდა, მენშევიკებმა კვლავ გააძლიერეს იერიშები კომპარტიის წინააღმდეგ და ალაპარაკდენ შეთანხმებულ მოქმედებაზე „მემარცხენე“ ბურჟუაზიულ ჯგუფებთან ერთად კომუნისტური საფრთხესთან საბრძოლველად.

მაგრამ მენშევიკური ციხე-სიმაგრეები სხვადასხვა სამრეწველო ცენტრებში საკმაოდ შერყეულია წარსული კამპანიის დროს და კომპარტიას გაადვილებული აქვს მუშათა ფართე მასების დაპყრობის ამოცანა.

რა ხდება ქართულ ემიგრაციაში

შალვა მაღლაკელიძის, რუბენ ყიფიანის, ისიდორე ქარსელაძის, ირაკლი წერეთლის, ერეთეოზ რამიშვილის და კოლია ჭუმბურიძის მიწერ-მოწერა

ირაკლი წერეთლის წერილი კოლია ჭუმბურიძისადმი

„ძვირფასო ამხანაგო ჭუმბურიძე! შენი წერილის მიღების შემდეგ, ჩემთვის ნათელი გახდა და მოხარულიც ვარ, რომ შენ სწორ პოზიციას დაადექი პრაღაში. შენი მოხსენება ჩემთვის სრულიად მისაღებია და მე დარწმუნებული ვარ, რომ შესაძლებელი რომ იყოს ჩვენი შეხვედრა პირადათ, ბევრ საკითხში შევთანხმდებოდით.

რაც შეეხება საკითხს პრაღის კოლონიის შესახებ, აიოლოს საქციელის და სხვ.—ამაში მე არა გამეგება რა. ვიცი, როგორ რთულია ემიგრაციის ცხოვრება, და მე რომ მონაწილეობას ვიღებდე კოლონიის საქმეებში, მგონია, **შევიქნებოდი ინტრიგების მსხვერპლი.** მაგრამ თავიდანვე ამ საქმეებს გვერდს ვუვლი, რადგან ვიცი, რომ არ ღირს ამ წრეში ჩარევა. როგორადაც მართალი არ უნდა იყოს, ყოველდღიურ ცხოვრების წვრილმანი ისე აბეჩავებს კაცს და იმდენ ენერგიას ართმევს, რომ გვერდს უხვევ შენს პირდაპირ დანიშნულებას. ამიტომ, ჩემის აზრით, არ ღირს თავის მტვრევა ამ წვრილმანებზე, ჩვენ უფრო მნიშვნელოვანი ამოცანები გვაქვს და მათ უნდა მოვკიდოთ ხელი. ეს ამოცანები კი იმაში მდგომარეობენ, რომ გამოვასწოროთ ჩვენი პარტიული ხაზი, გავაცოცხლოთ იქ ძველი სული, გამოვასწოროთ შეცდომები, **რომელთა განმეორება ხელს შეუწყობს ჩვენი ხალხის მოსპობას.**

ვიცი, რომ გარედან რჩევის მიცემა ადვილია, ამ რჩევის შესრულება კი ძნელი ზოგიერთ ფსიქოლოგიურ პირობებში. მაგრამ მე მაინც ჩემს აზრს ვამბობ. რაც შეეხება აქაურ ჯგუფს, ჩვენ იმ პოზიციას ვადგივართ, რომ არ ღირს შეუწყოთ ხელი გათიშვასა და ახალი ჯგუფების დაარსებას მთელი ორგანიზაციის წინააღმდეგ.

ჩვენ ასე თუ ისე გვაერთიანებს პარტიული პოლიტიკის შეფასება და მოვითხოვთ სრულ თავისუფლებას საზღვარგარეთელი ბიუროს მუშაობის ამა თუ იმ ფაქტის შეფასებაში. ჩვენ მოვითხოვთ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის თვალსაზრისით სხვადასხვა კითხვების გაშუქებას არა მარტო პარტიის შიგნი, არამედ პრესაშიც და ამიტომ ახლო მომავალში მოველით ჟურნალის გამოსვლას პარიზში.

ამ უფლებით ჩვენ უკვე ვსარგებლობთ და ამან სათანადო ნაყოფიც გამოიღო, რაც სჩანს პარიზის ორგანიზაციის რეზოლიუციიდანაც. ჩემის აზრით, უმჯობესი იქნებოდა ამ გზით გემუშავნათ თქვენც მანდ, პრაღაში. თქვენი წერილის შინაარსს მე გადავსცემ ბიუროს. ბიუროს ამის შესახებ ჯერ კიდევ არ გამოუთქვამს თავისი აზრი.

ამხანაგური სალამით

პარიზი, 16 ივნისი, 1925 წ.

ირაკლი“.

ისიდორე ქარსელაძის წერილი კოლია ჭუმბურიძისადმი

„ძმაო კოლია!

როგორც იცი წარსულ კვირას ქართველმა კომუნისტებმა მოაწყვეს თავის თანამოაზრეთა კრება. კრებას დაესწრო 30 კაცი. მათ თავზე დაეცენ „თეთრი გიორგი“-ს ორგანიზაციის წევრები—სტუდენტები და **სოციალ-დემოკრატები.** სოციალ-დემოკრატებიდან იყვნენ **შოთა ქარცივაძე, გერასიმე ბოლქვაძე, დათიკო ფერაძე, ალექსანდრე ლორდელი და აკაკი მეფარიშვილი.** მათთან ერთად იყო **ნიკიფოროვი.**

კრება, თურმე მესამე სართულზე იყო და სანამ ისინი შეიჭრებოდენ კრების დარბაზში, კიბეზე შეეჩეხენ კატო ალიხანოვს. ის იქვე შეურაცყვეს, შემდეგ შეცვივდნენ კრებაზე და ჯოხებით დაუწყეს ცემა იქ მყოფთ. თურმე წინდაწინვე ჰქონდათ განაწილებული როლები, ვის ვისთვის უნდა ეცემნა. ბევრი სისხლი დაიღვარა. ყველაზე უფრო ერგო ბ-ნ **ვეშაპელს.** ამის შესახებ მე მომიყვა **ფერაძემ,** რომელიც გუშინ ჩამოვიდა პარიზიდან ლევილში. ის სიამოვნებით მიამბობდა, როგორ სცემეს კრების მონაწილეებს.

ნაცემთა შორის არიან **ალიხანოვი, დემეტრაშვილი, მიწიშვილი** და სტუდენტი **ჭაბუკიანი.** ჩვენებმა, რომ ამ საქმეში მიიღეს მონაწილეობა ეს ყოვლად მიუღებელია. შენ წარმოიდგინე, ჩვენ გვქონდა კრება და პარტიის ზემოთ ჩამოთვლილი წევრები წავიდენ ჩხუბის მოსახდენათ. **ნუ თუ ამ გზით გავიმარჯვებთ ჩვენ კომუნისტებზე,** ნუ თუ ვერ ხედავენ ჩვენები, რომ სახლში დაბრუნების მსურველები მიდიან და უარს ამბობენ ყოველგვარ პოლიტიკურ მუშაობაზე მომავალში.

—

მიშა არსენიძე მუშაობს სადგურზე, უკანასკნელად კი მას დაუნიშნეს 300 ფრანკი და ისევ ლევილში დაბრუნდა და შარაშიძესთან ერთად მუშაობს ჟურნალის რედაქციაში. **ძალიან შეშინებულია მუშების უკანასკნელი პარტიის საქართველოში გამგზავრებით, ხელაძის მეთაურობით, რომ წავიდნენ. და ისეა დაბნეული, რომ მე მას ველარ ვცნობ, თუმცა რამოდენიმე წელი ვცხოვრობდით ერთ ოთახში.**

12 აგვისტო, 1925 წელი.

შენი **ისიდორე“.**

პარტიული ცხოვრება

პარტმუშაკები სოფლისათვის

მოსკოვი, 7 ივლისი. რადგან სამრეწველო რაიონების პარტიული ორგანიზაციები მოითხოვენ პარტიულ მუშაკების მივლინებას, საკავშირო კომპარტიის ცეკამ დაადგინა 1 ოქტომბრისათვის მსხვილ სამრეწველო ორგანიზაციებიდან უფრო სუსტ ორგანიზაციებში, განსაკუთრებით საგლეხო რაიონებში, გაგზავნოს 150 ამხანაგი პარტიულ მუშაობისათვის. ეს ამხანაგები გამოყენებულ უნდა იქნენ საგუბერნიო კომიტეტების ინსტრუქტორებათ და სხვა სახელმძღვანელო მუშაობისათვის პარტიის სამაზრო და სარაიონო კომიტეტებში. გაგზავნილ ამხანაგების ჯგუფში უნდა იყოს 50 პროცენტი მუშები. გაგზავნილს უნდა ჰქონდეს პარტიული სტაჟი არა ნაკლებ 5 წლისა. ის გაცნობილი უნდა იყვეს პარტმუშაობასთან და აქტიურ მონაწილეობას უნდა ღებულობდეს ორგანიზაციის/პარტიულ - პოლიტიკურ ცხოვრებაში.

საქ. კომპარტიის ც. საკონტროლო კომისიაში

საქ. ც. ს. კომისიამ გამოჰყო სამი ახალი კომისია, ისინი უკვე შეუდგენ მუშაობას და უნდა დაამთავრონ აგვისტოს პირველ რიცხვებში. გამოყოფილია შემდეგი კომისიები: 1) კომისია შინა-პარტიულ დემოკრატიის საკითხზე., 2) და სოფელში და 3) კომისია ქარხკომებსა და კომისია კომკავშირის მდგომარეობაზე ქალაქსა საქარხნო-საფაბრიკო დაწესებულებებთან არსებულ სხვადასხვა კომისიებში კომუჯრედების მონაწილეობის შესახებ.

ყველა ამ კომისიების მუშაობას აქვს უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი პარტორგანიზაციების თვისობრივად გაუმჯობესების საქმეში.

რომ საქ. ც. ს. კ. გამოარკვიოს და შეისწავლოს პარტიული პრობლემები, ამიტომ ახლად გამოყოფილ, ც. ს. კომისიის წევრებისაგან შემდგარ კომისიებს დაევალა დეტალურათ და ღრმად შეისწავლონ გამოსაკვლევი საკითხები. საჭიროა, გამომკვლევი კომისიები ადგილებზე წინასწარ გაეცნონ ადგილობრივ სინამდვილეს, წინასწარ მოამზადონ ყველა საკითხები, რომელნიც უნდა იქნეს გამოკვლეული და ამის შესახებ გააკეთონ მოხსენებები უჯრედების კრებებზე, მიიღონ უშუალო მონაწილეობა გამოკვლევებში, საქმეში დაიხმარონ ამხანაგები ადგილობრივ პარტორგანიზაციებიდან და სხვა.

ც. ს. კ. წევრებმა გამოკვლევების დამთავრების შემდეგ უნდა გააკეთონ მოხსენებები რაიონულ-საოლქო და სამაზრო კომიტეტებში მიღებული მასალების შესახებ, მათ უნდა აღნიშნონ ის ნაკლი. რომელიც გამოკვლევის დროს აღმოჩნდა.

როცა მუშაობა დამთავრდება, მთელი მასალა გადაეცემა ც. ს. კომისიას, სადაც ის იქნება დამუშავებული, რის შემდეგ მიღებული იქნება შესაფერი ზომები.

შინა-პარტიული დემოკრატია

შინა-პარტიულ დემოკრატიის გამოკვლევის გატარების დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი გარემოებანი: იმისათვის, რომ კიდევ უფრო მეტად ჩავაბათ უპარტიო მუშები და გლეხები სოციალისტურ აღმშენებლობაში, ვაწარმოოთ მათი კომუნისტური აღზრდა და კიდევ უფრო გამოვაცოცხლოთ მასიური ორგანიზაციების მუშაობა (საბჭოების, პროფკავშირების, კოოპერაციისა და სხვა) ხელმძღვანელი ძალა ამ ორგანიზაციებისა, ე. ი. ს. ქ. პ. (ბ) უნდა დაადგეს ნამდვილ შინა-პარტიულ დემოკრატის გზას. ამისათვის საჭიროა: ა) ფართე პარტიული მასის აქტივობის აწევა მნიშვნელოვან საკითხების გარჩევისა და შესაფერი დადგენილებების გამოტანით ამა თუ იმ საკითხის შესახებ; ბ) არჩევნების სისტემისა და პარტორგანიზაციების მიერ პარტიული მასისადმი ანგარიშების წარდგენის წესის სისწორით გატარება, ახალი ძალების წამოყენება ხელმძღვანელ ადგილებზე, პარტაქტივის გაფართოება, ახალი პარტიული კადრის მომზადება ძველების დასახმარებლათ; გ) პარტაქტივის კვალიფიკაციის აწევა, კერძოთ კი მისი თეორეტიული დონის ამაღლება; დ) ლენინის მოძღვრების გავრცელება ფართე პარტიულ მასაში და სხვა.

ამიტომ შინა-პარტიულ დემოკრატიის გამომკვლევ კომისიის მოვალეობას შეადგენს—გამოარკვიოს ადგილებზე რამდენათ შეითვისეს და ატარებენ ცხოვრებაში პრაქტიკულად პარტიული კომიტეტები მე-14 ყრილობის დირექტივებს შინა-პარტიულ დემოკრატიის შესახებ.

კომკავშირის ყოფა-ცხოვრების გამოკვლევა

რაც შეეხება კომკავშირის მუშაობის გამოკვლევას, აქ აუცილებლად უნდა ვიქონიოთ მხედველობაში ის გარემოება, რომ კომკავშირი, როგორც ორგანიზაცია, რომელიც შესდგება მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის უფრო მომზადებულ და მოწინავე ნაწილისაგან. აქვს უდიდესი მნიშვნელობა უპარტიო მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის აღზრდაში და ახალი კომუნისტური იდეების მასაში გავრცელების საქმეში.

ამრიგად, კომკავშირის ორგანიზაცია არის კომუნიზმის სკოლა მუშურ-გლეხური ახალგაზრდობისათვის მთლიანად.

კომკავშირის ორგანიზაცია ავრცელებს პროლეტარულ გავლენას ღარიბ და საშუალო გლეხურ ახალგაზრდობაზე. ამიტომ ახ. ლ. კომუნისტური კავშირის მუშურ და გლეხურ ნაწილს შორის დამოკიდებულების გამოკვლევას აქვს უდიდესი მნიშვნელობა.

კომკავშირს განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა, მით უფრო ისეთ ადგილებში, სადაც პარტიული უჯრედი სუსტია, ან სულ არ არის, სადაც კომკავშირი ერთად-ერთი ძალაა, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს სოფელს.

ამიტომ უსათუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს იმის გამოკვლევას, თუ როგორ ტარდება ცხოვრებაში მე-XIV პარტყრილობის დირექტივები კომკავშირის შესახებ.

საწარმოო კომუჯრედების გამოკვლევა

მესამე კომისია, რომელიც გამოჰყო ს. ც. ს. კომისიამ გამოიკვლევს კომუჯრედების მუშაობას ქარხკომებსა და სხვადასხვა კომისიებში.

ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების კერძოდ მრეწველობის ჩქარი ზრდა, გულისხმობს მუშათა კლასის რიცხვობრივ ზრდას. იზრდება აგრეთვე მისი აქტივობაც. პარტიის წინაშე სდგას ამოცანა კიდევ უფრო გააფართოვოს წარმოებაში ახლად მოსულ მუშების საწარმოო აღზრდა, გააძლიეროს მათზე კომუნისტური გავლენა და განახორციელოს ახალი ძალების წამოყენება სახელმწიფო ხელმძღვანელ სამუშაოებზე.

ამ საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს საფაბრიკო-საქარხნო კომუჯრედების მუშაობის სწორად დაყენებას, ქარხკომებთან და სამეურნეო ორგანიზაციებთან სწორი დამოკიდებულების დამყარების საქმეში და სხვა.

ყველა ამ საკითხების გამორკვევაში, დაინტერესებული უნდა იყოს პარტიისა და კომკავშირის თვითეული და ყოველი პატიოსანი მშრომელი.

ი. ხომერიკი.

სენაკის სამკომის პლენუმი

29 ივნისს გაიხსნა სენაკის სამკომის პლენუმი. დაესწრენ, როგორც სამაზრო ისე ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელი.

პლენუმმა განიხილა შემდეგი საკითხები:

1. ცეკას უკანასკნელი პლენუმის შედეგები.
2. პრეზიდიუმის მუშაობის ანგარიში.
3. საკრედიტო ამხანაგობის მუშაობა.
4. ადგილობრივი მნიშვნელობის მრეწველობის განვითარებაზე.
5. გლეხკომების შესახებ და სხვა.

პირველ საკითხზე პლენუმმა მოისმინა ამხ. გიორგაძეს მოხსენება ცეკას დადგენილებანი მიღებულ იქმნა მომავალი მუშაობის საფუძვლად და ცხოვრებაში გასატარებლად.

შემდეგ პლენუმმა მოისმინა მისივე მოხსენება სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ, რომელმაც სხვადასხვა ნაკლთან ერთად აღნიშნა მიღწევები პრეზიდიუმის მუშაობაში:

— სასოფლო მეურნეობის შედარებითი გაუმჯობესება აგრო-დახმარების გაძლიერება; ბრძოლა მიწის ყიდვა-გაყიდვასთან; ზომების მიღება ადგილობრივი მნიშვნელობის მრეწველობის განსავითარებლად; შემცირება ადმინისტრატიული ხარჯების (სამილიციო უბნების შემცირება, მილიციის შტატების შემოკლება, სასამართლოების რიცხვის შემცირება და სხვა) და მისი მოხმარა ადგილობრივი მრეწველობის განვითარების საქმეში.

კოოპერაციის დაგში გაფლანგვების შემცირება, წევრთა რიცხვობრივი ზრდა, გახსნა ახალი „ებო“-ების თემებში და სხვა. ყველაფერი ეს მოვლენა უდაოთ პარტხელმძღვანელობის გაუმჯობესების შედეგია.

პროკავშირების საერთო მუშაობა დამაკმაყოფილებელია, მაგრამ უნდა აღინიშნოს მასიური მუშაობისა და პროფდისციპლინის სისუსტე.

საბჭოთა არჩევნები სასურველად იქნა ჩატარებული. საბჭოებში შარშანდელთან შედარებით შემცირდა პარტიის და კომკავშირის წევრთა საერთო რიცხვი, მაგრამ ეს არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს, პირიქით ამით უპარტიო მასა დაუახლოვდა ხელისუფლებას და ჩაება საბჭოთა აღმშენებლობაში, მხოლოდ საჭიროა პარტხელმძღვანელობის გაძლიერება და აქტიური მონაწილეობა საბჭოების მუშაობაში.

განათლების დარგში მიღებულია ზომები. სწარმოებს სკოლების შეკეთება, მომზადებულია კომუნისტურად განწყობილი პედაგოგ-მასწავლებლები და სხვა. ამ დარგში უნდა აღინიშნოს ახალგაზრდობის მასიური ლტოლვა ცოდნის შეძენისაკენ.

კომკავშირის ორგანიზაციაში უნდა აღინიშნოს წევრთა სწრაფი რიცხვობრივი ზრდა, რასაც უკან რჩება პარტხელმძღვანელობა, რის შედეგად უნდა ჩაითვალოს ზოგიერთი ავადმყოფური მოვლენები კავშირში. (შემთხვევები: ლოთობის, იდეური გარდატეხის, გამოწვეული განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზრდობის სწრაფი რიცხვობრივი ზრდით და სხვა). რისთვისაც საჭიროა: კავშირის ზრდა უღარიბესი გლეხური ახალგაზრდობის ხარჯზე და პარტხელმძღვანელობის გაძლიერება.

ქალთა შორის მუშაობა შედარებით გამოცოცხლებულია, ნაკლად უნდა ჩაითვალოს არასაინტერესო საკითხების დასმა დელეგატ-ქალთა კრებებზე.

მაზრის პოლიტიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. გლეხობის განწყობილება ხელისუფლებასთან კარგია.

კომიტეტის აპარატის მუშაობა: ჯამაგირიანი თემკომების მდივნები მოხსნილია, მაგრამ სისტემა თემკომებისა სრულიად უცვლელი რჩება და სამაგიეროდ გადიდებულია ინსტრუქტორთა კადრი. გრძელდება გეგმიანი მუშაობა. შემოღებულია კომისიების საშუალებით ადგილობრივი ორგანიზაციების შესწავლა.

პარტიის ზრდა ჩქარი ტემპით მიმდინარეობს. ყრილობიდან დღემდე მაზრის მასშტაბით მიღებულია 700 წევრი. მომავალში პარტიის ზრდის საკითხში სავსებით უნდა იქნას დაცული ცეკას უკანასკნელი პლენუმის დადგენილებანი. იყო გამოირიცხვის შემთხვევებიც. ულარიბეს გლეხთა შორის წინასწარი მუშაობა ჩატარებულია.

პრეზიდიუმის დადგენილებით ახლო ხანში მოწვეულია მუშკორ-გლეხკორთა სამაზრო კონფერენცია.

მუშაობა „ახალ-გზელ“-თა შორის მოისუსტებს. ამ მხრივ საჭიროა ადგ. მომუშავე ამხანაგების სათანადო ყურდღება.

პრეზიდიუმის მუშაობა პლენუმმა მოიწონა.

შემდეგ მოსმენილ იქნა მოხსენება საკრედიტო ამხანაგობის მუშაობაზე, საიდანაც მიღწევებთან ერთად გამოირკვა შემდეგი ნაკლი:

1. უღარიბესი გლეხობა ვერ სარგებლობს სათანადო შეღავათებით.
2. ვერაა გამოყენებული ტრაქტორი.
3. ბუხჰალტერია არაა რაციონალურად დაყენებული.
4. ზოგ შემთხვევებში გაცემული სესხი დანიშნულებას არ ხმარდება და სხვა.

სენაკის მაზრაში ადგილობრივი მნიშვნელობის მრეწველობის განვითარებაზე მოხმენილ იქნა სამაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ს. მამულიას მოხსენება, რომელმაც დაახასიათა სამაღმასკომის გეგმა მომავალ საბჭოთა ყრილობამდე, ადგ. ბუნებრივი სიმდიდრის საფუძველზე მრეწველობის განვითარების შესახებ.

ა) ტყის საექსპლოატაციოდ 8 10 სახერხი ქარხნების მოწყობა-აშენება.

ბ) კირის ქარხნის აშენება.

გ) აგურ-კრამიტის ქარხნის აშენება.

დ) ქ. მექანიკური სახელოსნოს ამუშავება.

დ ე) ბეკონის ქარხნის აშენება ცენტრ. მთავრობის მიერ.

წარმოდგენილი გეგმა ადგ. მნიშვნელობის მრეწველობის განვითარების შესხებ, პლენუმის მიერ მოწონებულ იქნა.

მოსმენილ იქნა აგრეთვე მოხსენება გლეხკომების მომავალი გადარჩევის შესახებ და სხვა. ბოლოს პლენუმმა მიიღო სპეც. გამოყოფილი კომისიის მიერ წარმოდგენილი რეზოლიუცია პრეზიდიუმის ანგარიშისა და საკრედიტო ამხ. ამხ. მუშაობაზე, რომელშიაც გათვალისწინებულ იქნა კონკრეტიული—რეალური ღონისძიებანი, პრეზიდიუმის მომავალი მუშაობისათვის.

პლენუმის მუშაობა გაგრძელდა ორ დღეს.

მ. ბ—ა.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

როგორ „მუშაობდა“ ამხ-ბა „კახეთი“

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მოახდინა კახელ მევენახეთა კოოპერატიული საზოგადოება „კახეთი“-ს გამოკვლევა.

გამოირკვა, რომ საზოგადოება ამჟამად აერთიანებს 1380 წევრს. რევიზიამ დაამტკიცა, რომ გამგეობის მუშაობა ვერ იდგა სათანადო სიმაღლეზე. წესდების ძალით გამგეობას ჯერ ღვინო უნდა მიეღო წევრებისაგან და შემდეგ უნდა გაეცა ავანსის სახით ღირებულების ერთი ნაწილი. გამგეობა არ იცავდა ამ წესს: ის ჯერ ავანსებს აძლევდა წევრებს და შემდეგ ღვინოს იბარებდა. თავის-თავად ცხადია, რომ ყველა წევრი ცდილობდა მეტი მიეღო ავანსი და არ უყურებდა იმას, შეეძლო თუ არა მას ავანსის მიხედვით ჩაებარებია საზოგადოებისათვის ღვინო. ამ გარემოებამ გამოიწვია უკმაყოფილება ძველ წევრებში, რომელთაც იცოდენ, რომ ავანსის მიმღები ვერ გაამართლებდა დავალიანებას; ამან გული აუცრუა მათ საზოგადოებაზე და ცოტა ღვინო ჩააბარეს მას.

კოოპერატიული საზ-ბა „კახეთის“ გამგეობის საქმიანობის დამახასიათებელია კონიაკის გამოსახდელი ქარხანა, რომელმაც აზარალა საზოგადოება „კახეთი“ და ახეირა ცნობილი ვაჭარი სესიაშვილი.

მოქ. სესიაშვილს ოზურგეთში ჰქონია კონიაკის და სპირტის გამოსახდელი ქარხანა, რომელიც უმოქმედოთ იყო გაჩერებული. ოზურგეთში სესიაშვილმა ვერ მოახერხა ქარხნის ამუშავება, სხვა ქალაქში გადატანის ნებას კი ადგილობრივი ხელისუფლება არ აძლევდა. რომ თავი დაეხწია ამ მდგომარეობისათვის, სესიაშვილი მიმართავს კოოპერატიულ საზ-ბა „კახეთი“-ს გამგეობას და უხატავს მას პერსპექტივებს, თუ კი ქარხანა გადატანილი იქნება მის სამოქმედო რაიონში. ამ წინადადებას „კახეთი“-ს გამგეობა იწონებს და გამგეობის დახმარებით სესიაშვილს ქარხანა გადმოაქვს კარდანახის რაიონში სოფ. გურჯაანში.

გამგეობასა და მოქ. სესიაშვილის შორის წ. წ. 9 მარტს სამი წლის ვადით დადებულ ხელშეკრულების ძალით, „კახეთი“-ს გამგეობა თავის წევრთა ღვინოების გასასაღებლად სოფ. გურჯაანში მართავს კონიაკის სპირტის გამოსახდელ ქარხანას, რომლის დადგმას და ტეხნიკურად საჭირო აპარატების და მანქანების მოწყობას აკისრებს ქარხნის ყოფილ მეპატრონეს მოქ. სესიაშვილს, რომელსაც აძლევს სამი თვის ვადით ავანსის სახით 1.000 მანეთს.

საზოგადოებას ქარხნისათვის უნდა მიეწოდებია ნედლი მასალის საკმაო რაოდენობა, მაგრამ ეს დაპირება ვერ იქნა შესრულებული, რის გამო სესიაშვილმა „კახეთს“ არ ჩააბარა ხელშეკრულებით გათვალისწინებული რაოდენობა სპირტისა.

ამ ოპერაციამ „კახეთს“ მოუტანა საკმაო ზარალი, სამაგიეროთ ხელი მოითბო კერძო ვაჭარმა სესიაშვილმა, რომელმაც ბოლოს შეირჩინა ეს ქარხანა და მიჰყიდა სხვა ორგანიზაციას.

გარდა იმისა, რომ სესიაშვილმა აზარალა კოოპერატიული ამხ-ბა „კახეთი“. მას დღემდე არ გაუნაღდებია მისი ვალი, რომელიც უდრის 4.775 მანეთს.

ასეთივე საზარალო აღმოჩნდა „კახეთი“-სათვის თბილისის კონიაკ-არაყის ჩამოსასხმელი ქარხნის აღება ვაჭარ თოიძესთან ერთად. ამ ქარხანამ საზოგადოებას მოუტანა 1.621 მანეთის ზარალი.

ამას გარდა, რევიზიის მიერ გამგეობის მუშაობაში აღმოჩენილი იქნა მთელი რიგი დეფექტებისა.

პრესა მომჭირნეობის შესახებ

სახელშეკრულებო დისციპლინა

სახელშეკრულებო დისციპლინის დარღვევის შემთხვევები მეტად გავრცელებულია ჩვენი საწარმოო და სავაჭრო ორგანიზაციათა ურთიერთ დამოკიდებულების პრაქტიკაში. ესა თუ ის ორგანიზაცია სდებს ხელშეკრულებას მეორესთან ამა თუ იმ მასალების განსაზღვრულ ვადაში დამზადების და მიწოდების შესახებ. შეკვეთა იშვიათად სრულდება დანიშნულ დროისათვის. ხშირად მთელი თვეები და წელიც გადის ვადის შემდეგ. სანამ შეკვეთის აღმები დაწესებულება თავის მოვალეობას შეასრულებდეს. ამით იშლება მუშაობის გეგმა; საქმის რამოდენიმე თვით დაგვიანება ეხლანდელ პირობებში დამღუპველია დაწესებულებისათვის: ნივთიერი ზარალი აურაცხელია. სახელშეკრულებო დისციპლინის დარღვევა არ აიხსნება მარტო ობიექტიური პირობებით: საშუალებათა სიმცირით, კონიუნქტურის ხშირი ცვალებადობით და სხ.

„არა უკანასკნელ როლს, თუ მთავარს არა სწერს „ტორგოვო-პრომიშლენნაია გაზეტა“, —სახელშეკრულებო დისციპლინის დაცემაში თამაშობენ სუბიექტიური ხასიათის მიზეზები: ტრესტის და სინდიკატის აპარატების ცუდი ორგანიზაცია და არა საკმაო ცოდნა, ზერელე დამოკიდებულება ნაკისრებ ვალდებულებისადმი, „საუწყებო“ ინტერესების თავისებური გაგება, რომელიც პირდაპირ არაკეთილსინდისიერებას უდრის, მტაცებლური მისწრაფება გამოიყენონ მომხმარებლის გაჭირვება და კონიუნქტურა.

თვით შემკვეთლის ბრძოლა სახელშეკრულებო დისციპლინისათვის მეტად გაძნელებულია მოთხოვნისა და მიწოდების შეუფარდებლობის დროს, ზოგიერთ მიმწოდებელთა ბაზარზე მონოპოლიურ მდგომარეობის დროს, როცა აუცილებელი ხდება შეკვეთის მიცემა არახელსაყრელ პირობებზე და სხ.“.

დღეს, როცა ჩვენ ვაწარმოებთ კამპანიას მომჭირნეობის რეჟიმისათვის, გეგმისათვის მრეწველობაში, ამ კამპანიის თვალსაჩინო ელემენტად აუცილებლად უნდა გახდეს ბრძოლა მტკიცე სახელშეკრულებო დისციპლინისათვის. რას უნდა მიექცეს ამ მხრივ ყურადღება? „ტორგოვო-პრომიშლენნაია გაზეტა“ ამბობს:

„მეტად დიდი როლი შეუძლიათ და უნდა ითამაშონ როგორც მიმწოდებელ ტრესტებს, ისე მათი კლიენტების სარევიზიო კომისიებმა. დაუყოვნებლივ უნდა მივაღწიოთ შეკვეთების შესრულების სწორ აღნუსხვას. ზოგადი ცირკულიარებით აქ ბევრს ვერაფერს გააწყობ,—საჭიროა თვითეულ კონკრეტიულ შემთხვევის დაწვრილებითი გამოკვლევა.

უნდა იქნეს გაძლიერებული მიმწოდებლის მატერიალური პასუხისმგებლობა, ამასთან სასარგებლო იქნება, თუ ჩვენი საარბიტრაჟო კომისიები, ხელშეკრულებათა შეუსრულებლობის გამო პრეტენზიების განხილვის დროს, არ დაკმაყოფილდებიან ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ ჯარიმით, არამედ მიმწოდებელს გადაახდევინებენ მთელ იმ ზარალს, რომელიც გამოიწვია მის მიერ ხელშეკრულების პირნათლად შეუსრულებლობამ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„რაბოჩაია პრავდა"-ს მეათასე ნომრის გამო

1000

სრ. საბჭოთა საქართველოს და ქალ. თბილისის პროფესიონალურ, პარტიულ და საბჭოთა უმაღლეს ორგანოების (ს. კ. პ. (ბ) ცეკას და ტეკას საქ. პროფსაბჭოს და თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს) ყოველდღიურმა გაზეთმა „რაბოჩაია პრავდა"-მ (რუსულ ენაზე) ხანგრძლივი ბრძოლით მრავალ რიცხოვან დაბრკოლებებთან, ვიდრე მეათასე ნომერს მიაღწევდა, სავსებით გაამართლა და ამართლებს, პირველ ყოვლისა, თავის სახელწოდებას, ამართლებს იმით, რომ იგი მუდამ ააშკარავებდა და ააშკარავებს მუშათა სიმართლეს, სიმართლეს ყველა მშრომელთა, რადგან შეუპოვრად იდგა და დგას მუშათა კლასის, პროლეტარიატის და საშუალო გლეხობასთან მჭიდრო კავშირში მყოფ უღარიბესი გლეხობის ინტერესების სადარაჯოზე.

„რაბოჩაია პრავდა", რომელიც ფეხდაფეხ მიჰყვება ახალი ცხოვრებისათვის დაწყებულ ბრძოლას, ახალი სოფლის, ახალი ქალაქის და, საერთოდ, მუშათა და გლეხთა ახალი სახელმწიფო მშენებლობას, ჩინებულად ემსახურება საბჭოთა საქართველოს, კერძოდ თბილისის და მის მაზრის მუშებსა და გლეხებს, რადგან მუდამ ხელმძღვანელობს კომპარტიის, პროფკავშირების და საბჭოთა ხელისუფლების დირექტივებით, რომელთა ორგანოს იგი წარმოადგენს საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ დედა-ქალაქში რუსულ ენაზე. იმ ენაზე, რომელიც არის პროლეტარული რევოლიუციის პირველი ენა.

„რაბოჩაია პრავდა" თავის მოწინავე წერილებში, ფელეტონებში და სხვა ხასიათის საგაზეთო წერილებში ყოველდღიურათ,—მასისათვის გასაგებ ენაზე ქალაქისა და სოფლის მრავალრიცხოვან მშრომელ მკითხველებს აცნობს საბჭოთა კავშირის შინაურ და საერთაშორისო მდგომარეობას და მის კონკრეტულ ურთიერთობას კაპიტალისტურ ქვეყანასთან.

გაზეთი გადაუხრელად, კეთილსინდისიერად და წესიერად აშუქებს დასავლეთის და აღმოსავლეთის პოლიტიკას, მათს დამოკიდებულებას საბჭოთა კავშირისადმი იმ მასალების მიხედვით, რომელსაც იგი ღებულობს ტელეგრაფით, ტელეფონით და რადიოთი.

გაზეთი დიდი გონებამახვილობით ასურათებს კაპიტალისტური ქვეყნების საერთაშორისო ბურჟუაზიული პოლიტიკის მრავალ მოვლენებს, ბურჟუაზიული ქვეყნის დამოკიდებულებას მუშათა და გლეხთა პირველი რესპუბლიკის—საბჭოთა კავშირის მიმართ, ასურათებს არა მარტო კალმით, არამედ მხატვარ-კარიკატურისტთა ყალმით, რითაც იგი მხნეობას ჰმატებს თავის მასიურ მკითხველებს, უფრო უადვილებს მათ მთელი ქვეყნის მშრომელთა მტაცებელ ექსპლოატატორების — იმპერიალისტების დიპლომატიის, ტაქტიკის სტრატეგიის, და საერთოდ, მათი პოლიტიკის დახლართულ მოვლენების გაგებას.

გარდა სხვა მშრომელებისა, „რაბოჩაია პრავდა" ემსახურება რკინის-გზის პროლეტარიატსაც; თავისი მუშკორების საშუალებით მოკლედ და სხარტად ახასიათებს რკინის-გზის მუშათა ყოფა-ცხოვრების და რკინის-გზის სამმართველოს მუშაობის ყოველგვარ დეფექტებს, განსაკუთრებით საქართველოს ხაზზე. ამით იგი წარმატებით ასრულებს რკინის გზელთა საკუთარი ორგანოს დანიშნულებასაც.

საერთოდ „რაბოჩაია პრავდა" მუშკორების უხვი და მოკლე შენიშვნებით, ნიჭიერად შესრულებული კარიკატურების თანდართვით, მშვენივრად ასურათებს ყოფა-ცხოვრებას, მუშაობას და მშენებლობას ფაბრიკებში, ქარხნებში, ქალაქების სახელოსნოებში და საბჭოთა საქართველოს ყანა-ვენახებში; ამხელს სამეურნეო საბჭოთა ორგანოებში შემჩნეულ და ქალაქისა და სოფლის მუშაკთა ნაკლულევანებებს და ბოროტმოქმედებებს; ამით გაზეთი მასებში აღვიძებს აქტივობას და აბამს მათ მუშათა და გლეხთა ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობაში.

ჩემი მხურვალე სალამი გაზეთ „რაბოჩაია პრავდა"-ს მისი მე-1000-ე ნომრის გამოსვლის გამო!

ვუსურვებ მას ასეთივე წარმატებით, ასეთივე მხნეობითა და ასეთივე აღფრთოვანებით მსვლელობას მეორე მეათასე ნომრამდე და შემდეგშიდაც. ვუსურვებ მას ასეთივე გულმოდგინეობით ეკეთების განათლების დიადი საქმე საბჭოთა საქართველოს და კერძოდ მისი ცენტრის—თბილისის მუშათა და გლეხთა საკეთილდღეოდ. ასეთივე წარმატებით გაეწიოს მას ხელმძღვანელობა მასებისათვის ხელმძღვანელი აპარატების გაუმჯობესების და განმტკიცების საქმეში იმ დირექტივების მიხედვით, რომელსაც გაზეთი ღებულობს პარტიის, პროფკავშირების და საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებიდგან, რომელთა ერთგულ ორგანოს იგი წარმოადგენს.

გაუმარჯოს „რაბოჩაია პრავდა"-ს, როგორც მუშების, როგორც სოფლისა და ქალაქის ყველა მშრომელთა სიმართლეს!

დეე, მუდამ სცოცხლობდეს მასში პროლეტარული ინტერნაციონალის ჭეშმარიტი იდეოლოგების—დიდებული ბელადების, შრომის დაუვიწყარი გენიოსების—კარლ მარქსის და ვლადიმერ ილიჩ ლენინ-ულიანოვის რევოლიუციონური სული.

გაუმარჯოს საკავშირო კომპარტიას და კომინტერნს!

მიხა ცხაკაია.

„რაბოჩაია პრავდა"-ს

გაზ. „კომუნისტი"-ს რედაქცია და თანამშრომლები ესალმება თავის თანამოძმეს მისი მეათასე ნომრის გამოშვების გამო.

დეე, მაღლა ფრიალებდეს წითელი დროშა, რომელიც ეჭირა „რაბოჩაია პრავდა"-ს, რომელიც ათასჯერ გამობრძმედილა მუშათა საქმისთვის ბრძოლაში.

სალამი ყველა ამხანაგებს,—მუშათა პრესის შემქმნელ მუშაკებს. სალამი ჩვენს მეგობარ—მუშკორებს, — საბჭოთა მშენებლობის სახელოვან მედროშეებს.

გაზ. „კომუნისტი"-ს (ქართული) რედაქცია და თანამშრომლები.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

აბრეშუმის დამზადების კამპანია

ოზურგეთი, 7 ივლისი. ამხანაგობა „აბრეშუმი" ამჟამად აწარმოებს აბრეშუმის ნედლი პარკის შესასყიდ ოპერაციებს. ოზურგეთის პარკში ყოველდღიურად მოაქვთ 800-1000 ფუთი ნედლი პარკი. მისაღებ პუნქტზე მუშაობა სწარმოებს დილის 6 საათიდან საღამოს 10 საათამდე. მეაბრეშუმე გლეხობას ანგარიშს უსწორებს ორი სალარო.

სამუშაოებზე დასაქმებულია 160 კაცი—ქალები, მამაკაცები და მოზარდები. მუშაობა სწარმოებს სამ რიგათ.

7 ივლისამდე მიღებულ იქნა 5.000 ფუთი ნედლი პარკი. ეს ციფრი დიდათ სჭარბობს შარშანდელ დამზადებას. შარშან მთელი სეზონის განმავლობაში დამზადებულ იქნა სულ 6 ათასი ფუთი. პარკის ხარისხი საუკეთესოა. სჭარბობს თეთრი, ბაღდადის ჯიშის პარკი. მთელ ოპერაციებს ამხ. „აბრეშუმი"-ს დავალებით აწარმოებს ოზურგეთის ერთიანი მომხმარებელი საზოგადოება.

ასკანა - ბასილეთის გზატკეცილი

ოზურგეთი, 7 ივლისი. ასკანის სოფლის საბჭო შეუდგა გზის გაკეთებას ასკანიდან სოფელ ბასილეთამდე 8 ვერსის მანძილზე. ეს გზა უერთდება ჩოხატაურის გზატკეცილს. მუშაობებში მონაწილეობას ღებულობს სოფლის ყველა მცხოვრები.

გაფლანგვა

ახალსენაკი, 7 ივლისი. გამსვლელმა სესიამ გაარჩია ვახანიას საქმე. ვახანიამ გაფლანგა სენაკის კოოპერატივის ფული 835 მანეთი. ვახანიას სესიამ მიუსაჯა ერთი წლით დაპატიმრება წინასწარი პატიმრობის ჩათვლით. კოოპერატივის სარჩელი 885 მანეთის რაოდენობით დაკმაყოფილებულია. ბრალდებულს აკრძალული აქვს სამსახური სამეურნეო ორგანოებში ერთი წლის განმავლობაში.

გლეხკორების არჩევა

ლიუქსენბურგი, 7 ივლისი. მაზრაში მიმდინარეობს გლეხკორთა არჩევა. არჩეულია უკვე 70 კომიტეტი 244 წევრით. ამათგან 151 თურქია, 29 ქართველი, 34 სომეხი, 16 ბერძენი, 9 რუსი და 5 გერმანელი. გლეხკორების წევრთა საერთო რიცხვიდან 14 ქალია; გლეხი—243. ინტელიგენტი—1.

სეტყვა

თელავი, 7 ივლისი. ამ დღეებში სოფელ ყვარელში მეორეჯერ მოვიდა სეტყვა. წინასწარი ცნობებით, ვენახები დაზარალდენ 35—50 პროცენტით. ზარალის გამოსარკვევად გაგზავნილი იქნა აგრონომი

აგრონომიული განათლება

თელავი, 7 ივლისი. სასწავლო წლის დაწყებისას მაზრაში გახსნილი იქნება სკოლა გლეხურ ახალგაზრდობის სკოლა და ერთიც დაბალი საფეხურის სასოფლო სამეურნეო სასწავლებელი.

სანოვაგის მიწოდება მწყემსებისათვის

ახალქალაქი, 7 ივლისი. მეცხვარეების საჭირო პროდუქტებით რეგულიარულად უზრუნველსაყოფად საზოგადოება „მწყემსმა" ახალქალაქში გახსნა საწყობი, საიდანაც მწყემსებს დაურიგდებათ ფქვილი, მარილი და სხ.

მატყლი

ახალქალაქი, 7 ივლისი. ერთიან მომხმარებელ საზოგადოების საწყობში მოტანილ იქნა გაზაფხულზე ნაკრეჭი მატყლის პირველი პარტია.

ნათესების მდგომარეობა

ახალქალაქი, 7 ივლისი. ნათესების მდგომარეობა ივნისის პირველ ნახევრისათვის ხშირი წვიმებისა და თბილი ამინდების გამო საიმედოა და შეფასდება საშუალოდ ნიშანი—3-ით.

ტრაქტორების გამოცდა

ახალქალაქი, 7 ივლისი. ამ დღეებში სპეციალურმა კომისიამ მოახდინა ხოლდის და ფორძონის ტრაქტორების გამოცდა.

კომისიის დასკვნით: ახალქალაქის მაზრის რელიეფის გამო ტრაქტორებით ნაკლებად გამოსადეგია ხვნა-თესვისათვის. ამავე დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ ტრაქტორის გამოყენება მოუხერხებელი იქნება მთელი წლის განმავლობაში, შესაკეთებელ სახელოსნოების და სპეც-მექანიკოსების უყოლობის გამო.

გლეხკომების არჩევა

ახალქალაქი, 7 ივლისი. დაიწყო გლეხკომების გადარჩევის კამპანია 15 ივლისისათვის მოწვეული იქნება გლეხკომების სამაზრო ყრილობა.

აჭარისტანი

საბინაო მშენებლობა

ბათომი, 7 ივლისი. ნავთის სინდიკატმა, მუშათა უბნების ასაშენებლად შეისყიდა ხე-ტყის მასალა. სატყეო მასალასთან ერთად შეძენილ იქნა აგრეთვე 20 ვაგონი საამშენებლო ქვა და 150.000 ცალი აგური. შემოდგომისათვის მოთავდება ერთ-ერთი მთავარი კორპუსი, რომელიც 20 ბინას დაიტევს.

ნავთის გაზიდვა

ბათომი, 7 ივლისი. შუა ივლისისათვის ბათომის ნავთსადგურში ელიან გემ „დორისს", რომელიც შანხაიში წაიღებს ნავთის დიდ პარტიას (700.000 ფ.).

მუშა საქონლის ამოხოცვა

ბათომი, 7 ივლისი. მიმდინარე წლის დამდეგიდან აჭარისტანის გლეხობამ მუშა-საქონლის დახოცვით იზარალა 10.000 მანეთზე მეტი. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა ზარალის ასანაზღაურებლად გლეხებს სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა საშუალებით დაურიგა: ქედის მაზრას—300 მან. ქოროხის—2.200 მან. და ხულოს მაზრას—7.500 მან. ეს თანხები სასოფლო-სამეურნეო ბანკის მიერ გლეხებზე გაცემული იქნა გრძელვადიანი სესხის სახით.

ეპიზოოტია

ბათომი, 7 ივლისი. გასულ წელს აჭარისტანში ჭირიდგან დაიხოცა 448 სული მსხვილფეხა საქონელი. ყველაზე მეტი საქონელი (342 სული) დაიხოცა ოქტომბერში. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ჭირიდგან დაიხოცა 75 სული საქონელი (იანვარში —51, თებერვალში—24).

ზარალი, რომელიც ჭირმა მიაყენა გლეხობას, მთელ საანგარიშო პერიოდში უდრის—35.000 მანეთს.

აფხაზეთი

აფხაზეთის ორგანიზაციების გამოკვლევა

სოხუმი, 7 ივლისი. ს. კ. პ. აფხაზეთის ორგანიზაციების შემადგენლობის შესამოწმებლად დანიშნულმა კომისიამ დაასრულა აფხაზეთის სამაზრო პარტორგანიზაციების შემოწმება. ამ დღეებში კომისია შეუდგება სოხუმის ორგანიზაციის შემოწმებას.

საქონლის ჭირთან ბრძოლა

სოხუმი, 7 ივლისი. საქართველოში გავრცელებულ საქონლის ჭირთან საბრძოლველად მიღებულია წინასწარი ღონისძიებები. აფხაზეთის საზღვარზე დაწესებულია საკარანტინო პუნქტები. გამოწერილი და მიღებულია საჭირო მედიკამენტები.

მიმდინარე წელს საქონლის ჭირი აფხაზეთში სრულიად არ ყოფილა.

იყო შემთხვევები საქონლის ციმბირის წყლულით და თურქულით დაავადმყოფებისა.

ბზიბის ტყე

სოხუმი, 7 ივლისი. დამთავრდა ბზიბის სატყეო აგარაკის გამოკვლევა, რომელიც საქ. სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ მოახდინა. გამოკვლევით გამოირკვა, რომ ტყე თავისი რაოდენობით და ღირსებით უკეთესი აღმოჩნდა, ვიდრე ძველი სატაქსაციო (სანიხრო) ცნობები აღნიშნავენ.

ტყის ექსპლოატაციის წინ არავითარი განსაკუთრებული ტეხნიკური სიძნელე არ ელობება.

უმუშევრობა

სოხუმი, 7 ივლისი. უკანასკნელ ხანებში შემჩნეულია უმუშევართა რიცხვის გადიდება. უკანასკნელ 5 თვის განმავლობაში აღრიცხულია დაახლოებით 500 უმუშევარი, რომელნიც სოხუმში სამუშაოს საძებრად არიან ჩამოსული. უმუშევართა ჩამოსვლა სოხუმში გრძელდება. უმუშევართა დიდი ნაწილი მოდის მაიკოპიდან თამბაქოს პლანტაციებზე სამუშაოდ.

ჩამოსული უმუშევრები მძიმე ნივთიერ მდგომარეობაში არიან ჩავარდნილნი.

გორის საბჭოს საქმიანობა

28 ივნისს შესდგა ქ. გორის სადგურის მუშ., გლეხ. და წითელარმიელთა დეპუტატების ამომრჩეველთა საზოგადო კრება, სადაც მოსმენილი იქნა მოხსენება საბჭოს მუშაობის შესახებ. მომხსენებელმა, ამხ. ნოე კუციამ აღნიშნა, როგორც მთელი რიგი მიღწევებისა, ისე ნაკლიც. მან გააშუქა აგრეთვე მომავალი მუშაობის გეგმაც. გამოირკვა, რომ საბჭოს მოუხერხებია მასის აქტიურად ჩაბმა სექციებისა და მთლიანათ საბჭოს მუშაობაში, აგროკულტურის შეტანა გლეხურ მეურნეობაში და მიწის დამუშავების რაციონალურ საშუალებათა პოპულარიზაცია, საბჭოს დიდი ყურადღება მიუქცევია მელიორაციისათვის, სამელიორაციო მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდენ მუშებისა და გლეხების ფართო ფენები, კვარტალური მუშაობის პერიოდში დამთავრებულ იქნა ელ-სადგური, რომლიმაც ქალაქის მოთხოვნილება დააკმაყოფილა, ქალაქში და განაპირა სოფლებში არსებული ანტი-სანიტარული მდგომარეობა აღმოფხვრილია. კომუნალურმა სექციამ შეაკეთა დაზიანებული ქუჩები. ქალაქის დიდი (ლენინის) ქუჩა მოკირწყლული იქნა. დამთავრებულია ქალაქის დიდი აბანო.

მიღწევები საბჭოს მუშაობაში ამით არ ამოიწურება. შესრულებულია და დაწყებულია კიდევ მრავალი საყურადღებო საქმე ქალაქის გაუმჯობესებისა და კეთილმოწყობის დარგში.

კრებამ დიდი აქტივობა გამოიჩინა მოხსენების გარშემო გამართულ კამათის დროს. შემოტანილ იქნა მთელი რიგი პრაქტიკული წინადადებანი და დეპუტატებს დაევალათ მათი ცხოვრებაში გატარება საბჭოს საშუალებით.

ამრიგათ მყარდება მჭიდრო კავშირი გორის საბჭოსა და ამომრჩევლებს შორის.

მუქერია.

ახალი გამგეობა ავირჩიეთ

(სოფ. შემოქმედი, ოზურგეთის მაზრა)

ჩვენს სოფელში მოხდა ახლად გაერთიანებულ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის—წარმოკავშირის და საკრედიტო ამხანაგობის გამგეობის არჩევნები. ეს არჩევნები მოხდა მეორეხელ, მიუხედავად იმისა, რომ პირველი სავსებით კანონიერი იყო. ის დარღვეულ იქნა მხოლოდ მიტომ რომ წარმოკავშირის ინსტრუქტორი ცაგარეიშვილი უკმაყოფილო დარჩა იმ გარემოებით, რომ გამგეობაში ვერ გაიყვანა ბნელი პიროვნებები, რის შემდეგ კრება უკანონოდ გამოაცხადა.

მეორე კრებას აურაცხელი ხალხი დაესწრო. ბათომიდან ჩამოვიდა სასოფლო-სამეურნეო ბანკის გამგე ამხ. მხეიძე, რომელმაც კრებას მოუწოდა გამგეობაში გაეყვანათ პატიოსანი და გულმოდგინე მუშაკები, რადგან გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. ე. ჩხარტიშვილმა უარი განაცხადა მუშაობაზე.

კრებამ გამგეობაში აირჩია ამხ. ის. მგელაძე (თავმჯდომარე), ალ. ჩხარტიშვილი და ბარამიძე.

ცაგარეიშვილმა მაინც ვერ შესძლო თავისი კანდიდატის გაყვანა. ხალხი არჩევნებით კმაყოფილი დარჩა.

დამსწრე.

ს. ონოღიის სამკითხველოს მოღონიერებისათვის

(სენაკის მაზრა)

ვუწერ ჩვენს სამკითხველოს წლის ბოლომდე გაზეთი „კომუნისტს" და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს გამოუწერონ ამავე სამკითხველოს 6 თვით სერგო ჯიქიამ გაზეთი „მუშა", პეტრე ქავჟაიამ „ახალი სოფელი", ილია ეფრემისძე, ნესტორ, ამბაკო, ლავრენტი და ვარლამ ქავჟაიებმა ჟურნალი „მნათობი" 3 თვით, ონოღიელმა ტრამვაის თანამშრომლებმაც შეიძინონ და გადაუგზავნონ ამ სამკითხველოს სამ-სამი ცალი ბავშვთა საკითხავი ბროშიურები: „ცუგრუმელებს" „საბავშვო თამაშობანი" „საბავშვო მოთხრობები" ლ. ქიაჩელის, „პირველი მაისი" თურდოსპირელის და სხვა.

კოლია.

სოფლის ქრონიკა

— **ბაღი სკოლას.** ახალქალაქის სამაზრო აღმასკომმა ხანდოისეული ბაღი გადასცა ხერთვისის გლეხთა ახალგაზრდობის სკოლას.

— **ჭრა-კერვის სკოლა.** ახალქალაქის აღმასკომმა გახსნა გლეხ ქალებისთვის ჭრა-კერვის სკოლა.

— **წალვერის თემს გამოეყო და ბორჯომის თემს შეუერთდა სოფ. სადგერი.**

— **გორის სამაზრო აღმასკომმა კომუნალური ბანკის წინაშე აღძრა შუამდგომლობა, რომ** სოფ. სადგერის წყალსადენის გამოსაყვანად მიეცეს 50 კასრი ცემენტი.

— **ახალშენი.** ახალქალაქის აღმასკომს განზრახული აქვს სოფ. ვარგავის მოსახლეობა გადაასახლოს ნაყოფიერ ადგილზე.

— **მატარებლის დაჯახება.** 5 ივლისს, ღამით თბილისიდან კახეთისაკენ მიმავალმა მატარებელმა გაიტანა საგარეჯოს გლეხის [illegible] მუშკელის სამი კამეჩი.

წერილები

ცეცხლი ანადგურებს სოფელს

(უშაფათი, სენაკის მაზრა)

უშაფათის თემს დიდი ზარალი ადგება ცეცხლისგან. ძველად აჭაური თემის სამმართველო ორჯერ იმსხვერპლა ხანძარმა. იყო აგრეთვე რამოდენიმე შემთხვევა, კერძო ინტერესების გლეხის ოჯახის განადგურებისა. წარსულ წელს დასწვეს ხუბუს ოჯახი, მიმდინარე წელს აგრეთვე ცეცხლით იქნა განადგურებული ადგილობრივი კოოპერატივი. ზარალის ანაზღაურება თემს ძლიერ უჭირს. აგრეთვე კერძო ინტერესით დასწვეს ხურციას სახლი. გავიდა ცოტა ხანი და მიხეილ, ანტონი და დიმიტრი ქავების მთელი ავლა-დიდება გაანადგურა ცეცხლმა. ხურციას თემმა აღმოუჩინა დახმარება, მაგრამ სხვებს დახმარების საშუალება მას აღარა აქვს.

საჭიროა სამაზრო ხელისუფლების ჩარევა ამ საქმეში ბოროტმოქმედთა სასტიკი დასჯა.

„აში ვერგუ".

ახალი ძალა

(სენაკი)

19 ივნისს სენაკის პედაგოგიურ ტეხნიკუმში მოხდა ტეხნიკუმის კურს დამთავრებულთა საზეიმო გამოშვება.

საკლასო ოთახი მორთულია ყვავილებით, გირლიანდებით, ნოხებით... ზეიმობს სკოლა... კურს დამთავრებულნი ღიმილით და სიხარულით ხვდებიან მოწვეულ სტუმრებს — სკოლის ხელმძღვანელებს მათ აღმზრდელებს...

სკოლის გამგე ამხ. ელ. დემურია ხსნის საზეიმო სხდომას. ის ამბობს, რომ დღეიდან საზოგადოებას ემატება ახალი ძალა, ემატებიან ახალი პედაგოგები. და მიუთითებს რა მათ ზოგიერთ პრაქტიკულ კითხვებზე, უსურვებს მათ ნაყოფიერ და სარგებლიან მუშაობას.

შემდეგ სიტყვებით ესალმებიან მათ პარტიის, კავშირის და აღმასკომის და სხვადასხვა სკოლების წარმომადგენლები. საპასუხო სიტყვა სთქვა ერთმა კურსდამთავრებულთაგანმა.

კურსი დაამთავრა 31 მოწაფემ.

ბ. [illegible]

მუშათა ცხოვრება

ბოლს გაექცა

(პატარა ფელეტონისებური)

პროფსაბჭოს მცირე დარბაზიდან გამოვიდა მუშკორი ნიკო და გზას გაუდგა. მას წინ შემოეყარა შაქრო და შეეკითხა.

— სად მიდიხარ, ნიკო, კრება ჯერ ხომ არ დამთავრებულა?

— კრება კი ჯერ არ დამთავრებულა, მაგრამ მე მეტის მეტად შევწუხდი და იქ დარჩენა ვერ შევძელი.

— როგორ თუ შესწუხდი, განა რა მოხდა?

— რაღა რა მოხდა, ჯერ ხომ ისედაც ცხელა, ახლა მომხსენებელმა ისე გააგრძელა სიტყვა, რომ „შაჰ გელდი" გახადა. მაგრამ ეს კიდევ არაფერი, მომსხდომიყვნენ აქეთ-იქით თამბაქოს მოტრფიალენი და ისე აბოლებდენ რომ პირდაპირ დამახრჩო თამბაქოს ბოლმა. ჩემ დასნეულებულ ფილტვებს რაღა ეს უნდა?!.

— ეგ არაფერია, დაბრუნდი წავიდეთ ერთად.

— რა არაფერია, კაცო! რას ამბობ, ისიც მუშათა კრებაზე. ყველა მუშკორებია; სხვას ასწავლიან და არიგებენ; ტრამვაის ვაგონშიც კი მოსპეს სუფთა ჰაერზე თუთუნის მოწევა და მუშათა კრებებზე კი ასეთ უწესრიგობას სჩადიან.

— თუმცა ეგ მართალია, ჩემო ნიკო, მაგრამ მაინც კრებიდან არ უნდა წასულიყავი, ამით ხომ ცუდ მაგალითს აძლევ სხვებს.

— ჩემზე ადრე ჩემო შაქრო, სხვები წავიდნენ. მე კიდევ დიდი ხანი მოვითმინე უთხრა ნიკომ შაქროს. გამოეთხოვა და მიაშურა კომუნარების ბაღს სუფთა ჰაერის ჩასასუნთქავად.

— შაქრო კი გაეშურა კრებაზე. სხდომის დარბაზში შესვლისთანავე შეეგება ბოლი ნახშირბადიან ჰაერთან შეზავებული მასაც ნიკოსავით სურდა უკან გამობრუნება და თანაც ფიქრობდა ამას თუ როდის მოსპობენ პროფკავშირების საერთო კრებებზე თამბაქოს მოწევას.

მუშა შაქრო ნავთლუღელი.

სამკითხველო უგაზეთოდ განა შეიძლება?

მუშათა ცენტრ. კლუბის გამგე სხვა საქმეებთან ერთად აქამდე ხელს უწყობდა აქ არსებულ წიგნთ-საცავ-სამკითხველოსაც, სადაც უმრავლესობა მუშა-მოსამსახურენი იღებენ ცოდნა-განვითარებას. მაგრამ ეხლა იგი ყურადღებასაც არ აქცევს მას, მიზეზი გამოურკვეველია.

ეს ერთი კვირაა, რაც ხსენებულ სამკითხველოში ახალი ჟურნალ-გაზეთები არ მოიპოვება. მუშები შედიან სამკითხველოში და რაკი ახალი ჟურნალ-გაზეთები არ ხვდებათ, აღშფოთებული მიმართავენ ხოლმე წიგნთ-საცავ სამკითხველოს გამგეს და დიდ აურ-ზაურს უტეხენ მას, თითქოს ამ საქმეში ეს გამგე იყოს დამნაშავე.—გამგე წყნარად ამშვიდებს უკმაყოფილო მკითხველებს და აცნობს საქმის მდგომარეობას და მიუთითებს კლუბის გამგეზე.

კლუბის გამგე კი გაიძახის:—„ფული არ არის"-ო.

საკვირველია! მაშ, როგორ ინახავს ამ კლუბს სამი პროფკავშირი, თუ გაზეთების გამოსაწერი ფულიც არ მოეძებნებათ მათ?

სამკითხველოს არსებობა განა შეიძლება უგაზეთოთ?

რასაკვირველია არა:—ამიტომ სასწრაფოდ უნდა იქნეს სათანადო ზომები მიღებული გაზეთების გამოსაწერად, რითაც ხელი შეეწყობათ აქ მოსიარულე მშრომელ ხალხს საერთო განვითარებისათვის.

მუშკორი ლადო.

რას გვერჩიან??

„რკინისგზის დამზღვევი სალარო, თუ ტერიტორიალური სალარო: ასე დაისვა საკითხი 1926 წ. 18 ივნისს თბილისის საქონლის სადგურის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე. ამ საკითხმა დიდი აურზაური გამოიწვია მუშებს შორის. „როგორ თუ ჩვენ რ.-გ. დამზღვევ სალაროს მოვშორდებით, ის ჩვენი საკუთარი ოჯახია"? ასე ამბობდენ მუშები. ამ კრებას დაესწრნენ რ.-გ. დამზღვევ სალაროდან ამხ. ლომჯარიაშვილი, ჩვენი სატრანსპორტო კავშირიდან ამხ. ფრუიძე და ტერიტორიალურ სალაროდანაც ამხანაგები. მაშინ კრებამ არ მოისურვა გადასვლა ტერიტორიალურ სალაროზე და მიიღო ერთხმად რეზოლიუცია: დარჩენილიყვნენ ისევ რ.-გ. სალაროს წევრებად, და ეთხოვა სატრანსპორტო კავშირის პრეზიდიუმს ეს დადგენილება ცხოვრებაში გაეტარებინა, მაგრამ რას ვხედავთ? 1 ივნისიდან, კვლავ მოულოდნელად გამოგვეცხადა, რომ რ.-გ. საავადმყოფოდან საექიმო დახმარება აღარ მოგვეცემათო. ეს გარემოება დიდ უკმაყოფილებას იწვევს მუშებში. მეტადრე ისეთ დროს, როდესაც ავადმყოფი მუშა-მოსამსახურეები ემზადებოდენ ახვა დასასვენებელ სახლებში, თუ კურორტებზე წასასვლელად.

აღნიშნულ მუშებში არიან ქრონიკულად დაავადმყოფებულებიც.

მათი ავადმყოფობის ისტორია რ.-გ. ექიმებმა იციან.

დღეს კი ავადმყოფები სასოწარკვეთილებას მისცემიან; არ იციან როგორ მოიქცენ და ვის მიმართონ.

თუ დამზღვევი სალაროები ყველანი ერთნაირია და თუ ერთნაირად აძლევენ საექიმო დახმარებას ავადმყოფებს, მაშინ რა საჭირო იყო ძალად თავზე მოხვევა იმის, რაც არ უნდა მუშათა უმრავლესობას.

საჭიროა ამ საქმეს სერიოზულად შეხედონ იმათ, ვინც ამას ხელმძღვანელობს. ეთხაშთ ერთი სალაროდან მეორეში გადატანამ მოჰპობა მრავალი არა სასურველი გარემოება, რომლითაც დაზარალდებიან მუშა-მოსამსახურეები და უმეტესად ისინი, რომლებიც სისტემატიურად ღებულობენ დახმარებას რ.-გ. ექიმებისაგან.

მუშების მოთხოვნილებაა დარჩნენ რ.-გ. დამზღვევ სალაროს წევრებად.

მუშა აქაური.

მისაბაძი მაგალითი

მუშათა კლასში ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ მუშები თავს ანებებენ ძველ კარ-ჩაკეტილობას და ხდებიან საზოგადოებრივ მუშაკებად. საზოგადოების კეთილდღეობას ფხიზელი თვალყურით ხვდებიან.

ავიღოთ მაგალითისათვის შემანქანე ამხ. ხოშტარიას მოქმედება. იგი მართავდა 5 ივნისს მომავალ სახალხო მატარებელს № 20-ს მის ფხიზელ თვალყურს არ გამოეპარა მოსახვევ 285 ვერსთან გადმოვარდნილი დაახლოებით 100 ფუთ. სიდიდის ქვა. 15 საჟ. სიშორეზე შეაჩერა მან მატარებელი და იხსნა ხალხი მოსალოდნელი უბედურებისაგან და მატარებელი დამსხვრევისაგან. მგზავრებმა მემანქანე ხოშტარიას უთხრეს მადლობა.

მადლობის ღირსიც არის ასეთი მუშაკი. ყველა რკინისგზელები რომ იყვნენ ასეთი ფხიზლები, რკინისგზებზე უბედური შემთხვევები მოისპობოდა.

მუშკორი შავსოფლელი.

საჭილაოს სახერხი ქარხანა

საქართველოში ერთ-ერთ საუკეთესო სახერხ ქარხანას წარმოადგენს ამიერ-კავკასიის რკ. გზათა სატყეო განყოფილების „მხერხავი" სამტრედიაში.

188 წელს, მოქ. სერბრიაკოვმა ჩაუყარა საფუძველი პატარა სახერხ ქარხანას ცხენის წყლის პირზედ.

21 წლის შემდეგ, ე. ი. 1909 წელს, აღნიშნული სახერხი (მცირე ძალიანი) ქარხანა იყიდა იტალიელმა ზბროჟეკამ, რომელმაც ქარხნის კონსტრუქცია შესცვალა და ააგო უკანასკნელი ტეხნიკის და მიხედვით, 360 ცხენის ძალიანი ორთქლის მანქანების დადგმით, არსებული სახერხი ქარხანა.

1922 წელს იგი იჯარით გადაეცა რკ. გზას, რომელიც მუშებთან დავალიანდა 51.000 მანეთით. მუშებმა თავის დასაკმაყოფილებლად ქარხანა გაჰყიდეს.

ამჟამად იგი ა.-კ. რკ. გზ. სატყეო განყოფილებას ეკუთვნის, გასულ წლის 15 ივნისამდე შრომის ნაყოფიერება მეტად მცირე იყო, მაგრამ ნარდ სამუშაოზე გადასვლის შემდეგ ნაყოფიერებამ 30 პროცენტით აიწია და დახერხვის ფასმაც დაიკლო 30 კაპ. 18 კაპეიკამდე თითო კუბიკურ ფუტზე.

ქარხანაში დაბანდებულია 300 მუშა.

ქარხნის სახერხ მანქანების ფარდულში გამუდმებული ხმაური და გუგუნი ისმის. სვანეთის უშველებელ ხეებს ნაფოტებად აქცევს გაბრაზებული მანქანა.

სულ აქ ითვლება **8 ჩარჩო (რამა) მაღალი მანქანა. 4—ორმაგი გამყოფი, 3—ფიგარო (სქელი ფიცრების სახერხი). 16 საყუთე მასალის დამამზადებელი, 1 მრგვალი ხერხი, პარალელური ჩარხი—11, დიდი ფიგარო—1 (ბრუსების სათლელი).**

ეს მანქანები მოძრაობაში მოდის ტრანსმისიის საშუალებით ხოლო რამოდენიმე წვრილ მასალის მანქანა 40 ცხ. ძალიან ელმანქანას მოჰყავს მოძრაობაში, ამასთან აღნიშნული ელსადგური სრულიად აკმაყოფილებს ახლო მახლო მყოფ ადგილების მოთხოვნილებას (საჭილაოში და მარანში).

მეტად საინტერესოა ქარხნის სამანქანო განყოფილება. საშინელი სიცხეა, ოშხივარი ასდის ყოველ საგანს. შუაში გიგანტის მკლავებით გრიალებს კომპაუნდის (იტალიურ ფირმა „ვოლფი"-ს). სისტემის ორთქლის მანქანა, ყოველ დატრიალებასთან უზარმაზარი ბორბალი 320 ცხენის ძალას ისვრის, აღსანიშნავია მანქანების „საკანიზაციო" აპარატი. საზოგადოდ მემანქანეების სიტყვით, ასეთი მანქანა საბჭ. კავშირში იშვიათია. მანქანას 1913 წლიდან გაუკეთდა რემონტი. მას აქეთ თითქმის უდეფექტოდ მუშაობს იგი, ხოლო ეხლა კი აუცილებლად საჭიროებს შეკეთებას.

მუშაობაში ადგილი აქვს მთელ რიგ ნაკლულოვანებებს: სვანეთის ხე-ტყის დასამუშავებელ პუნქტებიდან რამდენიმე ხანს მიეწოდება [illegible] ხეები, რაც ნარდ მუშაობას საგრძნობლად აფერხებდა; მანქანები შეუკეთებლობის გამო სისტემატიურად ჩერდება, მაგ. მაისში ჩარხების გაჩერებას 9-ჯერ ჰქონდა ადგილი. ეს კი იწვევდა ხანგრძლივ და უმნიშვნელო რემონტს ადგილობრივი საშუალებებით. მიზეზად ამისა ჩაითვლება ქარხნის კაპიტალურად შეკეთების დაგვიანება, შეკეთება რომელიც უნდა მომხდარიყო 1 აპრილიდან გადაიდო. განკარგულებაა, რომ, სანამ სახერხ ქარხანასთან მყოფი ხე-ტყის მასალა არ დამუშავდება, მანამდი რემონტი მოსალოდნელი არ არის. ეს კი მძიმე მდგომარეობაში აყენებს მუშებს. ამას უნდა დაემატოთ ისიც, რომ რკ. გზის სატყეო განყოფილებამ ქარხანას უგრძესი ხერხები გამოუგზავნა. აღნიშნული პირობები საკმარისია, რათა შრომის ნაყოფიერება თვალსაჩინოდ დაეცეს. ქარხანა რემონტისათვის უნდა დაიხუროს ორი თვით.

მუშების მდგომარეობა საერთოდ დამაკმაყოფილებელია. ენერგიული ქარხკომის საშუალებით პროფმუშაობა დამაკმაყოფილებელია—მისივე ინიციატივით მუშათა კლუბისათვის ადგილობრივად შენდება აგურის ქარხანა. ხარჯთ აღრიცხვით მისი აგება ჯდება 1.700 მანეთი. ყოველ კვირაში იმართება წარმოდგენა, გასართობები, ხშირად საკუთარი კინო აპარატით უჩვენებენ სურათს. მუშები სჩივიან, რომ ხშირად ჰქონდა ადგილი ხელფასის [illegible] სპეც-ტანსაცმლების დროზე [illegible] მაგრამ მუშები იმედს გამოსთქვამენ, რომ მომავალში ადგილი არ ექნება ასეთ შემთხვევებს.

კ. ნ.

ჩვენი ფაბკომის მუშაობა

2 ივლისს, [illegible] ფაბრიკა „ინტერნაციონალ"-ში შესდგა ფაბკომის ახალ შემადგენლობის სხდომა. სხდომას დაესწრო მთელი შემადგენლობა.

დღის წესრიგში იდგა: ფაბკომის თავმჯდომარის არჩევა და მიმდინარე საკითხები.

სხდომამ ერთხმად აირჩია თავის შემადგენლობიდან ფაბკომის თავმჯდომარედ—ამხ. ქარუმიძე ალექსანდრე, ძველი მუშა-მეკოლოფე; მდივნად—ოტიაშვილი მიშა და ხაზინადრად—გუდიევი მიხა.

შემდეგ სხდომამ განიხილა, დასასვენებელ სახლში და კურორტზე გასაგზავნი მუშების სია.

ფაბკომის ახალ შემადგენლობას, უკვე ეტყობა ნაყოფიერი მუშაობა.

ყოფილი ფაბკომის თავმჯდომარე—ამხ. გამბაროვი დანიშნულია მე-2 რაიკომის მიერ—ამავე ფაბრიკის კომუჯრედის პ. მ. მდივნად.

მუშკორი ვანო.

შენიშვნები

1. ასეთი წეს-ჩვეულება უნდა აღმოიფხვრას

საბჭოთა ხელისუფლება იცავს ყოველ მხრივ მუშის და მოსამსახურის ინტერესებს და აკმაყოფილებს ყველა მათ კანონიერ მოთხოვნილებებს იგი სასტიკად სდევნის შრომის ექსპლოატატორებს და შრომის კანონთა დამრღვევლებს და ყველა იმათ, ვინც პატიოსან მშრომელისადმი იჩენს უდიერობას, უხეშობას და უსამართლოდ ეპყრობა მას. მიუხედავად ამისა, ჩვენ წამოწყება-დაწესებულებებში კიდევ მოიპოვებიან ისეთი მავნე, უცხო ელემენტები, რომელნიც. სარგებლობენ რა თავიანთი თანამდებობითი მდგომარეობით და ხელისუფლების ნდობით, ბოროტად იყენებენ ხელისუფლების ნდობას მათთვის (ე. ი. ასეთი ელემენტებისათვის) „არა სასურველ" მუშა-მოსამსახურესთან „ანგარიშის გასასწორებლად". ასეთი ჯურის ადმინისტრატორები „არა სასურველ" მუშას, ან მოსამსახურეს აცხადებენ „არა სანდო პირად", ან სამსახურს „არა მცოდნედ" ან უკეთებენ მათ რამე სისხლის სამართლის ხასიათის ბრალდებას და ხსნიან მათ სამუშაოდან „საქმის გამორკვევამდე". საქმის გამოძიება, წამოყენებული ბრალდებათა გაბათილება ან და დადასტურება კი სასამართლოს წესით გრძელდება რამოდენიმე თვის განმავლობაში. ორი თვის სამუშაოს გაცდენის შემდეგ, როგორც ვიცით, ადმინისტრაციას აქვს უფლება მთლად მოხსნას მუშა-მოსამსახური სამუშაოდან და ისინი კიდეც ხსნიან მათ. რამოდენიმე თვის შემდეგ (ვთქვათ 6-10 თვის შემდეგ) სასამართლო ვერ სცნობს ბრალდებულს დამნაშავედ და აბათილებს მის მიმართ წამოყენებულ ბრალდებებს; და გამართლებულს კი ეძლევა უფლება კვლავ დაუბრუნდეს თავის სამსახურს და მიიღოს გაცდენილი თვეების ხელფასი სრულად.

ასეთი მაგალითები ხშირად ხდება რკინის გზაზე და სხვაგანაც. ამას მოწმობენ ჩვენ სასამართლოებში თავმოყრილი აურაცხელი საქმეები.

ვინ ზარალობს აქ? ცხადია, რომ დაწესებულება და სახელმწიფო სალარო. ადმინისტრატორს კი პასუხს არავინ სთხოვს. არიან ისეთი ადმინისტრატორები, რომელნიც ხშირად მიმართავენ ხოლმე ასეთ ბოროტებას; ამის მასალები ბლომად მოიპოვება სახალხო და შრომის სასამართლოებში.

საჭიროა, ეს ბოროტება ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრილი იქნეს დამნაშავეთა სისხლის სამართლის წესით პასუხისგებაში მიცემით და სამსახურიდანაც მოხსნით.

ასეთი წესების შემოღება ბევრ მავნე ადმინისტრატორს ალაგმავს და გამოასწორებს.

2. კოჯორის აგარაკები

კოჯორის აგარაკები წელს საუცხოვო სანახაობას წარმოადგენს. აგარაკებზე დაცულია სისუფთავე; სახლები შეკეთებული და ახლად დანომრილია. კოჯორი წელს ამ წვიმიან ზაფხულის გამო პირდაპირ „იხრჩობა" მწვანეულობაში და თავის წმინდა, სუფთა გრილი ჰაერით ატკბობს, აჯანსაღებს შრომისგან დაღლილ-დაქანცულ მუშათა ოჯახების წევრებს. სამწუხაროდ, აქაც გვაქვს ზოგიერთი დანაკლისები: ზემო შოსეს (რომელიც საუცხოვოდ შეკეთებულია) ქვეით აგარაკებზე მისასვლელი გზები ძალზე გაფუჭებულია. აქ არამც თუ ეტლით, არამედ ფეხითაც მისვლა აგარაკზე ზოგჯერ შეუძლებელია. აქ არ არის არც ერთი ფინარი, რაც იყო, ისიც მოუხსნიათ. ამ განადგურებული გზა-ბილიკებით, მიდიდ ფოთლიან ტყით დაფარული ეზოების გავლა საღამოთი შეუძლებელია. მუშა ამოდის კოჯორზე კვირა-უქმე წინადღეებში ხშირად საღამოს 9-10 საათზე და გვიან. ამ ოღრო-ჩოღროში და სიბნელეში იგი საშინლად იტანჯება. საჭიროა აღმასკომმა შეკეთოს ეს გზა-ბილიკები და ალაგ-ალაგ უბრალო ფარნებიც ჩამოჰკიდოს.

ეს სრულებით ძვირად არ დაჯდება და კოჯორსაც მიეცემა სავსებით კეთილმოწყობილ აგარაკების სახე. მუშებიც მადლობელი იქნებიან.

იუპიტერი.

მუშათა ქრონიკა

ამხ. კალინინის სახელობის თითბრის და თუჯის ჩამოსხმელ მექანიკურ ქარხანაში

— **ანგარიშების წარმოება.** სწარმოებს ანგარიშობის [illegible] მიმდინარე წლის პირველი ნახევრის, რომელიც უნდა წარედგინოს ს. მ. უ. ს. განსახორციელებლად და დასამტკიცებლად.

— [illegible] საათების მუშაობის ჯილდოს [illegible]. ანგარიშების შედგენის გამო [illegible] ზედმეტი მუშაობის გასამრჯელო. [illegible] 1-ლ ივნისიდან 1 ივლისამდე, ე. ი. [illegible] თვისა, რაც შეადგენს 184 მ. და 95 კ. [illegible] ადმინისტრაციამ [illegible] ანგარიშების საბოლოოდ დამთავრებამდის.

— **კომპენსაციები.** ივნისში გამოუყენებელ [illegible] კომპენსაცია მიიღო 3 კაცმა.

ოქტომბრის რევოლიუციის სახელობის სპილენძის სატკეც ქარხანაში

— **ფაბრიკის გაფართოება.** ფაბრიკის გაფართოების მიზნით, შემუშავებულია ხუთწლიანი გეგმა, რომელიც წარდგენილია და დამტკიცებული იქნა ს. ს. ს. რ. უმაღლეს საბჭოს მიერ.

— **მომჭირნეობის რეჟიმის გასატარებლად** არჩეულია მუდმივი კომისია, რომელსაც ევალება მომჭირნეობის მიზნით ქარხნის ზედმეტი ხარჯების შემცირება.

— **სპეცტანსაცმელი.** ახლო მომავალში მუშებს დაურიგდებათ სპეცტანსაცმელი.

— **მუშები კლუბის წევრად ეწერებიან.** კულტკომისიამ გამოიტანა დადგენილება მუშა-მოსამსახურეთა ცენტრ. კლუბში წევრებად ჩაწერაზე. მუშები ხალისიანად ეწერებიან კლუბში.

— **ექსკურსია.** ამ დღეებში განზრახულია ქარხნის მუშა-მოსამსახურეებისათვის მოეწყოს ექსკურსია „ზაჰესში".

— **ლექცია.** ახლო მომავალში იწყობა ლექცია მუშებისთვის პროფკავშირების მშენებლობის შესახებ.

პროფკავშირებში

სახალხო. კვების კავშირში

ქალთა შორის მუშაობა

კავშირი აერთიანებს 1678 ქალს, რომელთა შორის წარმოებაში მომუშავე 250 ქალი, ოჯახში—795 ქალი, ხოლო 633 ქალი უმუშევარია. წერა-კითხვის მცოდნე არის 339 ქალი, მცირე-მცოდნე—727, ხოლო 612 ქალი კი უცოდინარია. მიმდინარე წელს ქალთა წარმომადგენლობა სხვადასხვა პასუხისმგებელ სამუშაოებზე ჩატარებულ იქნა წარმატებით, გამგეობის წევრად 3 ქალია, კანდიდატად—1; სარევიზიო კომისიაში—11, კანდ.—1; ადგილკომების წევრია—15, კანდ.—3. რწმუნებულად ხაზზე—18, ქალთა განყოფილების ხაზით—75. მსაჯულებად გამოყოფილია—19 ქალი.

ქალთა საერთო კრება მოწვეულ იქნა 5-ჯერ. წერა-კითხვის სკოლაში გაგზავნილია 72 ქალი.

ცენტრალურ პარტსკოლაში—17.

მუშფაკში—2.

პოლიტწრეში ჩაბმულია—32 ქალი; ფიზკულტურაში —17.

ც. გამგეობამ ამხ. ჯიქიას მოხსენება ქალთა შორის მუშაობის შესახებ სცნო დამაკმაყოფილებლად და დაავალა მომავალში მჭიდრო კავშირის დაჭერა პერიფერიებთან მუშაობის გამოცოცხლების მიზნით, აგრეთვე მეტი ყურადღების მიქცევა ქალთა პროფმუშაობაში ჩასაბმელად დელეგატების საშუალებით.

პროფკორი ნინა.

პროფმუშაობის ქრონიკა

პროფსაბჭოში

— **ფაბქარხადგილკომების საფინანსო ანგარიშების ახალი ფორმები.** პროფსაბჭოსთან შემდგარმა საორგანიზაციო თათბირმა დაამტკიცა ფაბქარხადგილკომების საფინანსო ანგარიშების ახალი ფორმები, რომლებიც ყოველი თვის ბოლოში უნდა იქნეს შევსებული და გამოგზავნილი წამოწყება-დაწესებულებებში. ამით მუშა-მოსამსახურეებს საშუალება მიეცემათ კონტროლი გაუწიონ თავიანთ ფაბქარხადგილკომებს.

—**საკავშირო ორგანოების სალაროების ცენტრალიზაცია.** პროფსაბჭოსთან შემდგარმა საორგანიზაციო თათბირმა საჭიროდ სცნო საკავშირო სალაროების ცენტრალიზაცია მოახდინოს. დამტკიცდა საამისო დებულება. დებულების დამტკიცების დროს კავშირების წარმომადგენლებმა აზრი გამოსთქვეს, რომ ზოგიერთი სამაზრო კავშირები არ ასრულებენ თავის ვალდებულებას მაღლა მდგომ ორგანოებისადმი, არ უგზავნიან გადანარიცხ თანხებს და სხვ. თათბირმა საჭიროდ სცნო, რომ ამნაირ პროფორგანიზაციების წინააღმდეგ სასტიკი ზომები იქნეს მიღებული.

—**წითელი ჯვრის უჯრედების დასაარსებლად.** პროფსაბჭოსთან შემდგარმა საორგანიზაციო თათბირმა საჭიროდ სცნო ხელი შეუწყოს წითელი ჯვრის საზოგადოების უჯრედების დაარსებას წამოწყება-დაწესებულებებში.

—**საკონცესიო რაიონებში მუშაობის გაძლიერებლად.** საორგანიზაციო თათბირმა წინადადება მისცა ყველა კავშირების ცენტრალურ გამგეობებს გაძლიეროს კავშირი საკონცესიო რაიონებში არსებულ პროფორგანიზაციებთან.

კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კავშირში

— **ხარჯთ-აღრიცხვების დამტკიცება.** ც. გამგეობის დადგენილებით დამტკიცებულია 1926 წ. მეორე ნახევრის ხარჯთ-აღრიცხვები. [illegible]

კინო-აპარატის შესაძენად

— ც. გამგეობის დადგენილებით კულტფონდიდან მიეცა დუშეთის სამაზრო პროფბიუროს 50 მანეთი კინო-აპარატის შესაძენად.

— **ახალი ადგილკომის დაარსება.** ყასბეგში დაარსდა აღმშენებელთა დარგის მუშებისათვის ადგილკომი, რაც ც. გამგეობის მიერ დამტკიცებულია. ამავე დროს დაევალა საორგანიზაციო განყოფილებას გამოკვლიოს დუშეთში და მუხრავანშიც ასეთი ადგილკომების დაარსების შესაძლებლობა.

—**კავშირის ფინანსიური მდგომარეობა.** კავშირის ზოგ ქვემდებარე ორგანიზაციებს თავის დროზე არ შეაქვთ საწევრო ანარიცხები; ზოგი ორგანიზაციები კი სულაც არ იხდიან ასეთებს; არ ადგენენ საფინანსო ანგარიშებს რამოდენიმე თვის განმავლობაში; ადგილი აქვს ხარჯთ-აღრიცხვის ზევით თანხების დახარჯვას. ზოგი ძირითადი ორგანოები კავშირის ხარჯთ-აღრიცხვის სწორუცვლელად გატარების შესახებ არც კი ასრულებენ.

კავშირის ც. გამგეობამ ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად გამოიტანა მთელი რიგი საქმიანი დადგენილებები, სადაც სხვათა შორის ნათქვამია, რომ ის ძირითადი ორგანოები, რომელიც ც. გ. დავალებებს არ შეასრულებს და ხარჯთ-აღრიცხვას არ გაატარებს სწორად, ჩაითვლება როგორც საეთო პროფმუშაობის დამრღვევნი და დაისმება საკითხი მათი მოხსნის შესახებ.

მეტყევეთა კავშირში

— **მიეცა გაფრთხილება.** ვინაიდან მეტყევეთა კავშირის ც. გამგეობის გაფართოებულ პლენუმზე სოხუმის სამაზრო განყოფილებას უნდა გაეკეთებია მუშაობის შესახებ მოხსენება და გამომახილი ამხანაგი კი არც გამოცხადდა და არც აცნობა ამის შესახებ კავშირს, პლენუმმა მისცა გაფრთხილება სოხუმის სამაზრო განყოფილებას, რომ შემდეგში არ ექნეს ადგი[illegible]

რკ. გზის პროფკავშირებში

— **კოჯორის ახალშენში.** ა.-კ. საგზაო კომიტეტის დადგენილებით მიმდინარე ზაფხულის განმავლობაში გაიგზავნება რკინისგზის სკოლების 210 მოსწავლე. აქედან საქართველოს რკინისგზელებისათვის გადადებულია 120 ადგილი.

— **წითელი კუთხეები.** ბათომის რკინისგზის საუბნო კულტთათბირმა საჭიროდ სცნო ლიანდაგის შემკეთებელ მუშების საცხოვრებლებში წითელი კუთხეების გახსნა.

— **ახალი ბაქანი.** 20 ივნისს ტყიბულის ხაზზე გაიხსნება საფიჩხის ბაქანი.

— **კლუბისათვის.** განჯის საუბნო პროფკავშირმა შუამდგომლობა აღძრა სალიანდაგო სამსახურის—წინაშე გაიღონ კლუბის ასაგებად დამატებით 20.000 მანეთი.

— **ამხ. რაზმაძის დანიშვნა.** თბილისის საუბნო პროფკავშირის სატარიფო განყოფილების გამგედ დაინიშნა ამხ. ზ. რაზმაძე.

— **პიონერთა ექსკურსიისათვის.** განჯის საუბნო პროფკავშირმა დაადგინა მოაწყოს პიონერთა ექსკურსია. დაევალა ა.-კ. რკ.- გზელთა პროფკავშირის კულტგანყოფილებას მოელაპარაკოს რკ.-გზების სამმართველოს, რათა პიონერებს დაუთმოს ერთი ვაგონი ექსკურსიისათვის ბათომში.

— **მუშაობის გასაძლიერებლად.** ზაფხულის განმავლობაში მასიურ მუშაობის გასაძლიერებლად განჯის საუბნო პროფკავშირმა გადასდო 800 მან. 500 მან. მიეცა განჯის და 300 მან. კიურდამირის კლუბებს.

— **კინო-აპარატი.** განჯის საუბნო პროფკავშირმა აქსტაფის კლუბისათვის კინო-აპარატის შესაძენად გადასდო 1.200 მან.

— **ლიტერატურა.** განჯის საუბნო პროფკავშირმა ივნისის თვის განმავლობაში შეიძინა 900 მანეთის ლიტერატურა.

—**საწარმოო კომისია.** თბილისის საუბნო პროფკავშირის პრეზიდიუმმა საჭიროთ სცნო დაარსოს საწარმოო კომისია ელექტრო-ტეხნიკურ სამსახურის მესამე უბანში

—**ღია სხდომა.** თბილისის საუბნო პროფკავშირი ახლო ხანში ღია სხდომას მოაწყობს გორში.

— **წარმომადგენელი.** თბილისის საუბნო პროფკავშირმა ინჟინერთა და ტეხნიკოსთა სექციის ბიუროში თავის წარმომადგენლად გამოჰყო ამხ. რაზმაძე.

— **თბილისის საუბნო პროფკავშირის პრეზიდიუმმა** შუამდგომლობა აღძრა საგზაო კომიტეტის წინაშე, რათა დუქანი—რონოდა უფრო ხშირათ გაიგზავნოს ხაზზე მუშა-მოსამსახურეების კოოპერატიული საქონლით უზრუნველსა-

— **სანატორიუმებში.** ბათომის საუბნო კომიტეტის პრეზიდიუმმა გადასწყვიტა შუამდგომლობა აღძრას სათანადო ორგანოს წინაშე, რათა ბათომის უბნის რკინისგზელებს მეტი ადგილი დაეთმოთ სანატორიუმებში.

— **ბათომის საუბნო** კომიტეტმა დაავალა ყველა ადგილკომებს მოახდინონ საწარმოო კომისიების დადგენილებათა აღრიცხვა.

— **ინსტრუქტორები.** ხაშურის საუბნო კომიტეტის პრეზიდიუმმა მთავარ ხაზზე მუშაობა ქიათურის შტოს ჩათვლით მიანდო ინსტრუქტორ გედევანიშვილს—[illegible] ხაზზე კი დაინიშნა ინსტრუქტორად [illegible].

პატარა ფელეტონი

„ჯანდაბას ბრიტანეთის იმპერია"

ანუ

ბოლდუინისა და მაკდონალდის მიჯნურობა

„კუკმა სთქვა: ჯანდაბას ისეთი იმპერია, რომელიც მუშებს არ აძლევს არსებობის საშუალებას"-ო.

ალბათ იცით, რომ ინგლისში არის კუკი
ვაჟკაცია ძარღვიანი, როგორც ტუკი,
ის ერჩის უსათუოდ ბოლდუინს, თუ კი
კუკის ნაცვლად ექნებოდა ასი ზმუკი.
სულ ყველანი მოისყიდეს ძლიერ ჩქარა,
მაკდონალდი, ტომასი და სხვა მახარა,
მაგრამ კუკთან ვერ გააწყვეს მათ ვერა რა,
„შუბლმაგართა" კუკმა საქმე გაამწარა.

* *

ბოლდუინმა შეუთვალა
თავის სატრფოს მაკდონალდსა,
კარგია, თუ მარილს წასცხებ
შენს სიკეთეს და შენს მადლსა.
კაცო, ეს ვის შევეყარე
რა ყოფილა—ხათაბალა,
ეს კუკია თუ ვილაცა,
ლამის სიქა გაგვაცალა.
არ გავიდა მასთან თხოვნა,
არც ქრთამი და არცა ძღვენი;
დასანახათ ეზარება
თურმე სახე იმას ჩვენი
ხაზშია ძლიერ მტერი:
გაფიცულებს მეთაურობს
იცოდეთ, რომ თქვენს ღალატზეც
ყველაზე მეტს ის ხმაურობს.
გაზრდილობის კანონები
მისთვის არსად არ სწერია,
ჯანდაბაში მიგვაბრძანა
მე და ჩემი იმპერია
ამბობენ, რომ თვით ეშმაკთან
მას კავშირი უჭერია,
თუ რამე არ მოუხერხეთ
ჩვენ ყოფნა არ გვიწერია.
მაშ შენ იცი, ეგ ნაბდენი
ზურგი კიდევ მოიფხანე
და ის კუკი, ის ურჯულო
ჩვენს ჭკუაზე მოიყვანე.
მაკდონალდმა უპასუხა:
შენი მქონდა მე იმედი
თურმე არც ერთს არ გვქონი.
ჩვენ ამ ქვეყნად კარგი ბედი.
ეხლა კუკთან რომ მიხვიდე,
უნდა იყო ყრუ და ყბედი;
მისი ჩვენებრ მორჯულება
ძნელად არის გასაბედი.
რა ვქნა! ჩემთან, რომ ვაჟკაცობ
და იკვეხნი მაგ შენს ძალას,
ახლა კუკსაც დაანახე
და იმ წუწულ საკლატვალას,
რომ ბრიტანეთს ჰყავს მთავრობა
და ჰყავს კიდევ პრემიერი,
რომ ინგლისის იმპერია
ცოცხალია და ძლიერი.
რა ვაჟკაცი დამინახე
გაფიცულებს რომ ვებრძოლო?!
მე კუკს თავი შევახეთქო,
ყალიონი შენ აბოლო?!.
არა ძმაო, თუმც ვიყავით
დღემდის ძმებად გაფიცული,
მე კუკს ახლა ვერ შევბედავ
რომ დამარტყა თავში ცული.
თუმცა ვიცი, ეს პასუხი
შენ ძალიან გეწყინება,
მაგრამ ვშიშობ, რომ მუშებმა
არ დაკარგონ მოთმინება
და მეც და შენც, ორივს ერთად
არ მოგვადონ მაგრად სილა,
სტენლი! ველარ გადავრჩებით
მენახშირემ თუ დაგვზილა.
ცოტა შემდეგ მიმსახურე
კვლავ მიგულე ტახტის მონად.
დრო უშოვოთ, დავსცხოთ მერე,
შვილიშვილთა მოსაგონად

* *

წაიკითხა ეს პასუხი
ბოლდუინმა და სთქვა ახე:
მაკდონალდის ერთგულება
თავის დროზე დავაფასე,
ვიცი, თუმც უარზე არის
მაინც ცდილობს უკვე ალბად,
რომ გახტეხოს ციხე შიგნით.
და გაფიცვას დასცეს დამბლა.

* *

ვადასტურებ—მეც—ხოზიკა:
მაკდონალდი და ტომასი
თავის ზნეს არ უღალატებს
თავში ჩასცხო თუნდ ათასი.

ხოზიკა.

ცემენტის მრეწველობა

გუშინ, საღამოს 7 საათზე ს. მ. უ. ს. თავმჯდომარის ამხ. ბ. ჭიჭინაძის თაოსნობით შესდგა ინჟინერ-სპეციალისტთა თათბირი საქართველოში ცემენტის წარმოების დაწყების შესახებ.

სხდომაზე მოსმენილ იქნა ორი მოხსენება—ერთი კავთისხევის ცემენტის შესახებ და მეორე ტყიბულში ქარხნის მოწყობის შესახებ.

ტყიბულის ვარიანტს იცავდა ინჟ. კარაპეტიანი, რომელიც ამტკიცებდა, რომ ტყიბულის ცემენტი იქნება მაღალი ღირსების და მას დიდი მოთხოვნილება ექნება ბაზარზე, ხოლო ნედლი მასალის მარაგი იქ იკმარებს ასეული წლებისთვის.

მეორე მომხსენებელი—დევდარიანი იცავდა კავთისხევის ვარიანტს და ამტკიცებდა, რომ ტყიბულში წარმოების დაწყება არ იქნება მიზანშეწონილი, ვინაიდან ტრანსპორტის საკითხი, რკინისგზების პირობები და ნედლი მასალის ღირსება საამისოთ დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს.

კავთისხევს კი, მომხსენებლის აზრით ყოველგვარი უპირატესობა აქვს.

თათბირზე წამოიჭრა აზრი ქარხნის ქუთაისში მოწყობის შესახებ. ეს გაადვილებს საქმეს ვინაიდან ქუთაისის მახლობლათ დიდძალი საკირე ქვა მოიპოვება, ხოლო საწვავ მასალას ჩამოზიდავენ ტყიბულიდან.

დასასრულ თათბირმა მიიღო შემდეგი დასკვნები:

მიღებულ იქნეს ზომები, რომ რაც შეიძლება ჩქარა იქნას დაწყებული ცემენტის ქარხნის აგება კავთის ხევში. ამასთანავე გამოირკვეს თუ რა ეღირება ქარხნის აგება ან როგორი იქნება გადამუშავებული ცემენტის ღირებულება.

პარალელურათ დაწყებულ იქნეს მუშაობა იმის გამოსაკვლევათ თუ რამდენათ ხელსაყრელი იქნება ტყიბულში ან ქუთაისში ქარხნის აგება.

მანქანები

„ზაქსელმაშის" განყოფილება სომხეთში

სომხეთის ეკონომიურმა საბჭომ აუცილებელ საჭიროდ სცნო სომხეთში „ზაქსელმაში"-ს განყოფილების საწყობის გახსნა.

„ზაქსელმაშ"-მა სომხეთის სააგენტოსთან უკვე გახსნა საბაზისო საწყობი.

მანქანების შესყიდვისათვის

„ზაქსელმაშ"-მა გამოიმუშავა 1926—27 წელში საბჭოთა კავშირში დამზადებულ სასოფლო სამეურნეო იარაღ-მანქანების შემოტანის გეგმა. გეგმით გათვალისწინებულია 1 მილიონ მანეთის იარაღ-მანქანების შემოზიდვა.

გარდა საბჭოთა კავშირში დამზადებულ იარაღ-მანქანების შეძენისა, გეგმა ითვალისწინებს 4 მილიონ მანეთამდე საზღვარ-გარეთულ სასოფლო სამეურნეო იარაღ-მანქანების შემოზიდვას.

ექსპონატების შეძენა

„ზაქსელმაში" შეუდგა სიების შედგენას იმის შესახებ, თუ რომელი სასოფლო სამეურნეო იარაღ-მანქანების შეძენაა საჭირო ა.-კ. სასოფ. სამ. გამოფენის ექსპონატებიდან. აღნიშნული სიები განიხილება ა.-კ. უმაღლეს—ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ კომისიაში.

გამოფენაზე

საექსკურსიო ბიუროს დახურვა

ამიერ-კავკასიის სასოფლო სამეურნეო ბანკთან არსებული საექსკურსიო ბიურო იხურება 15 ივლისს.

ტრაქტორების გამოცდა

დღეიდან იწყება გამოფენაზე გამოტანილ ტრაქტორების გამოცდა.

ახალი ექსპონატები

გამოფენაზე მიღებულია გერმანულ ფირმა „დავიდ გროვე"-ს დაგვიანებული ექსპონატები; მათ შორის ყინულის საკეთებელი მანქანები.

გლეხთა ექსკურსიები

დღეს გამოფენის დასათვალიერებლად სომხეთიდან ჩამოვა 40 გლეხი-ექსკურსანტი.

რძის ქარხნები

შვეციის ფირმა „ალფა-ლავალ"-ს შეკვეთილი აქვს 12 სამაგალითო სარძეო ქარხნის მოწყობა სომხეთში.

ინტერესი გამოფენისადმი

უკრაინა მეტად დაინტერესებულია გამოფენით; გამოფენაზე წარმოდგენილ უცხო ფირმებს განზრახული აქვთ გაგზავნონ უკრაინაში თავისი ექსპონატების პრეისკურანტი.

გამოფენის დახურვა

გამოფენის დახურვა განზრახულია 20 ივლის.

ა.-კ. სას. სამ. ბანკში

ახალი გამგეობა

ა.-კ. სას.-სამეურნეო ბანკში მოხდა ახალი არჩევნები:

საბჭოში არჩეულ იქნენ: დ. ბუნიატ-ზადე (თავმჯდ.), ა. გეგეჭკორი (თავმჯდ. მოადგილე), ა. ერზინკიანი (თავმჯდომარის მოადგილე), [illegible]ენკერი, ვ. ფესიუკი, მ. შეფლერ, გ. მგალობლიშვილი. ი. ბოგდატიევი და კ. კაკაბაძე

კანდიდატებად: ძამაშვილი, დათიევი და დაშტოიანი.

სარევიზიო კომისიაში აირჩიეს: ა. საფარიანი, ს. ჯუღელი და რ. ნავჟაფოვი.

გამგეობაში: ჩხენკელი (თავმჯდ.) და წევრებათ შირვანსკი და კარახანიანი.

გლაუბერის მარილი

მუხროვანის გლაუბერის მარილის წარმოების გასაუმჯობესებლათ, სახელმწიფო მრეწველობის სამმართველო შეუდგა წინასწარი გეგმის დამუშავებას.

წარმოების გასაუმჯობესებლათ კონკრეტული ღონისძიებების სინამდვილესთან შეფარდების მიზნით, მარილის წარმოების ადგილზე, მუხროვანში, გაიგზავნა ინჟ. ხოვცაიანი, რომელსაც, გარდა ამისა, დავალებული აქვს წარმოების ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა 1926—27 წლისათვის.

წითელ ჯარში

მუშაობა მოისუსტებს

(მე-2 ლეგიონი)

ლეგიონის სამხკორთა წრეში ითვლება 205 წევრი. მათში აქტიურ ამხანაგების რიცხვი ძალიან მცირეა. ეს აიხსნება იმით, რომ ბოლო დროს წრეს აღარ უწარმოებია სათანადო მუშაობა და არ იმართება კრებები.

თუმცა ასეულებში მიმდინარეობს მუშაობა, მაგრამ ეს ვერ აკმაყოფილებს სამხკორთა მომზადების მოთხოვნილებებს.

საჭიროა ზომების მიღება და მუშაობის გამოცოცხლება.

ქ—ი.

წიგნი წითელარმიელთათვის

ქართულ ჯარის პოლიტგანყოფილება შეუდგა წითელარმიელთათვის ქრესტომატიის გამოცემას. მასალა უკვე დაგროვილია.

წიგნში მოთავსებული იქნება ისეთი მასალა, რომელიც არის დაკავშირებული წითელარმიელთა სწავლების ორ-წლიან პროგრამასთან.

ე.

უმცროს მეთაურთა სკოლა

(მე-6-ე ქართ. ლეგიონი).

სკოლა არსებობს 1924 წლიდან. მისი მიზანია მოამზადოს ჯარის ნაწილებისათვის უმცროსი მეთაურები (ათის თავები). ამჟამად სკოლაში მეცადინეობს 127 კურსანტი. არჩეული არიან ეს კურსანტები 1903 წელში დაბადებულ წითელარმიელებიდან.

სწავლების კურსი სკოლაში ერთ წლიანია. ყოველ წლიურად შემოდგომით ხდება კურსდამთავრებულ კურსანტთა გამოშვება და განაწილება ჯარის ნაწილებ შორის.

სკოლაში კურსანტები იძენენ ისეთ პრაქტიკულ და თეორიულ ცოდნას, რომ ჰქონდეთ შეძლება აღზარდონ წითელ არმიელნი. პროგრამის გავლის დროს მთავარი ყურადღება აქვს მიქცეული სამხედრო საქმეს, მაგრამ არ არის მივიწყებული პოლიტიკური და საერთო-განათლების საგნებიც. სკოლას ყავს მთელი რიგი ლექტორებისა.

სკოლას აქვს კარგად მოწყობილი ლენინის კუთხე მრავალი განყოფილებებით. კუთხესთან არის სხვადასხვა ხასიათის წრეები და ჯგუფები, რომლის შემწეობით კურსანტები იძენენ ცოდნას და ეჩვევიან პრაქტიკულ მუშაობას.

—ხ.

სამხედრო სამსახური და არა მშრომელი ელემენტები

თანახმად საბჭოთა რესპუბლიკათა კავშირის კანონებისა, არა მშრომელი ელემენტები არ შეიძლება გაყვანილ იქნენ წითელ ჯარის რიგებში, მათ არ მიეცემათ იარაღი სახელმწიფოს დასაცავად.

მაგრამ, ამავე დროს არ იქნებოდა მიზანშეწონილი, რომ არა მშრომელნი სრულიად განთავისუფლებულ ყოფილიყვნენ სამხედრო სამსახურიდან.

ამიტომ, არა მშრომელთა ელემენტისათვის შემოღებულია განსაკუთრებული წესი მათ მიერ სამხედრო ბეგარის მოხდისათვის—არა მშრომელნი გაიწვევიან ჯარში ჩარიცხვით ზურგის ლაშქარში, სადაც შეასრულებენ სხვადასხვა ხასიათის სამუშაოს.

მ.

გლეხკომის დათვალიერება

(№ ლეგიონის 9-რე ასეული).

უვადო შვებულებაში მიმავალნი წითელარმიელები გავემგზავრეთ გორის მაზრის ურთიერთ დამხმარე კომიტეტის გასაცნობად. ჩვენ წითელ არმიელები აღფრთოვანებით შევეგებეთ ამ დაწესებულების გაცნობას, ყველა დაინტერესებული ვიყავით, რომ ნათლად გაგვეცნო მისი მნიშვნელობა მშრომელთა მასისათვის. მისვლისთანავე ურთიერთ დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარემ დაწვრილებით გაგვაცნო კომიტეტის სახე. მან აღნიშნა გლეხკომის მუშაობა 1924 წლიდან დღემდის და ხაზი გაუსვა იმას, რომ ამ ხნის განმავლობაში კომიტეტის მუშაობა ნაყოფიერი იყო, რაიც გამოიხატება ღარიბ გლეხების და წითელ არმიელების ოჯახების დახმარებაში. მის მიერ საუბარში ნათლად წარმოვიდგინეთ კომიტეტის მუშაობის მსვლელობა, მისი მნიშვნელობა ღარიბ გლეხებში; ჩვენ წითელარმიელები დიდი კმაყოფილი გავხდით ამ დაწესებულების გაცნობით.

ხშირი იყოს ასეთი ექსკურსიები წითელ რიგებში, რომ ღირსეული წევრები გავხდეთ კომიტეტებისა სოფლად დაბრუნებისას.

პ. მელიქოვი

საბიბლიოთეკო გამოფენა

ქართულ მეთაურთა სკოლის ბიბლიოთეკამ თავის არსებობის ხუთი წლის თავზე მოაწყო საბიბლიოთეკო გამოფენა.

გამოფენა საინტერესოა იმ მხრივ, რომ იგი იძლევა ნათელ წარმოდგენას სკოლის საბიბლიოთეკო მუშაობაზე და მის მიღწევებზე ხუთი წლის განმავლობაში.

გამოფენილია საბიბლიოთეკო პლაკატები და სარეკომენდაციო სიები, შედგენილნი დაკავშირებით მიმდინარე კამპანიებთან და სამოსწავლო პროგრამასთან, აგრეთვე ლაბორატორიულ გეგმასთან. საინტერესოა დიაგრამები, რომელნიც იძლევიან ნათელ წარმოდგენას წიგნების შემადგენლობაზე, მკითხველთა ინტერესებზე, წიგნების გაცემაზე და სხვა. წიგნის პროპაგანდისათვის არსებობს მრავალი საშუალება. მეთაურთა სკოლის ბიბლიოთეკა ხმარობს ამისათვის შუქის გაზეთს, რაც სავსებით ამართლებს დანიშნულებას და აღწევს მიზანს.

ყურადღებას იპყრობს საბიბლიოგრაფიო მასალა. ბიბლიოთეკა ადგენს თვალყურის ბიბლიოგრაფიებს, რომელნიც მოთავსებულნი არიან გაზეთ „კომუნისტში" და „წითელ არმიელში", ინახავს მათ და შემდეგ ცალკე წიგნათ უშვებს კურსანტების სახელმძღვანელოთ.

აგრეთვე გამოფენილია მრავალი სახელმძღვანელო წერილი „კომუნისტი"-დან სხვადასხვა საგულისხმიერო საკითხების ირგვლივ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეთაურთა სკოლის ბიბლიოთეკას აქვს დიდი მიღწევები.

მკითხველთა რიცხვი უდრის მთელ სკოლის შემადგენლობის 90%-ს.

დამუშავებულ წიგნთა რაოდენობა აღწევს 13,000; დასამუშავებელია 30,000 წიგნი.

სასურველია, რომ სამოქალაქო ბიბლიოთეკები ინახულებდნენ სკოლის გამოფენას და გამოსთქვამდნენ თავის აზრს. ეს დაახლოვებს სამხედრო და სამოქალაქო ბიბლიოთეკებს, რაც უეჭველია მოგვცემს სასურველ შედეგს.

ზ. ფ.

სიცოცხლის დაზღვევა

სიცოცხლის დაზღვევის ოპერაციებს ამიერ-კავკასიაში აწარმოებს სახელმწიფო დაზღვევის ამიერ-კავკასიის სამმართველო. აღნიშნული ოპერაციები დაიწყო 1924 წლიდან.

სიცოცხლის დაზღვევის გარდა, სამმართველო 1925 წლის ოქტომბრიდან აწარმოებს დაზღვევას უბედური შემთხვევებისაგან.

1925-26 საოპერაციო წლის პირველ ნახევარში სამმართველოს მიერ დაზღვეული იქნა 1525 კაცი (სიცოცხლის დაზღვევა ხდება ნებაყოფლობით, დაინტერესებული პირის მიერ სათანადო განცხადების შეტანით); აღნიშნულ პირების დაზღვევის თანხა უდრის 1.180.577 მანეთს.

თანდათან ფართოვდება უბედური შემთხვევებისაგან დაზღვევის ოპერაციებიც; ოპერაციების დაწყებიდან მიმდინარე წლის პირველ მაისამდე დაზღვეულთა შორის ადგილი ჰქონდა ცხრა უბედურ შემთხვევას (სიკვდილიანობა), რისთვისაც ამიერ-კავკასიის სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს მიერ გაცემული იქნა 5.200 მანეთი.

ინდოეთ-ევროპის ტელეგრაფი

ინდოეთ-ევროპის სატელეგრაფო საზოგადოების მიერ გაყვანილი ტელეგრაფის ხაზი, რომელიც ევროპას აკავშირებს აღმოსავლეთ და სამხრეთ აზიასთან, მოდის ადესიდან შავი ზღვის სანაპიროებით საქართველოსაკენ.

ხაზის გეოგრაფიულ-ცენტრალურ ნაწილათ ითვლება საქართველოს ტერიტორია. საქართველოზე ხაზს შემდეგი მიმართულება აქვს: აფხაზეთი, ზუგდიდი, სენაკი, ქუთაისი, სურამის უღელტეხილი, გორი, თბილისი და ახალქალაქი.

აქედან ხაზი გადის სომხეთზე და იქიდან სპარსეთში, ხოლო შემდეგ ინდოეთში და ჩინეთის სამხრეთ პროვინციებში.

საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე აღნიშნული საზოგადოების დაწესებულებები ემორჩილებიან ჩვენში მოქმედ კანონმდებლობას და სარგებლობენ ყველა იმ უფლებებით, რომელიც მინიჭებული აქვს საბჭოთა ფოსტა-ტელეგრ. დაწესებულებებს.

საქ. სამხედრო გზა

საქართველოს სამხედრო გზა ამჟამად მეტად კარგ მდგომარეობაშია. მრავალ უბნებში, სადაც შარშან შესაძლებელი იყო მოგზაურობა 25 ვერსის სიჩქარით საათში, ეხლა შეიძლება მოგზაურობა 50 ვერსის სიჩქარით. და ეს მოხდა იმის წყალობით, რომ მოძრაობის გახსნიდან დღემდე სარემონტო მუშაობა ჩქარის ტემპით მიმდინარეობს.

ხშირი წვიმები აზიანებს გზას, მაგრამ საგზაო ადმინისტრაცია დროზე იღებს ყოველგვარ ზომებს მეწყერის თავიდან ასაცილებლად.

ამჟამად დაიწყო მუშაობა სანაპირო ნახევარ გვირაბის მოსაწყობად სადგურ კობსა და გუდაურს შორის; მუშაობა სწარმოებს სამეურნეო წესით. საგზაო ადმინისტრაცია ნაწილობრივი მუშაობის შესრულებას აკისრებს ნარდათ ადგილობრივ მუშებს და არტელებს.

მოძრაობა საქართველოს სამხედრო გზაზე მეტად გაცხოველებულია. გარდა ჩვეულებრივი საავტომობილო რეისებისა, გზაზე დადიან მრავალი ავტომობილები ექსკურსანტებით. ამას გარდა წელს მეტად გაიზარდა ურმების მოძრაობაც.

უმუშევრობასთან ბრძოლა

სურამის აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა შრომის კომისარიატის წინაშე გადასდოს სათანადო თანხა უმუშევრობასთან საბრძოლველი ფონდიდან სურამში საზოგადო სამუშაოს მოსაწყობათ.

საზოგადო სამუშაოს მოწყობა გადაწყვეტილია სურამის გზატკეცილის გასაყვანათ; სამუშაოზე მოწვეული იქნებიან უმუშევარი გლეხები.

ტექნიკურ ხელმძღვანელებს გაგზავნის გორის სამაზრო აღმასკომი.

საკონტროლო ციფრები

ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი შეუდგა შინა-ვაჭრობის საკონტროლო ციფრების შეგროვებას ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკებში.

კომისარიატის მიერ შემუშავებულია სათანადო ცირკულიარი, რომელიც დაეგზავნა ყველა რესპუბლიკების რწმუნებულის სამმართველოებს. შეგროვილი მასალები დამუშავებული იქნება ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ, რის შემდეგაც იგი განსახილველად გადაეცემა საკონტროლო ციფრების შესადგენად გამოყოფილ ამიერ-კავკასიის ცენტრალურ კომისიას.

საფეიქრო ქარხანა

ახალქალაქის მაზრაში არსებული ქალთა მდგომარეობის გამაუმჯობესებელმა კომისიამ გადასწყვიტა გახსნას მაზრის ცენტრში საფეიქრო ქარხანა, რომელშიაც იმუშავებენ მხოლოთ მშრომელი ოჯახებიდან გამოსული ქალები.

იქვე განზრახულია მოეწყოს ხალიჩების საქსოვი განყოფილება. ამ განყოფილებაში განზრახულია დამზადდეს საექსპორტო ხალიჩები.

ვინაიდან ქარხნის მოსაწყობათ საჭიროა დიდი თანხა, ხოლო პირველ ხანებში დიდი თანხის შოვნა გაძნელებულია, ამიტომ გაუმჯობესებული მანქანა-იარაღების შეძენა გადადებულია მომავლისათვის.

წარმოებების აღრიცხვა

ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარის რწმუნებულის სამმართველო შეუდგა სავაჭრო-სამრეწველო წარმოებების და ვაჭრობაში ჩაბმულ პირების რეგისტრაციას.

რეგისტრაციაში გატარების გასაადვილებლად ქალაქი დაყოფილია რამოდენიმე რაიონად; რეგისტრაციის დამთავრება განზრახულია მიმდინარე წლის 6 სექტემბერს.

პირველი სამი დღის განმავლობაში რეგისტრაციაში გატარდა 70-დე სავაჭრო-სამრეწველო წარმოება და ვაჭრობაში ჩაბმული პირი.

რემედასი

ფულის გადაგზავნა

საქ. რემედასის ცენტრალურმა კომიტეტმა ამ დღეებში გადაგზავნა რევოლიუციისათვის მებრძოლთა საერთაშორისო საზოგადოების ფონდისათვის 3.000 მან.

ბასტილიის აღება

14 ივლისს, ბასტილიის აღების დღეს საქ. რემედასის ცეკა დაიწყებს კამპანიის ჩატარებას მთელ რესპუბლიკაში. ამასთან ერთად ჩატარებულ იქნება აგრეთვე კამპანია ამხ. რაკოშის გასამართლების საპროტესტოთ.

გამოკვლევა

რემედასის ც. კ. წარმომადგენელმა დაამთავრა სიღნაღის მაზრაში რემედასის უჯრედების გამოკვლევა.

გამოირკვა, რომ მუშაობა იქ არა დამაკმაყოფილებელი იყო.

ქრონიკა

თათბირი

12 ივლისს, თბილისში გაიხსნება ა.-კავკასიის კომისარიატების სანიტ-ტექნიკურ ინსპექტორების თათბირი.

თათბირზე, სხვათა შორის, სდგას საკითხი ჭიათურის მაღაროებში შრომის პირობების და სანიტ-ტექნიკურ მდგომარეობის შესახებ. ექ. ხმალაძე გააკეთებს მოხსენებას მოსკოვში სამეცნიერო მივლინებების შესახებ. მოხსენებები იქნება აგრეთვე აზერბეიჯანიდან და სომხეთიდან.

აკადემიური თეატრები

თბილისის აკადემიურ თეატრების მოქმედების ყოველმხრივად შესასწავლად და 1926/27 წლის ხარჯთ-აღრიცხვის მასალების გაცნობა-გამოსარკვევად საქ. სახ. კომ. საბჭოს მიერ დაარსებულ იქნა კომისია ამხ. ა. კალანდაძის, პ. საყვარელიძის, ა. მიქაძის, ი. ჭელიძის და ი. გედევანიშვილის შემადგენლობით.

ბამბის ნათესები აფხაზეთში

ა.-კ. მებამბეობის მთავარ კომიტეტში მიღებულ ცნობით აფხაზეთში პირველ ივლისამდე დათესილი იყო ბამბით 800 დესეტინა მიწა.

ინვალიდების არტელები

სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატის ცნობით, 1 ივლისისათვის საქართველოში მუშაობდა ინვალიდთა 33 არტელი. არტელების უმრავლესობა წარმოებითი ხასიათის არის. ყველა არტელებში მუშაობს სულ 343 ინვალიდი. აგრდა ამისა, არტელებში სამუშაოდ მოწვეულია 45 კაცი, რომელნიც არტელის წევრებად არ ითვლებიან.

ბამბის ნათესების დაზღვევა

ა.-კ. მებამბეობის კომიტეტის გამგეობამ საქ. მებამბეობის კომიტეტს გადასცა 12 ათასი მანეთი ბამბის ნათესების სეტყვისაგან დასაზღვევად.

თბ. აღმასკომში

— **ავჭალაში** შეუდგენ ახალ წყაროს გამოყვანას. წყარო დღიურად წყალსადენს შემატებს 1500 ვედრო წყალს.

— **ნაძალადევში** განაპირა ქუჩებში შეუდგენ წყალსადენის მაგისტრალის გაყვანას.

— **საბჭოთა სახლები.** საბჭოთა სახლების შესაკეთებლად კეთილმოწყობის განყოფილებამ შეადგინა საჭირო ხარჯთ-აღრიცხვა. სახლების შეკეთება დაიწყება ამ დღეებში.

— **კერძო სახლების მეპატრონეებს** მიეცათ წინადადება 3 თვის განმავლობაში საფუძვლიანად შეაკეთონ სახლები.

სოც. დაზღვევა

— **საექიმო-საკონტროლო** კომისიაში მიმავალ მუშა-მოსამსახურეებს, თბ. დამზღვევი სალაროს დადგენილებით, ექიმის მოწმობის გარდა უნდა ჰქონდეს ქაღალდი წარმოების ადმინისტრაციისაგან.

— **წაღვერის და ბორჯომის** დასასვენებელ სახლებში თბ. დამზღვევი სალარო დაზღვეულ ავადმყოფებს გაგზავნის 15 ივლისიდან.

— **სანატორიუმ „არაზინდოდან“** დაზღვეულთა პირველი წყება დაბრუნდება ივლისის დამლევს.

შრომის საკითხები

— **შეღავათი.** შრ. სახ. კომისარიატის ცნობით, სასოფლო-სამეურნეო და საამშენებლო საქმეებზე გაგზავნილ მუშებს სამგზავროთ ეძლევათ 35 პროცენტი შეღავათი.

— **შრომის მუზეუმი.** შრომის კომისარიატს განზრახული აქვს შრომის მუზეუმის გახსნა მიმდინარე თვის შუა რიცხვებში.

სხვადასხვა

— **განათლების მუშაკთა სახლში** სწარმოებს იმათი ჩაწერა, ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ექსკურსიაში ზაჰესში წასასვლელად. ექსკურსია გაიმართება კვირას, 11 ივლისს. ჩაწერა სწარმოებს დღეს და ხვალ დილის 9 საათიდან.

— **მასწავლებელთა გადამზადება.** 10 ივლისს ახალციხეში გაიხსნება მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსები თურქულ ენაზე.

— **ფაბრიკის შეკეთება.** თამბაქოს ქარხანა „ინტერნაციონალის“ ყველა მუშები გაშვებული იქნენ ერთბაშად შვებულებაში, ვინაიდან ქარხანა მთლიანად საჭიროებდა შეკეთებას, რომელიც უკვე სწარმოებს.

— **სტალინის სახელობის** თამბაქოს ქარხანასთან მოეწყო წითელი კუთხე და სასადილო.

შემთხვევები

— **ტრამვაის მოძრაობის შეჩერება.** გუშინ, დილით თბილისში ადგილი ჰქონდა ძლიერ წვიმას, რამაც გამოიწვია ნიაღვრები ქუჩებში.

განსაკუთრებით დიდი იყო ნიაღვარი საბჭოთა ქუჩაზე (ყოფ. ჩერქეზიშვილის).

ამის გამო ქუჩაზე ტრამვაის მოძრაობა შეუძლებელი გახდა.

წვიმის გადაღების შემდეგ, ქუჩაზე ხუარებელი ნარიყი აღმოჩნდა ჩამოტანილი.

სასწრაფოთ მიღებული ზომებით, ქუჩა გაწმენდილ იქნა და ტრამვაის მოძრაობა აღდგენილ იქნა დაახლოებით 12 საათზე.

— **თავის დახრჩობა.** 6 ივლისს, ვერის ხიდთან მტკვარში გადავარდა და დაიხრჩო ევნია ეგიაზაროვა. მიზეზი გამოურკვეველია.

— **თავის მოწამვლა.** 6 ივლისს, მე-11 სამილიციო უბანში თავი მოიწამლა ნინა კირილეს ასულმა კუშნარიოვამ.

— **ქურდობა.** 6 ივლისს, გაქურდეს მიხეილ წიწნწიძის ბინა.

6 ივლისს, თხემის შესახ. № 2 გაქურდეს ექიმ გრიგოლ კახიძის ბინა. წაიღეს 380 მან. ნივთები.

ამავე დღეს ანასტასიევის ქ. № 14 გაქურდეს რაჟდენ გგუას ბინა.

— **ჯიბგირობა.** 6 ივლისს, მაწტან-ზადეს ჯიბიდან ამოაცალეს 50 მან.

ხელოვნება

„სანკოოპთეატრი“ სოფლად

საერთაშორისო კოოპერატიული დღის ჩასატარებლად, 3 და 4 ივლისს, მუშკოოპის გამგეობის ინიციატივით გაგზავნილი იქნა გარე-კახეთში სოფ. სართიჭალა-როზენფელდში, ხაშმში და პატარძეულში — ორი ინსტრუქტორი და ცოცხალი გაზეთის წრე — „სანკოოპთეატრი“ (სანიმუშო კოოპერატიული თეატრი).

მიტინგის შემდეგ გაიმართა სანკოოპთეატრის გამოსვლები, რომელიც უჩვენებდა გლეხობას ნომრებს კოოპერატიულ ცხოვრებიდან და თანაც ისე მოხერხებულათ, რომ მთელი გლეხობა აღტაცებაში მოვიდა.

ეს თეატრი — მუშკოოპის ერთი საუკეთესო იარაღია კოოპერატიულ იდეის საგიტ-საპროპაგანდო ფრონტზე.

სანკოოპთეატრი ჯერ ისევ ახალგაზრდა ორგანიზაციაა, მისი დამაარსებელია ამხ. დ. მაისურაძე.

თუმცა სულ 4 თვეა, რაც თეატრი გამოვიდა თავის საპროპაგანდო ასპარეზზე მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ჩატარებულმა დიდმა მუშაობამ თავისი ნაყოფი გამოიღო.

სანკოოპთეატრი მუშაობს ქართულ-რუსულ და სომხურ ენებზე.

მუშკოოპის გამგეობა მადლობის ღირსია ასეთი თეატრის შექმნისათვის.

ა. სეხნიაშვილი.

— **მუშათა ახალ კლუბში** (ყოფ. „ქართული კლუბი“) დღეს, ხუთშაბათს, ს. პ. კ. ს-თან არსებული ქართული კოლექტივი გამართავს ცოცხალი გაზეთის საღამოს, მიხ. ჭიაურელის ხელმძღვანელობით.

საქონლის ბირჟა

თბილისის ბირჟის საპროდუქტო სექციის უკანასკნელ სხდომაზე გაირჩა საკითხი ფქვილზე საბირჟათაშორისო გარიგებების შესახებ.

სექციამ მიზანშეწონილად სცნო ფქვილის რეალიზაცია კერძო პირების საშუალებით იმ სამომხმარებლო რაიონებში, სადაც არ არსებობენ სახელმწიფო-კოოპერატიული, ფქვილის გამსაღებელი ორგანიზაციები, მხოლოდ იმ პირობით თუ ეს საკითხი შეთანხმებული იქნება ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სხ. კომისარიატთან.

ამასთანავე სექციამ ყურადღება მიაქცია ლენინგრადის საქონლის ბირჟის წინადადებას იმის შესახებ, რომ დაწესებული იქნეს მუდმივი კონტაქტი თვალსაჩინო ბირჟებთან კონიუნქტურულ და საორგანიზაციო ყველა დამახასიათებელ საკითხების შესახებ სისტემატიური ინფორმაციის სისტემატიურად მიწოდებისათვის.

რკინისგზებზე

მატარებლის გაწყვეტა

5 ივლისს, ღამით თბილისიდან ბაქოსაკენ გაიგზავნა საბარგო მატარებელი № 331. მატარებელი შესდგებოდა 31 დატვირთულ და 46 ცარიელ რონოდებისაგან. ისრებიდან გასვლისას მატარებელი გაწყდა შუაზე. კონდუქტორთა ბრიგადამ მატარებლის გაწყვეტა ვერ შეამჩნია, რადგან ეს მოხდა მოსახვევში.

წინა ნაწილი მატარებლისა ჩავიდა ნავთლუღში, ხოლო უკანა ნაწილი დააბრუნეს თბილისში.

უბედურ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია.

მატარებლის მიღება დაკავებულ ხაზზე

6 ივლისს, სადგ. ტატლუში (აზერბეიჯანის ხაზზეა) სადგურის მორიგემ ტაბაევმა შეცდომით გაუშვა დაკავებულ მეორე ხაზზე სახალხო მატარებელი № 6. მატარებლის წინასწარ გაჩერება შესძლო მემანქანემ; ამგვარად აცილებულ იქნა უბედური შემთხვევა.

სასამართლო

გაფლანგვა

წინასწარი გამოძიება ვასილ ბურდულის საქმეზე დასრულდა. ბრალდებული მსახურობდა სატყეო ტრესტის ცენტრალურ საწყობის გამგეთ. 1922 წ. ბურდული აწარმოებდა შემით ვაჭრობის ოპერაციებს. ამ ოპერაციების დროს მან მიითვისა და გაფლანგა 1314 მანეთი და 43 კაპ.

თავდამსხმელები

1925 წ. ოქტომბრის თვეში ბრალდებულები: მათე ფერაძე, შალვა ჯავახიძე, შალვა სამსონიძე, პავლე თოფურიანი და იპატე ფერაძე თავს დაესხენ ეფრემ ბლაიძის, დათა ბერაძის და დარბაიძის ოჯახებს და გაძარცვეს. არ გასულა დიდი ხანი, რომ ისინი მილიციის მიერ დაპატიმრებული იქმნენ. წინასწარი გამოძიების დროს გამოირკვა, რომ ზემოთჩამოთვლილი ბრალდებულნი სისტემატიურად ეწეოდენ გლეხების ოჯახების აწიოკებას და დარბევას. საქმე გასარჩევად გადაეცა აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს.

სახ. უნივერსიტეტში

მიმდინარე წლის საგაზაფხულო სესიაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრეს შემდეგმა პირებმა:

პედაგოგიური ფაკულტეტი

სიტყვიერების დარგი:

ვაშაკიძე მიხეილ.

ისტორიული დარგი:

ბერძენიშვილი ნიკოლოზ, ივანიცკი ანასტასია, კალაშნიკოვა თამარ, ნაცვლიშვილი დავით, უკლება ვარლამ, ჭანიშვილი გრიგოლ.

ენათ-მეცნიერების დარგი:

ჩხენკელი სტეფანე.

საბუნებისმეტყველო დარგი:

აბესაძე ქეთევან, კაპანაძე პელაგია, მირიანაშვილი ნადეჟდა, სულ 11 კაცი.

ბავშვთა თვითმართველობანი

თბ. აღმასკომის განათლების განყოფილებამ სასწავლო წლის დასრულების წინ, წინადადება მისცა პედაგოგიურ საბჭოებს განეხილათ სკოლებში ბავშვთა თვითმართველობათა მუშაობის გაუმჯობესების საკითხი.

აგრეთვე მასწავლებლებს დაევალათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ ბავშვთა თვითმართველობების მუშაობაში.

ბავშვთა თვითმართველობებას მუშაობის გაუმჯობესება უნდა გამოიხატოს თვითმართველობებში მოწაფეების აქტიური ჩაბმით და ამავე მართველობითა მთვითმოქმედების გაფართოებაში.

თვითმართველობათა მუშაობაში ჩაბმული უნდა იქნას მოწაფეთა 100 პროც., უნდა მოისპოს სკოლებში მოწაფეთა ამხანაგური სასამართლო. თუ მოწაფე არ ემორჩილება სკოლის საერთო წესს, მოწაფეთა თვითმართველობა წინადადებას აძლევს დატოვოს კოლექტივი.

აგრეთვე მოწაფეთა თვითმართველობამ თავის მუშაობა შემდეგში უნდა დაუკავშიროს პიონერთა და კომკავშირელების საქმიანობას.

ვენერიული დისპანსერი

ახალი გამოკვლევა

თბილისის ვენერიული დისპანსერი შეუდგა გემო-კვების კავშირის წევრთა გამოკვლევას.

ჯერ-ჯერობით გამოკვლეულ იქნა 176 კავშირის წევრი, რომელთაგან 67 ქალია და 109 მამა-კაცი.

გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ მათგან 21 კაცი დაავადებულია ვენერიული სნეულებით. ისინი დატოვებულ იქნენ დისპანსერთან სამკურნალოდ.

ავადმყოფების მოძრაობა

ვენერიული დისპანსერის მუშაობა ინტენსიურად მიმდინარეობს. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში იქ გატარდა 1.038 ავადმყოფი, რომლებიც გამოცხადდენ 16.474-ჯერ.

აღსანიშნავია ერთი უხერხულობა, რომელსაც ადგილი აქვს დისპანსერში. ეს მდგომარეობს იმაში, რომ დისპანსერს სივიწროვის გამო, არ გააჩნია ცალ-ცალკე შესასვლელები ქალებისა და მამაკაცებისათვის.

მეცნიერება და ტეხნიკა

ხელოვნური მზე

ლონდონის ზოოლოგიურმა საზოგადოებამ მთელ რიგ ცდებით გამოარკვია, რომ ზოოლოგიურ ბაღებში თავმოყრილი ცხოველები, განსაკუთრებით ცხელი ქვეყნების ცხოველები, ზამთრობით ყველაზე უკეთესად გრძნობენ თავს შედარებით ცივ წმინდა ჰაერზე თუ მზიანი დარია და მათი საწოლი ადგილი ქვეიდან თბება.

ტრადიციული „საზამთრო ბინები“ გადაკეთებული უნდა იქნან ახალი პრინციპის მიხედვით. მაგრამ მზიანი დღეები იშვიათია ჩრდილოეთ ევროპაში და თუ ასეთი დღე გამოერია, მაშინაც მზე ძლიერ მოკლე დროის განმავლობაში ანათებს. წარსულ ზამთარში ლონდონის ზოოლოგიურ ბაღში მაიმუნების და ზოგიერთი სხვა ცხოველების სადგომი ადგილები ღია იყო სრულიად. ბინებს ათბობდენ ელექტრონის საშუალებით და ანათებდენ ქვარცის ლამპებით, რომელთა სინათლე შეიცავს ულტრა-იისფერ სხივებს და თავისი თვისებებით უახლოვდება მზის სხივებს.

ქვარცის ლამპები მზის მაგიერობას ასრულებდენ მოღრუბლულ დღეებში.

ახალი სისტემის შემოღების შემდეგ ავადმყოფობისა და სიკვდილიანობის პროცენტი მაიმუნებს შორის ძლიერ შემცირდა.

ამავე დროს მიღებული იქნა ზომები ბუნებრივი მზის სხივების უფრო მიზანშეწონილად გამოსაყენებლად. ასე მაგალითად, ლომის მოსათავსებელ ბინაში ჩვეულებრივი მინიდან გაკეთებული ჭერი შესცვალეს განსაკუთრებული შუშიდან („ვიტაგლას“) გაკეთებული ჭერით. ეს შუშა უშვებს ულტრა-იისფერ სხივებს (უბრალო შუშა კი აკავებს).

ცთომილი ვარსკვლავები

ივლისში და აგვისტოში ძლიერ ხშირათ შეიძლება მოწყვეტილი ვარსკვლავების დანახვა. ამ მოწყვეტილ (ცთომილ) ვარსკვლავებს არაფერი საერთო არა აქვთ იმ უძრავ ვარსკვლავებთან, რომლებითაც მოჭედილია ცა. უძრავი ვარსკვლავები წარმოადგენენ უზარმაზარ გავარვარებულ ბურთებს, დაახლოებით ისეთივე სიდიდისას, როგორიც მზეა. ისინი ჩვენგან დაშორებული არიან მრავალი ასეული ათასი კილომეტრით. ცთომილი ვარსკვლავები — ეს არის შედარებით პატარა ნაჭრები ნივთიერებისა, რომლებიც სხვადასხვა მიმართულებით სერავენ სამყაროს სივრცეს და ხვდებიან ჩვენს ატმოსფერაში დედამიწის მზის გარშემო ბრუნვის დროს. დედამიწა იზიდავს მათ, ისინი მოექანებიან დედამიწისაკენ, ჰაერზე ხახუნის გამო ხურდებიან და იწვებიან.

ეს ანთება და დაწვა ხდება ჩვეულებრივად 100—200 კილომეტრის სიმაღლეზე და ამიტომ ცთომილი ვარსკვლავების უმრავლესობა დედამიწამდი არ აღწევს. მაგრამ იშვიათ შემთხვევებში ეს პატარა ცის სხეულები ვერ ასწრობენ დაწვას და მაშინ მათი ნაშთები აღწევენ დედამიწამდი. ამ, მიწაზე ჩამოვარდნილ ქვებს ეწოდება მეტეორიტები. მათი წონა ზოგჯერ რამდენიმე ასეულ კილოგრამამდე აღწევს.

მეტეორიტები უმთავრესად რკინისაგან შესდგება.

ასეთია წარმოშობა ცთომილი ვარსკვლავების, რომელთა ვარდნას ჩვენ ყოველთამე ვხედავთ. ეს პატარა ცის სხეულები თანაბრად არ არის განაწილებული სამყაროს სივრცეში და არც უძრავი არიან. როგორც ჩანს, ისინიც მოძრაობენ მზის გარშემო ცალკე გუნდებათ. განსაზღვრული დროის განმავლობაში და ზოგიერთ თვეებში ცთომილი ვარსკვლავების რიცხვი მეტად დიდია. აიხსნება ეს იმით, რომ ამ დროს დედამიწა, მზის გარშემო მოძრაობის დროს, უახლოვდება ამ პატარა სხეულების გუნდის გზას და იზიდავს მათ.

განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი ცთომილი ვარსკვლავების დანახვა შეიძლება შემდეგ დღეებში:

ივლისში: 8—13. პირდაპირ (მაღლა) ცაზე აღმოსავლეთით.
17—20 —აღმოსავლეთით.
29—31. ცთომილი ვარსკვლავების რიცხვი განსაკუთრებით დიდია, ნაშუაღამევს თვალყური უნდა ადევნოთ ცას ჩრდილოეთ აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით.
აგვისტო: 6—9. ცთომილი ვარსკვლავების რიცხვი დიდია. თვალყურის დევნება უნდა ცას პირდაპირ (მაღლა) და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით.
10—13.

იურიდიული დახმარება

მერგება თუ არა დამატებითი ორი კვირის შვებულება

კითხვა

მე ვმუშავებ სადგურ თბილისის ნავთ-საქაჩავში მემანქანის თანაშემწედ 1912 წლიდან და მუდამ ვღებულობდი ერთი თვის შვებულებას და ორმაგ სპეცტანსაცმელს. ეხლა კი ეს მოგვისპეს. სულ ვართ რვა კაცი, ოთხს ეძლევა (ცეცხლის მფარეშებს) და ოთხს,—მემანქანის თანაშემწეებს არა. ვმუშაობთ ყველანი ერთ პატარა 30 კვადრატ. არშინ შენობაში, რომელიც ითვლება ჯანმრთელობისთვის მავნედ (ქვანახშირის გაზით სავსე შენობა). ჩვენ დამცირებათ მიგვაჩნია ამნაირად ჩვენ მიმართ მოქცევა ადმინისტრაციის მხრით და ამიტომ გთხოვთ მოგვცეთ ახსნა-განმარტება ვის მივმართოთ კანონიერ უფლებების აღსადგენად.

მემანქანის თანაშემწე სიკო მიგრიაულიშვილი.

პასუხი

ცეცხლ-მფარეშებს (კოჩეგარებს) დამატებითი შვებულება ეძლევათ საერთო წესით, თანახმად საკავშირო საბჭ. რესპ. შრომის სახკომატის 1923 წ. 28 ივნისის დადგენილება № 270/78-ისა და ამ.-კავ. შრომის სახკომატის 1924 წ. 5 მაისის დადგენილება № 92-ისა. რაც შეეხება მემანქანის თანაშემწეთ, მეთ ზემოხსენებულ დადგენილებათა თანახმად, მიეცემათ დამატებითი შვებულება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი ისინი ითვლებიან მატარებლის მემანქანის თანაშემწეებად.

დავა შრომის ხელფასის შესახებ

კითხვა

მე ვცხოვრობ სოფ. ხოტევში, რომელიც რაჭის მაზრას ეკუთვნის. ამ სოფლის ქოხ-სამკითხველოს გამგეთ ვმსახურობდი დღიდან მისი დაარსებისა 1918 წლის 1 იანვრიდან 1925 წლის ოქტომბრის დამლევამდის, როდესაც მე ავად გავხდი და სამსახურს თავი დავანებე. დღესაც მძიმე ავადმყოფი ვარ; სამსახურში ყოფნის დროს თვეში ჯამაგირად 12 მანეთს მაძლევდენ. ყველა თვეების ჯამაგირი მაქვს მიღებული, არ მიმიღია მხოლოდ 19 თვის ჯამაგირი, სახელდობრ 1923 წლის პირველი ივნისიდან 1925 წლის 31 დეკემბრამდე. ამის შესახებ არა ერთხელ მივმართე მაზრის პროკურორს წერილობითი თხოვნით, მაგრამ მან არავითარი პასუხი არ გამცა. მაზრის პოლიტ-განათლების გამგეც მპირდებოდა, რომ წარდგენილი ვარ და მოგეცემაო, მაგრამ დღემდის არაფერი არ მიმიღია.

გთხოვთ მიმასწავლოთ, ვის უნდა მივმართო, რომ ჩემ მიერ დამსახურებული ზემოაღნიშნული 19 თვის ჯამაგირი მომისაჯოს და მომცეს.

სანამ ქოხ-სამკითხველოს გამგეთ დავდგებოდი 35 წლისწლოდი ვმსახურობდი სხვადასხვა დაწესებულებებში. დღეს უკვე 82 წლისა ვარ. მძიმე ავადმყოფი და განვიცდი უკიდურეს გაჭირვებას ფულის უქონლობის გამო. ვარ დაზღვეული (დაზღვევის წიგნაკი № 688).

ექვთიმე ქიქინაძე.

პასუხი

1921, 1922, 1923 და 1924 წლების შრომის ხელფასის პრეტენზიები, (დავა) რომელნიც აღნიშნულ წლების განმავლობაში არ იქნენ დაკმაყოფილებული, ძალა დაკარგულად ითვლებიან. ამიტომ თქვენი პრეტენზიაც 1923—1924 წ. შრომის ხელფასის შესახებ ძალა დაკარგულად უნდა ჩაითვალოს.

ოფიც. განცხადებები

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

ამხ. ნ. კიკნაძის საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან განთავისუფლებისა და ამხ. ვ. ავაქოვისა და ბ. კალანდაძის საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებად დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. განთავისუფლებულ იქნეს თანამდებობიდან საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე— ამხ. ნ. კიკნაძე.
2. საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებად დანიშნულ იქნენ ამხ. ვ. ავაქოვი და ბ. კალანდაძე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე: **ს. პ. ჯუღელი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი: **ალ. სალარიძე.**

პარტიული კალენდარი

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მე-2-რე რაიკომი იუწყება, რომ დღეს, ხუთშაბათს, საღამოს 5 საათზე, რაიკომის შენობაში შესდგება მიმღებ კომისიის სხდომა.

შემდეგ პირთა დასწრება სავალდებულოა: არჩეაძე ვალენტინა, გაიკოვსკი პეტრე, სოლოვიევი იური, ობგაძე ეფრემი, მეხრიშვილი იოსები, პოლოსიანი სარქის და ტერ-სტეფანოვი. არტაშა.

ქალაქის რაიკომის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება აუწყებს ყველა უჯრედებს, რომ თვითგანვითარებისთვის სხვადასხვა თემებზე ცნობების მიღება შეიძლება ქალაქის რაიკომის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში. ყოველ დღე დღის 10—2 საათამდე.

თბ. სახ. უნივ. ა. ლ. კ. კ. ბიურო კოლექტივი, ამით აცხადებს უნივერსიტეტში არსებულ ცალკე უჯრედების წევრებისა და კანდიდატების საყურადღებოდ, რომ დღეს, საღამოს 6 საათზე, დანიშნულია უჯრედების გაერთიანებული კრება

საქართველოს ახალგაზრდა ლენინელთა კომუნისტური კავშირის თბილისის კომიტეტი იტყობინება, რომ პარასკევს, 9 ივლისს, საღამოს 5 საათზე, პროფკავშირის მცირე დარბაზში იხსნება ს. ა. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის მე-5-ე პლენუმი, რაიკომის წევრების, კანდიდატების და მსხვილ უჯრედების მდივნებთან ერთად.

ყველა ამხანაგი დაუგვიანებლათ უნდა გამოცხადდეს აღნიშნულ დროზე.

დღის წესრიგშია: თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის ანგარიში. 2) სხვადასხვა.

რაჟდენ კალაძე მწუხარებით ვაუწყებ ყოფილ მენშევიკთა ჯგუფებს, ნათესავთ და ნაცნობთ ჩემის ძმის,

ნესტორ ბართლომეს (თომას) ძე კალაძის

ხანგრძლივი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ სიკვდილს. ნეშთის გასვენება მოხდება გარდაცვალებულის საკუთარ სახლიდან სოფელ ეწერში 9 ივლისს, პარასკევს, ღლის სამ საათზე. ქ. 3069 1—1

ღრმათ დამწუხრებულნი სიმამრი ზაქარია დავითის ძე, მეუღლით მარიამ იოსების ასული, შვილებით დავით და შალვა მეუღლეებით ანათი და ნინოთი, და თამრო ზაქარიას ასული ტომარაძეები აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი სიძე 1-ლ ქართულ ლეგიონის ასის თავი

ალექსანდრე ანტონის ძე ეპიტაშვილი

გამოსვენება—დღეს 8 ივლისს, ნაშუადღევის 3 ნახ. საათ. ვერცხლის ქ. 29 დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. ნ. 3065 1—1

მოწაფეთა საყურადღებოთ

გამოვიდა და იყიდება

ფ. ი. მიხალევსკის

„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“

(ქართულ ენაზე)

მისამართი: გაზ. „კომუნისტის“-ს მთავარი კანტორა, რუსთველის პროსპექტი № 34

0—1

საქართველოს ფინსახკომისარიატი

აცხადებს საყოველთაოდ, რომ ყველა სახელმწიფო დაწესებულებანი, რომლებსაც არა აქვთ განსაკუთრებული ნებართვა მიიღონ თავიანთ სალაროებში სალერბო გამოსაღები ნაღდი ფულის სახით, ვალდებულნი არიან მოსპონ აღნიშნული ოპერაცია, დაუყონებლივ შეიტანონ ხაზინაში სალერბო გამოსაღებში მიღებული თანხები და წარმოადგინონ ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან ორი თვის განმავლობაში ანგარიში ხსენებულ ოპერაციის შესახებ, რომელ ანგარიშში ნაჩვენები უნდა იქნეს გარიგებანი, რომლებზედაც გადახდევინებულია გამოსაღები, გარიგებათა თანხები, თვითეულ მათგანზე გადახდილ გამოსაღების რაოდენობა, ამ თანხების ხაზინაში შეტანის დრო და ხაზინის ქვითარის ნუმერი.

ამ მოთხოვნილების შეუსრულებლობისათვის დამნაშავეების წინააღმდეგ მიღებულ იქნება რეპრესიული ზომები.

საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარი მგალობლიშვილი

გადასახადთა განყოფილების მმართველი ბეჩირგანიშვილი

ნ. 1530

თბილისის საბაჟო

ამით აცხადებს, რომ 15 ივლისს, და შემდეგ დღეებში, დილის 8 საათიდან, საბაჟოს ეზოში

დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ჩამორთმეულ კონტრაბანდულ საქონლის გასასყიდად

გაიყიდება

შევიოტი, ინდიგო, კოვერკოტი. აბრეშუმის ქსოვილები, ლიონის შარფები, ჩულქები და წინდები, ტყავი ლაქის, შევრო, ფოლაქები, ფესსაცმლის თელები და ზონარები უშიშარი და „ერნის“ ფირმის სამართებლები, სახარინი, კოსმეტიკა, საათების მინები და სხვა.

ნ. 1529 თბ. რაიონული საბაჟო.

საზაფხულო **აპოლო** (ბაღი „არტო“, პლეხ. № 105).

საზაფხულო **ეთერი** (სახელმწ. ოპერის ბაღში)

ზოლეი

ნ. 1446 0—5

დღეს **ნიბელუნგები** 3 და 4 სერია

მესამე და მეოთხე სერია (კრიმგილდას შურისძიება) არაჩვეულებრივი გრანდიოზული მასიური სცენები

ანონსი: ამ დღეებში ახალი შედევრი „რობინ გუდ“

პრემიერა კოვენკო, რიმსკი, კოლინის მონაწ.

„ქალი ნიღაბში“

ანონსი: მალე „საზეიმო სიყვარულის სიმღერა“

მე-3-ე და მე-4-ე სერია

„ამერიკელი ქალის თავგადასავალი“

არ გამოგრჩეთ შემდეგი სერიები



„СЕКАРОВСКАЯ ЖИДКОСТЬ“

ПРИГОТОВЛЕННАЯ ПО СПОСОБУ

ПРОФЕССОРА Д-РА БЮХНЕРА

დიდის წარმატებით იყენებს მედიცინა

ხერხემლის გახმობის, ყველა სახის ნევრასტენიის, ათაშანგის, მშობიარობის, ოპერაციის, სისგულის ავადმყოფობის, სიგამხდრის (худосочие), დაღლილობის, სიბერისაგან დაავადების, პოდაგრის, რევმატიზმის, სისხლნაკლებობის, ატერიოსკლეროზის, დიაბეტის, თავის ტკივილის, უძილობის, სქესობრივ უძლურების, მადის დაკარგვის და გულის მუშაობის ქრონიკულ სისუსტისა და აგრეთვე სხეულის სისუსტის დროს, ინფლუენციას, ათაშანგის, მშობიარობის, ოპერაციის, სისხლის დაკარგვის და სხვა ავადმყოფობის დროს.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ნებართვა № 8.262.

სეკარის სითხე იყიდება

საბჭოთა კავშირის სანიტარიის და ჰიგიენის ყველა აფთიაქებში და მაღაზიებში

ფლაკონის ფასი 2 მ. 50 კაპ. გადაგზავნის გარეშე. ფოსტით იგზავნება არა ნაკლები 4 ფლაკონისა, თუ მიღებული იქნება ბე 25 პროც. რაოდენობით. 8 და მეტი ფლაკონის დაკვეთის დროს შეხვევა და გადაგზავნა უფასოა. კოოპერატივ „გალენ მოსკვა“-ს წარმომადგენლობა საბჭოთა საქართველოში დასომხეთში: თბილისი, თავისუფლების მოედანი, № 2 მეორე სართული, ყოფილი თამამშევის პასაჟი.

ЗАКАЗЫ ПИСЬМА И ДЕНЬГИ АДРЕСОВАТЬ ТОРГ. ОТД. КООПЕРАТИВА „ГАЛЕН-МОСКВА“ МОСКВА ул. ГЕРЦЕНА № 5 ОТД. 3 ПОЧТ. ЯЩ. № 1025

8—2 ნ. 1470

ქუთაისის 2-რე უბნის სახალხო ასასმართ. აღმასრულებელი ვლ. კანდელაკი

ამით აცხადებს, რომ 15 ივლისს, 1926 წელს, დილის 11 საათზე ქ. ქუთაისში ივანოვ-მარდალეიშვილის ქუჩის 1 შესახვევში ნიკო საბასძე ტორაძის სახლში № 16 დანიშნულია საჯარო ვაჭრობა: გაიყიდება ხსენებული ნიკო ტორაძის ორ სართულიანი ქვიტკირის სახლი № 16, რომელიც შეიცავს ზემო სართული—ორ საცხოვრებელ ოთახს და აივნებს, ქვედა სართული კი დარაბაა (მუნიციპალურია) საქართველოს მ. უ. სავაჭრო კანტორის ვალის დასაკმაყოფილებლად. სახლი დაფასებულია 400 მ., საიდანაც დაიწყება ვაჭრობა. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული მე 311 და 312 მუხ. სამ. საპ. კოდ. და საწინდარი 10 პროც. ცნობების მიღება შეიძლება ჩემთან სასამართლოში. ნ. 1526

ქუთაისის 2-რე უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ვლ. კანდელაკი

ამით აცხადებს, რომ 15 ივლისს, 1926 წლისა დღის 12 საათზე ქ. ქუთაისში ივანოვ-მარდალეიშვილის ქუჩაზე № 90 დანიშნულია საჯარო ვაჭრობა: გაიყიდება პლატონ სიმონისძე ჯალაღონიას აგურის სახლი რომელიც შეიცავს სამ საცხოვრებელ ოთახს და აივანს, დახურული კრამიტით, აგებული საეზოვე ნაკვეთ ადგილზე, მდებარე იმავე ივანოვ-მარდალეიშვილის ქუჩაზე № 90 ზომით მიწა 60 კვად. საჟენი. დაფასებული 500 მანეთ. საქართველოს მ. უ. სავაჭრო ქუთაისის კანტორის ვალის დასაკმაყოფილებლად, ვაჭრობა დაიწყება 500 მანეთიდან. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული მე-311 და 312 მუხ. სამ. საპ. კოდ. და საწინდარი 10 პროც. ცნობების მიღება შეიძლება ჩემთან სასამართლოში. ნ. 1528

ქ. სურამში

გამოცდილ მასწავლებელთა ჯგუფი

ამზადებს აბიტურიენტებს სახელმწიფო უნივერსიტეტში შესასვლელ საკონკურსო გამოცდებისათვის.

მისამართი: მთავარი ქუჩა № 66.

5—1 3025 ღ. რევია

პროფესორი

მ. წინამძღვრიშვილი

საზაფხულოდ გაემგზავრა ქალ. ბორჯომში 13—1

ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. გოგორიშვილი

აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში გელათის ქუჩაზე, სახლი № 153 დანიშნულია 14 ივლისს, 1926 წ., დღით 10 საათზე საჯარო ვაჭრობა ლიდა ისიდორეს ასულის მორჩაძის ქონების—ოჯახის მოწყობილების, სარკის, მაგიდების, დივანის, კრესლოების, ლამპის და სხვების გასაყიდათ, შეფასებულების 87 მან. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან და ქონება გაიყიდება ცალ-ცალკე გიორგი გორდაძის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლათ. ნ. 1528

ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. გოგორიშვილი

აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში აკაკი წერეთლის ქუჩაზე სახლი № 30 დანიშნულია 12 ივლისს, 1926 წ., დილის 10 საათზე საჯარო ვაჭრობა რაფიელ და ბენიამინ თოფჩიაშვილების ქონების: შკაფების, კამოდის, მაგიდების, სარკის, სამოვრის, ლამპის და სხვების, შეფასებულების 137 მან. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებულ თანხიდან და ქონება გაიყიდება ცალ-ცალკე თამბაქოს ქარხნის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლათ. ნ. 1528

ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. გოგორიშვილი

აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში ურიცკის ქუჩაზე, სახლი № 9 დანიშნულია 21 ივლისს, 1926 წ. დღის 10 საჯარო ვაჭრობა ფედოსია ჯერჯელავას ქონების—სახლის ავეჯეულობის, შკაფების, მაგიდების, სკამების, ტახტის, კამოდის, თეფშების, ლვინის და სხვების გასაყიდათ ქონება შეფასებულია 237 მან. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან და ქონება გაიყიდება ცალ-ცალკე სამსონ გამყრელიძის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლათ. ნ. 1528

ქ. ქუთაისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ვლად. კანდელაკი

ამით აცხადებს, რომ 15 ივლისს, 1926 წელს, დილის 10 საათზე ქ. ქუთაისში ზდანოვიჩის ქუჩაზე, სპირიდონ ლუარსაბისძე თორთლაძის სავაჭროში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა გაიყიდება ხსენებული სპირიდონ თორთლაძის ქონება: 1, „სახალხო“ ასი ბოთლი დიდი და პატარა „სარაჯევის კონიაკი“ დაფ. 200 მ. 2, ერთი დიდი ოც კილოიანი სასწორი დაფას. 30 მ. და 3, ერთი ფუთი ჩაქვის ჩაი დაფას. 20 მან. საქართველოს მ. უ. სავაჭრო ქუთაისის კანტორის ვალის დასაკმაყოფილებლად, ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან. ცნობების მიღება შეიძლება ჩემთან სასამართლოში. ნ. 1528

თბილისის შრომის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ლევან არღუთინსკი

ამით აცხადებს, რომ ის 12 ივლისს, 1926 წ. დღის 2 საათზე რუსთაველის აკად. თეატრის შენობაში რუსთაველის გამზირზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის ქართულ დრამატიულ სტუდიის მოძრავ ქონებას: სარკეებს და როიალებს შეფასებულს 1950 მანეთად, ხელოვნების მუშაკთა კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 10 ივლისს, 1926 წ. თარიღით, № 1983 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ქ. 3067

ვიპოვე

ქაღლი იაპონური ჯიშის პატრონმა მოიკითხოს ხაზინის ქ. № 5 ჭეიშვილთან 3071

დავიდოვის № 4 რესტორან „ვ ე ნ ე რ ა ში“ **იყიდება საყინულე** „ნალეშნიკიანი“ 3064

ელექტრონით და სინათლით **სამკურნალო საწოლებით მიხეილ გედევანიშვილის სახლობის**

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 50—3

სურამი

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი

მიიღებს ავადმყოფებს შინაგან (ბავშვებს და დიდებს) და ქალთა სნეულებით.

ყოველდღე: დილით 2 საათამდის საღამოზედ 5 საათიდამ—7 საათამდის მისამარ.: აგარაკი მეერისა. 25—1

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე. სპიროის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—1

ექიმი მებრაბიანცი

ფილტვების, ქლექის და გულის სნეულებანი

ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით და რენტგენის სამკურნალო კაბინეტში სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. მიღება დილ. 9—1 და საღ. 5—8 საათ. ბებუთოვის ქუჩ., № 23, შაბათ-კვირაობით ავადმყოფები მიიღებიან აგარაკ მანგლისში. 25—1

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—2

სათვალეების მორგება

უფასოდ

ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—4-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 13—63. 25—1

ექიმი ჯალალოვი

კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი. შეშხაპუნება „914“. ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფ. მიიღება დილ. 6 ნახ.—8 საათ., საღამოს 5-დან—9 საათამდე. ქალები 12—2 საათ. დღის. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად. 25—1

კბილის სნეულებათა **კლინიკაში** (პლეხანოვის პროსპ. № 126) დაიწყო მუშაობა **რენტგენის კაბინეტმა**

შეიძლება კბილების და პირისახის ძვლების გაშუქება და მათი სურათის გადაღება. 2799. 25—1

ქუთაისში დაბრუნდა ექიმი დ. ა. ჩეჩელაშვილი

და განაახლა შინაგან ავადმყოფების მიღება. სპეციალ.-ფილტვების სნეულებანი მიღება დილის 8—9 საათ. საღამოს 4—7 საათ. ქავჟავაძის ქ. № 9.

ექიმი გ. ნ. ონანოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. აგოფ. ელისაბედის ქუჩა, № 3.

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის ბარათი № 292 პავლე ვასილის ძე მილორავას სახელზე, ჩ. გ. 3061

დავკარგე კავშირის წიგნაკი № 1072 და დამზღვევ სალაროს წიგნაკი გიორგი ქადაგიშვილის სახელზე, ჩ. გ.

დავკარგე განათლების კავშირის წიგნაკი № 435, მარიამ პავლეს ასული ჯარიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3063

დავკარგე პასპორტი ვასილ ნონიაშვილის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1528

დავკარგე პარტ-ბილეთი და პირადობის მოწმობა არსენ მეტრეველის სახელზე, ჩ. გ. 3066

დავკარგე პარტბილეთი № 502639 და კავშირის წიგნაკი № 5010 მიხეილ მელაძეს სახელზე, ჩ. გ. 3068

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი № 793, დავით ალექსისძე როინიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3073

დავკარგე ლვინის გატანის მოწმობა მოცემული თელავის მაზრის აქციზის ინსპექტორის თანაშემწის ბექანიშვილის მიერ 1926 წ. 22 ივნისის თარიღით № 10645 მესხიშვილის სახელზე, ჩ. გ. ქ. 3072

დავკარგე პარტიული მანდატი № 995, კავშირის წიგნაკი № 13958 და პირადობის მოწმობა № 191 შაქრო გიორგისძე გაბაშვილის სახელზე, ჩ. გ. ქ. 3070

საქართველოს კ. [illegible] ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კამოს ქუჩა, 68